


ԱՐԵՎ



ՀՅՈՒՆԱԳՅԱՆԱՀԱՆՐԱԴՐ ԿՄԱՆԿԱՀՈՅ ՀՅՈՒՆԱԳՅԱՆԱՀԱՆՐԱԴՐ
ՀՅՈՒՆԱԳՅԱՆԱՀԱՆՐԱԴՐ ՀՅՈՒՆԱԳՅԱՆԱՀԱՆՐԱԴՐ

№ 1 (60)

2023



ՀՀԿԱՆ ԱԿՑՈՆԱԳՈՐԾ

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა წლების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი ლევან ანდრიაშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი თენგიზ მთავარელიშვილი) მხარდაჭერით.

დაბეჭდა გამომცემლობა „მერიძიანი“

გარეკანის პირველი გვერდის მხატვარი ვანო გოცირიძე,
ელენე ახლედანის პორტრეტი

№1,(60), 2023

იარტ
ი

გამოღის სამთხვევლი ქურნალი



„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა



შიდაარსი

ერისთანული რწმენა

2. ზალ გოგოვალი. ჩემი პატრიარქი

მხატვრული ლიტერატურა

4. ლან განვილი. სად არის ბედნიერება.

რომანი

8. მავლებო არაგვილი. ლექსები

10. ელგუჯა თავისი. ჩიტის წონა.

მოთხოვთ

14. მარიამ ძამუკაშვილი. ზამთარი.

მოთხოვთ

17. თინათინ თელაველი. ლექსები

19. ანა მარიამილი. ლექსები

21. როლანდ გიორგიაძე. უხილავი მფარველი.

მოთხოვთ

31. ვაჟა მილოტაძე. ლექსები

34. მარა კაპაურიძე. მეორედ მოსვლის უამს.

მოთხოვთ

39. სალომე პზარაშვილი. ლექსები

41. დათა მახადლიშვილი. ლექსები

43. დათალა ქურციკძე. ლექსები

თავისებულის საკითხები

44. მარიამ ნიძაპაძე. კოკორა და პანკო.

ზღაპარი

თარგმანი

49. ჯაკომო ლეონარდი. ბუნებისა და
სულის საუბარი. მოთხოვთა. თარგმნა მაია
ტურაბელიძე

51. ანა ახმატოვა. ნაცრისფერთვალება მეფე.
ლექსი. თარგმნა მაია მიქაიამ

ერისთანული რწმენა

52. მზია თვალიაგაშვილი. ლოცვა – მამაო
ჩვენო

ცერილები

54. სოსო ხეგუთიშვილი. წინაპართა
ნაკვალევზე

კულტურული ცხოვრების ეროვნული

61. იუბილარი სამხატვრო სკოლა

63. წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე

64. ლიტერატურული კონკურსი „ჩვენ მოვდივართ“

1



ოლე, №1, 2023





ჩემი პატრიარქი

დიახ, ბატონებო!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარ-ეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ჩემი პატრიარქია, უფრო მეტიც, ჩემი სიამაყეა, ჩემი სულიერებისა და ეროვნული თვითშეგნების უმტკიცესი დუღაბია.

უწმინდესი მე ბიბლიურ პატრიარქებს მაგონებს, თუ დაკონკრეტებას მომთხოვთ, – პირველივე პატრიარქებს, რომელიც ლვთაებრივმა მიქელანჯელომ ისე გამოაქანდაკა, რომ სხვანაორი მოსე ვერც კი წარმომიდგენია, სწორედ ასეთ მოსეს ჰქონდა პატივი აგიზგიზებულ მაყვლოვანში ეხილა არსთა გამრიგე და მისგან ის ათი მცნება მიეღო, რომლებმაც, ფაქტობრივად, განსაზღვრა კაცობრიობის განვითარების როველი და ნარეკლიანი გზა.

არ ვიცი, რატომ და რანაირად, მაგრამ მტკიცედ მნამს, რომ მსგავსი მიახლება უფალთან ჩემს პატრიარქებაც ერგო პატივად მისი სულიერი

სიწმინდისა და სრულყოფილების გამო, იმის გამოც, რომ ქართველმა ერმა იგი სიცოცხლეშივე აღიარა წმინდანად.

მე, თქვენს მონა-მორჩილს, მიზეზთა და მიზეზთა გამო ლამის ურწმუნო თომად ქცეულს, დღემდე არ მახსენდება ჩვენი სულიერი მწყემსის თუნდაც ერთი ნაბიჯი, რომელიც დაჭვების იოტისოდენა საბაბს მომცემდა.

რა ძალამ, რა შთაგონებამ, რა ფოლადისეულმა სიმტკიცემ შეაძლებინა თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ყოფილიყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესის ულირსეულესი საჭეთ-მპყრობელი და თავისი ცხოვრების ნირით, თავისი არსებობით ყოფილიყო ნორმა და ნიმუში უფლისა და ადამის შთამომავალთა კავშირისა, იმ სინერგიისა, რომელიც ქართველ ერს უფლის რჩეულთა საყვარელ ერებს შორის მიუჩენდა ადგილს...

რაც სულია სხეულისათვის, ეკლესია იგივეა ერისთვის. როცა სული სხეულს შორდება, სხეული კვდება. ასევეა ერიც ეკლესის გარეშე – ყოველივე



ეს სრულად აქვს გააზრებული და გასიგრძეგანებული ჩემს პატრიარქს და მთელი მისი სიცოცხლე, მთელი მისი ღვრა და რუდუნება იმის სამსახურს ხმარდება, რომ მისი საწყმო არ მოსწყდეს დედა-ეკლესიას და არ შთაინთქას გეენის ცეცხლში. ზედმინევნით ზუსტად იცის, რომ ადამიანი მუდამ უფლისა და სატანის მარადიული ომის შუაგულში იმყოფება და ეს ომიც, გულზე ხელი რომ დავიდოთ, სწორედ მისი სულის დაპატრონებისთვის ამტყდარი ომია, დაუნდობელი და უსასტიკესი ომი. სწორედ ამ ომში ვიმყოფებით დლესაც. რა ქარაშოტები, რა გრიგალები ატყდება თავს ჩვენს დედა-ეკლესიას, სატანის შთამომავალთა მიერ საგულდაგულოდ დაგეგმილ შემოსევებს თვლა არა აქვს. მეოცე საუკუნის ულმერთოთა კავშირის შთამომავლები არნაული გავეშებით, კბილთა ღრჭიალით უტევნენ ჩვენს სულიერებას, ჩვენს რწმენას, ჩვენს ურყვე ერთგულებას უფლის მცნებებისადმი და სწორედ ჩემი პატრიარქია უპირველესი ბალავარი, უპირველესი წინალობა და ბარიერი ეშმასეული ძალების მოგრიებისა, ქართული სულის ურყევობისა და სიმტკიცისა. ამ დროს როგორ არ უნდა გამახსენდეს ბიბლიური სიბრძნე:

„აღვაშენო ეკლესიად ჩემი და ბჭენი ჯოვოხე-თისანი ვერ ეროვნიან მას“...

დიახ, ჯოვოხეთის ვერცერთი მოციქული ვერ მოერევა ჩვენს გულებში ჩაქვითერებულ დედა-ეკლესიას და რა ბედნიერებაა, რომ ყოველივე ამაში ლომის წილი ჩემს პატრიარქესაც აქვს გადებული.

ჩემმა პატრიარქმა ამ ნარეკლიან და ხიფათიან გზაზე არაერთი მტკიცნეული დარტყმა თუ შეურაცხყოფა იგემა. როგორ შეძლო ამ ყოველივეს გადატანა, როგორ გაუძლო ამდენ ტკივილსა და დარძს. მე რომ მკითხოთ, სწორედ იმიტომაც გაუძლო, რომ ღვთის კაცია, ღვთისმშობლის წილზღვდომილი ქვეყნის შვილია, რომ სრულად აქვს შეგნებული, რომ ტანჯვა-ვაება არსებობის პირობაა. თუ გაჩნდი, უნდა იტანჯო კიდეც, მითუმეტეს თუ ისეთი ქვეყნის სულიერი წინამძღოლი ხარ, როგორიც საქართველოა. ისიც იღვწის, ხანდაზმულიბის მიუხედავად, ჩაუმუშალავად იღვწის, რომ ნოდად – მოკანკალე მი-

ნად არ იქცეს ივერთა სამკვიდრო, იმ მიწად, სადაც კაენი დაესახლა.

ჩემი პატრიარქი ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა ქართველობა განეშოროს ეშმაკისაგან და ყოველთა საქმეთა მისთაგან და ყოველთა მსახურთა მისთაგან და ყოველთა ანგელოზთა მისთაგან და ყოველთა სიბილნეთა მისთაგან.

იგი არა მარტო ამბიონიდან წარმოთქმული ქადაგებებით იპყრობს ჩვენს გულებს, არამედ საოცარი თავმდაბლობით და სიყვარულით და ჩვენც მოგვიწიდებს, გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი, ვიყოთ თავმდაბლი და მაშინ ყველა ბორიტებაზე გავიმარჯვებთ.

არსაგამრიგემ უხვად დააბერტყა ჩემს პატრიარქეს ერის მსახურების სხვადასხვა ნიჭი, ამის დასტურია მისი საოცარი საგალობლები, სულში რომ გველვრება და სიხარულსა და შვებას გვგვრის, ამის დასტურია მის მიერ შექმნილი ხატები, აღტაცებითა და თაყვანისცემით რომ განგვანებს მისი დიდებულებისადმი.

ჩემი პატრიარქის ყველა ნაბიჯი, აზრი თუ მისწრაფება ქართული იდეის, ქართული იდეოლოგის იმ მოდელის ძიებაშია, საქართველოს რომ გადაარჩენს ამ მოულოდნელად უსასტიკეს და დაუნდობელ XXI საუკუნეში.

დიახაც რომ ჩემი პატრიარქი ქართველი ერის ერთობის დუღაბია, სიყვარულის მასწავლებელი, ნუგეშისმცემელია ჩვენი, სიმტკიცეა ჩვენი, სიხარულია ჩვენი...

ჩემს პატრიარქეს დაბადებიდან 90 წელი უსრულდება. კიდევ დიდანს ზეობასა და მხნეობას გისურვებ, ჩემო პატრიარქი, შენ სჭირდები შენს საესავ ქვეყანას, შენს საესავ ეკლესიას, შენს საესავ ერს, სჭირდები რწმენად და იმედად, ბურჯად და ბალავრად.

მე მიყვარხარ, ჩემო პატრიარქო, ისევე, როგორც უყვარხარ ყველა იმ ქართველს, ვისაც გულისფიცარზე აწერია დიდი ილია მართლის დიდებული სამება – მამული, ენა, სარწმუნოება.

ზაჟ პოტკოველი





ლანა
განვითი

თავისებურო, მაღლიშის მაგისტრად, რამდენიმე გადაკარგი წლით მდგრადი ეფოთ. ზემოთან, ემირის შემცირებული მაფიულის მძიმე სარჩანი ეფუძნა.

ხელმისაწვდომი რომ მისი უზრუნველის უჩვეულო ეჭარი იქ-
უშობლივა. კრონბატის სიჩუმეს უსმინა. ემის მშვიდოფ ეძინა.
თავისი სუნთქვის რიგმი მისას აუცილებელი და თანდასამართლის
ჩასახვილის.

ლოւ 82

جذب الماء من التربة إلى النباتات، مما يزيد من إنتاج المحاصيل.

Il est où le bonheur

სად არის გელიორეგა

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №4, 5, 2021 წელი;
„ოლე“ №1, 2, 3, 4, 5, 6, 2022 წელი

დაუსრულებელი გზის დასაწყისი

გაფითორებული მელანი, ემირის სახლის წინ იდგა და ნერვიულობისგან სულ მთლად კანკალებდა. არ იცოდა რა უნდა ეთქვა, როგორ აქსნა მოულოდნელი დაბრუნების მიზეზი.

...გაკვირვებულმა ემირმა კარის ზღურ-
ბლთან გახევებულ მელანის ხელი მოჰკიდა, სახ-
ლში შეიყვანა, სამზარეულოში, მაგიდასთან დას-
ვა და ჭიქით წყალი დაუდგა. მელანი სიტყვებს
არჩევდა, წვალობდა, არ უნდოდა ბოლომდე
ეთქვა ყველაფერი. უზომოდ რცხვენოდა თავისი
უსუსურობის, გამოუვალი მდგომარეობის, უპა-
ტრონობის...

– ჩქმთან დარჩები! – გადაჭრით ნათქვამ სიტყვებზე მელანი შეკრთა, ნამოაცხუნა და მოუღლოდნელად ტირილი აუვარდა. ემირმა დასამშვიდებლად მხრებზე ხელი მოხვია: ნუ ტირი, ყველაფერი ისე იქნება, როგორც უფალს უნდაო, უთხრა და სააპაზანოში შევიდა. მერე ლოცვისთვის გასუფთავებულმა ოთახში პატარა სალოცავი ხალიჩა გაშალა, ზედ ფეხშიმველი დადგა და ხელები ზეცისკენ აღაძყრო. მელანი ნამტირალევი თვალებით აკვირდებოდა მის ლოცვას და რიტუალურ მოძრაობებს. ემირმა ლოცვა რომ დაასრულა, ხალიჩა სიგრძეზე დაკეცა, ისე რომ კარგი პირი შიგნით მოჰყოლოდა. ფანჯრის რაფაზე დადო, – მალე დავბრუნდებიო, დაუბარა და სახლიდან გავიდა.

მელანი დიდხანს იჯდა სამზარეულო-

ში ემირის მოლოდინში. დამუშტყული ხელები კალთაში ჩაედო და უცხო სიჩუმეს უსმენდა. ზურგის ძვლები ამოვარდნოდა. უცნაურ სიძარტოვეს გრძნობდა. ცივი ჟრუანტელი უვლიდა მყლავებში, ბეჭებში, რომელიც მყერდისკენ მიდიოდა, გულს ტალღისებრ მარწუხებში აქცევდა და ტკივილად განიბნეოდა მთელ სხეულში. ასე მეორდებოდა უსასრულოდ. ველარ უძლებდა. ეგონა ჭკუიდან ვიშლებიო. ისევ ტირილი უნდოდა, მაგრამ ველარ ტიროდა. ემირის გამოწვდილი ხელი უცნაური მოლოდინით აქსებდა.

...ემირი, მამამისის მეგობარ იმამთან* ერთად დაბრუნდა, რომელსაც რესულ აბით** მიმართავდა. ვიდრე მეღანიმ ხელ-პირი დაიბანა, ემირმა ოთახი მოამზადა. სამი სალოცავი ხალიჩა გაშალა, ორი გვერდივგვერდ, ერთიც ცალკე, რესულ აბისთვის. იმამს თავზე namaz tak-kesi*** ეხურა, ხელში კი ყურანი და კრიალოსანი ეჭირა, რომლებიც დაბალ სკამზე მონინებით დააწყო. მეღანიმ და ემირმა იმამის წინ ჩაიმუხლეს. ემირმა გაშლილი ხელისგულები მკერდის სიმალეზე დაიჭირა, მეღანიმაც მას მიბაძა.

იმამმა ჯერ მელანის სახელი, ხოლო შემ-
დგომ ემირის სახელი წარმოთქვა. ლოცვებს
არაბულად ამბობდა. მელანის ფრანგულად სამ-
ჯერ გაუმეორა: თანახმა ხარ რომ ნაზიმის ძე
ემირი იყოს შენი ქმარი? – მელანი სამჯერვე
დაეთანხმა. იმამი ახლა ემირს მიუბრუნდა და
მასაც სამჯერ გაუმეორა: თანახმა ხარ, რომ

* Imâm – (არაბ.) – მაჰმადიანთა სულიერი მოძღვარი.

** აბი – ზრდილობიანი ფორმა, ასე მიმართავენ უფროს ძმას ან ასაკით უფროს ადამიანს თურქეთში.

*** მცირე ზომის ქუდი, რომელსაც მუსულმანი მამაკაცები ლოცვის დროს იფარებენ.

ბლეიზის ასული მელანი იყოს შენი ცოლი? – ემირმაც სამჯერვე დაუ-დასტურა თანხმობა.

- Ben de nikahiniz kiyidim!*
- მათი ცოლ-ქმრობა თურქულ ენაზე დაადასტურა და შეულლების ლოცვა წაიკითხა.

მელანის ხან აცხუნებდა, ხან აციებდა. იჯდა გახევებული და მექანიურად იმეორებდა:

_Bismillahirrahmanirrahim... Bismillahirrahmanirrahim... Bismillahirrahmanirrahim...**

* * *

მელანი ვერ იძინებდა. ოთახში პნელოდა. უცხო გარემოს ვერ ეგუებოდა. ემირის ძლიერ მკლავებში მოქცეულს სუნთქვა უჭირდა. თავის გათავისუფლება სცადა, მაგრამ ამაოდ.

თავქვეშ, ბალიშის მაგივრად, რამდენჯერმე გადაკეცილი პლედი ეფოთ. ზემოდან, ემირის ბებიის შეკერილი მატყლის მძიმე საბანი ეფარათ.

ხვდებოდა რომ მისი ცხოვრების უჩვეულო ეტაპი იწყებოდა. ერთხანს სიჩუმეს უსმინა. ემირი მშვიდად ეძინა. თავისი სუნთქვის რიტმი მისას აუწყო და თანდათანობით ჩასთვლიმა.

...გამოღვიძებულს ემირი ლოგინში აღარ დახვდა. საათის შეხედა, დილის შვილი საათი იყო. სამზარეულოდან ჭურჭლის მსუბუქი ხმაური ისმოდა. სწრაფად წამოდგა, შიშველ ტანზე ემირის ნაიკის შავი მაისური გადაიცვა და სამზარეულოში გავიდა. ემირი ჩაი უკვე დაეყენებინა. ახლა ღრმა თევზში ყურძნის ბაქმაზს და ტაპინს ერთ-მანეთში ურევდა.

- Bonjour ma chérie!

- Bonjour mon cheri!*** – ერთმანეთს ორჯერ აკოცეს.

საუზმის შემდეგ ემირი უნივერსიტეტში წავიდა. მელანიმ კი სამსახურში დარეკა და გოეპებს ორი დღით დაეთხოვა. ჯენიფერის ცივ ტონზე ხასიათი გაუფექდა. გათიშული ტელეფონის ყურმილით ხელში ერთხანს წიგნების თაროებთან ჩამოჯდა და როგორც იცოდა ხოლმე ფიქრებში ჩაიძირა...

იმ დღეს მელანიმ საგულდაგულოდ დაათვალიერა წიგნის თაროები. თავისდა საბედნიეროდ კულინარიული უურნალიც აღმოაჩინა და ემირს აღმოსავლური ბრინჯის ტყბილი ფლავი მოუმზადა. საქმეს რომ მორჩა, ლოცვების პატარა წიგნით ხელში ფანჯარასთან ჩამოჯდა და კითხვა დაიწყო:

* მე კი ვადასტურებ თქვენს შეულლებას! — (თარგმანი თურქულიდან).

** მოწყალე უფლის სახელით... (თარგმანი არაბულიდან).

*** გამარჯობა ქვერფასო – მდედრობითი და მამრობითი ფორმები. (თარგმანი ფრანგულიდან).



ლანა მანველი

„Allâh-ü Ekber! Allâh-ü Ekber! Lâ ilâhe illallah“...****

თანაცხოვრების დასაყიდი

ლექციებიდან სახლში დაბრუებულ ემირს სადილი გამზადებული დახვდა. მართალია მელანის ტკბილი ფლავი გაეკეთებინა, რომელიც დესერტი უფრო იყო, ვიდრე სადილი, მაგრამ მაინც გაუხარდა. ლოგინიც თავისებურად დაელაგებინა. საბნისთვის გვერდები შეეკეცა და ზედაპირი

კარგად გადაეტკიცა. ამაზეც გაეღიმა. მოეწონა ცოლის დიასახლისობა. ეს რაღაც განსხვავებული იყო მის ცხოვრებაში.

მასზე ზრუნვამ დედა გაახსენა. თეალნინ დაუდგა ტკივილებისგან დაპატარავებული მჩატე სხეული და ორი გრძელი, თხელი ნაწნავი. ცხვირში სიმწარე იგრძნო. შუბლი თითებით გაიზილა და თავისითვის წაიჩურჩულა: „Mekanin cennet olsun anneciğim“.****

ცოლის გარდაცვალების შემდეგ, მეჰმედ ერთურქმა უმცროსი შვილი – მურადი ანკარაში, მამიდა ჰანდანთან გადაიყვანა საცხოვრებლად, ემირი კი სტრასბურგში. იმხანად მას საფრანგეთში თავისი ფირმა ჰქონდა გახსნილი და აქაურ თურქულ მარკეტებს ძეხვეულით ამარაგებდა.

სტამბოლის პიერ ლოთის სახელობის ფრანგული ლიცეუმის ბოლო კლასში მყოფ ემირს ენობრივი ბარიერი არ შექმნია. და როდესაც, ორი წლის შემდეგ, მამამისმა ბიზნესი სტრასბურგიდან ლონდონში გადაიტანა, ის უკვე კარგად იყო შეგუებული აქაურობას. ძლიერი ხასიათის მქონეს არასოდეს უჭირდა გადაწყვეტილებების მიღება. ემირმა კარგად იცოდა რა უნდოდა ცხოვრებისგან და რა შესაძლებლობების მქონე იყო თავად.

ოჯახის დარჩენილი წევრები ერთმანეთან მუდმივ კონტაქტში იყვნენ. ემირმა მამამისს მეორე დღესვე დაურეკა და თავისი მოულოდნელი გადაწყვეტილების შესახებ აცნობა. მეჰმედმა შვილს მოუსმინა, რჩევა-დარიგებები მისცა და უახლოეს ხანში სტრასბურგში ჩამოსვლას დაპირდა.

...ვიდრე ისადილებდნენ ემირმა მელანის ნამდვილი თურქული ფლავის მომზადება ასწავლა.



**** „ალაპი უდიდესია, არ არსებობს ღმერთი გარდა ალაპისა!“ – თარგმანი არაბულიდან.

***** სამოთხეშიგანისვენ, დედაჩემი!.. (თარგმანითურქულიდან).

Maison Kammerzell

სტრასბურგის საკათედრო ტაძართან ახლოს მდებარე, ქალაქის ყველაზე ძველ და ლამაზ სახლში გახსნილ რესტორან „Maison Kammerzell“-ში, მესამე დღეს წავიდნენ.

შუა საუკუნეების დროინდელმა, ულამაზესი ხის ჩუქურთმებით და ულამაზესი ფასადით შემკულმა სახლმა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე პატრონი გამოიცვალა, სახელწოდება მისი უკანასკნელი მფლობელის ფილიპ-ფრანსუა კამერზელის გამო მიიღო.

მელანის ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ქალაქს პირველად ხედავდა; ქუჩებს, ხეებს, შენობებს, ადამიანებსაც კი ემირის თვალით უყურებდა. ყველას ფილტრში ატარებდა და ცდილობდა მათ შორის თვითონ საუკეთესო ყოილიყო.

ოფიციანტმა ხალხმრავლობის გამო მცირე ხნით კართან დააცდევინა, შემდეგ კი ახლად გათავისუფლებულ კუთხის მაგიდამდე მიაცილა და წინ ორი მენიუ დაუდო.

მათ მაგიდასთან ახლოს მარლენ დიტრიხის პორტრეტი ეკიდა. დანარჩენ კედლებზეც ცნობილი ადამიანების ფოტოები იყო. მათი, ვინც სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ „კამერზელის სახლს“.

დიტრიხის წითლად შეღებილი ტუჩების დანახვისას მელანის ბების განუყრელი ტუჩისაცხი და მასთან გატარებული ძველი დრო გაახსენდა. გულის კუნჭულში ტკივილი იგრძნო. ეს ტკივილი უფრო სულის იყო, ვიდრე ხორცის. უზომო სევდა იპყრობდა მის გონებას, სხეულს. ფიქრებს ჯონათანთან მიჰყავდა. მასთან განცდილს ვერ გრძნობდა ემირთან. ის რაღაც სხვა გრძნობა იყო. ემირს ულიმოდა, ძალიან ფრთხილობდა, ცდილობდა მის თვალებს არ გაეთქვა სიმართლე.

დესერტად „La galette de roi“* შეუკვეთეს და ემირს სალამოს ლოცვა რომ არ დაეგვიანა, მირთმევისთანავე სახლში დაბრუნდნენ.

Pavillon Joséphine

(Artistes libres d' Alsace)

მეჰმედ ერთურქი, ლონდონიდან სტრასბურგში, შაბათ დღეს დილაადრიანად ჩამოფრინდა. ემირი აეროპორტში წავიდა მამის დასახვედრად. მათ მოსვლამდე მელანიმ სწრაფად მოაწესრიგა ბინა და კრეპების მომზადება დაიწყო. ღელავდა, არ იცოდა როგორ შეხვდებოდა ემირის მამა. მოსვლისთანავე რაც შეეძლო თბი-



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ლად მიეგება. მეჰმედს ეტყობოდა, რომ დიდად არ იყო კმაყოფილი შვილის ნაადრევი დაოჯახებით, თუმცა რძალს მაინც თბილად მოექცა და ოქროს სამაჯური უსახსოვრა. მელანიმ მადლობა გადაუხადა და მაჯაზე მოირგო. მამა-შვილმა ერთად ილოცა. მეჰმედი იდნავ წინ დადგა, ემირი მის უკან. ლოცვის შემდეგ სასაუბროდ განმარტოვდნენ. მელანის მათი სწრაფი თურქული ლაპარაკი კარგად არ ესმოდა, სამზარეულოდან აქა-იქ თუ მოკრავდა ყურს რომელიმე ნაცნობ სიტყვას. ერთგან შარლოტაც ახსენეს, რაზეც იმავე წამს აუჩქარდა მაჯისცემა და წამოახურა.

საუზმის დროს მეჰმედი რძალსაც გაესაუბრა. მისი ოჯახის გარშემო რამდენიმე შეკითხვა დაუსვა და შარლოტასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა, თან დაამატა, – კარგი იქნება შენს ძმასაც თუ გავიცნობთო. მელანი მამამთილს ულიმოდა, გულის სიღრმეში კი ძალიან არ უნდოდა თავისიანებთან შეხვედრა.

შუადლის შემდეგ ორანჟერეის პარკში წავიდნენ. სეირნობის დროს მელანი ელოდა, რომ ემირი ჩვეულებისამებრ ხელს ჩაჰებდებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ეწყინა, თუმცა არ შეიმჩნია.

უოზეფინას პავილიონთან ხალხმრავლობა იყო. ისინიც ახლოს მივიდნენ. კართან გამოკრული აფიშა იუწყებოდა, რომ პავილიონში ელზასელი თავისუფალი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა მიმდინარეობდა.

შიგნით შევიდნენ. იქ ერთმანეთში არეული სურნელოვანი არომატები და ლურჯ ფერში

* მეფის ტორტი, გალეტი, რომელსაც ტრადიციულად აშადებენ საფრანგეთში, ნათლისდების დღესასწაულისთვის. (სვტ. შენიშვნა).

განათებული დარბაზი დახვდათ. მეჭმედი ჯგუფურად მდგომ მხატვრებს გაესაუბრა. მელანი და ემირი მცირე ზომის სკულპტურებთან შეჩერდნენ. ინტერესით დაათვალიერეს ლითონის, თითბერის და მარმარილოსგან დამზადებული ფიგურები: წყვილები სკამზე წიგნით ხელში, შეყვარებულები ხის ქვეშ, მუსიკოსი ხელში ვიოლინოთი, ქერათმიანი გოგონა თავის ცუგოსთან ერთად... ყველა საინტერესო პერსონაჟი იყო.

ემირმა ნახატების დათვალიერება განაგრძო. მელანიმ სკულპტურების კატალოგი აიღო და ის იყო ქმარს უნდა დასწეოდა, რომ გვერდით დარბაზიდან ნაცნობმა ჭროდა თვალებმა შემოანათა. სუნთქვა შეეკრა. ელიასი თავისი ნახატების წინ იჯდა და მელანის სევდიანად ულიმოდა. მელანი გახევდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ელიასი წამოდგა და კოჭლობით მიუახლოვდა:

— მელანი...

მისმა მშვიდმა და თბილმა ხმამ ტირილი მოანდომა. ნიკაპი აუკანკალდა, რამდენი რამის თქმა უნდოდა...

— ძვირფასო მივდივართ, მამაჩემი გასასვლელში გველოდება. — ემირი მის წასაყვანად მობრუნებულიყო.

უხმოდ შეძრუნდა და ქმარს გაჰყვა. ზურგს უკან დიდხანს გრძნობდა ელიასის ტკივილით ალსავსე მზერას.

სტუმრად შარლოტასთან

მეჭმედი საქონლის განპაჟებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, იძულებული გახდა, ლონდონში ნაადრევად დაბრუნებულიყო. წასვლის წინ შვილს დაუბარა, რომ აუცილებლად მისულიყო მელანის დედასთან და გაეცნო.

სტუმრობამდე რამდენჯერმე ტელეფონზე დარეკეს, ზარს არავინ პასუხობდა. ადგნენ და პირდაპირ წავიდნენ. შარლოტა სახლში არ დახვდათ. მელანიმ სახლი უცხოსავით დაათვალიერა და ემირთან ერთად აივანზე გავიდა. მოაჯირზე ჩამომსხდარი მტრედები ისე სწრაფად აფრინდნენ, რომ ჰაერში მათი ბუმბულები აფრიალდა.

შარლოტა მოვინანებით დაბრუნდა. სტუმრების დანახვაზე დაიბნა. სტომატოლოგიდან მოვდივარო, — თქვა, — ყბაზე ხელმიდებული სამზარეულოში ჩამოჯდა და ჩუმად ატირდა. ცრემლები ყელში ჩასდიოდა და ტანსაცმელს უსველებდა. ოთახში გასვლა არ უნდოდა. ჩამობნელდა.

ემირი და მელანი ამაოდ ელოდნენ მის გამოსვლას. ბოლოს მელანი წამოდგა და თვითონ

გავიდა. სინათლე აანთო, დედის წინ ჩაიმუხლა, ხელი მორიდებით მოჰკიდა და გტკივაო? — შეეკითხა. შარლოტამ სახიდან ხელები მოიშორა და უხმოდ დაუქნია თავი. ერთმანეთს თვალს არიდებდნენ. მელანი მუხლზე ეხებოდა და მის დახმარებას ცდილობდა.

შარლოტამ თანდათანობით ტირილი შეწყვიტა და იმედგაცრუებული გამომეტყველებით ცალყბად გაიღიმა. მელანი მიხვდა, რომ დედამისი კპილის ტკივილის გამო არ ტიროდა.

წამოსვლამდე ემირმა იღოცა, თავადვე გაამზადა ჩაი და შარლოტას და მელანის შეს-თავაზა.

7



თურქეთი

იმ ზაფხულს ემირმა უნივერსიტეტის სამწლიანი კურსი დაასრულა და მაგისტრატურისთვის დაიწყო მომზადება. ამისათვის მარსელში გადასვლა ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ მეჭმედის საქმიანი შემოთავაზების გამო, სტამბოლში გადასვლა ამჯობინეს. ემირს სწავლასთან ერთად მამამისის ახლად გახსნილ ტექსტილის მაღაზიისთვისაც უნდა მიექედა. ნივთების ჩაპარგება ერთად დაიწყეს, ჯერ წიგნები მოათავსეს ყუთებში, შემდეგ ტანსაცმელი და მნიშვნელოვანი ნივთები. დანარჩენი ყველაფერი ემირმა დახმარების ცენტრს ჩააბარა. მელანის უყვარდა ეს პატარა ბინა. რაღაცნაირად არ უნდოდა მისი მიტოვება. ემირსაც გული სწყდებოდა, მაგრამ არ იმჩნევდა. წასვლამდე შარლოტას გამოემშვიდობნენ და ოთახის მცენარეები დაუტოვეს.

სტამბულმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მელანიზე. აქ მას სრულიად სხვა გარემო დახვდა. ჩვეულისიგან განსხვავებული, საინტერესო, ლამაზი, ხმაურიანი, თბილი, ოდნავ საშიში და მაინც მეგობრული. ვიდრე ბინას დაიქირავებდნენ, ემირის მშობლების სახლში დაბინავდნენ. მელანიმ მონიწებით მოანესრიგა ემირის დედის დროინდელი ბინა. ემირსაც ეხმარებოდა მაღაზიის საქმეებში და თან თურქული ენის შემსწავლელ კურსებზე დადიოდა. თავისუფალ დროს ემირს მელანი სტამბოლის ძეველ უბნებში დაჰყავდა და ქალაქს აცნობდა. ერთად დაათვალიერეს თოფქაფის სასახლე, აია-სოფიას ტაძარი, ცისფერი მეჩეთი, მინისქვეშა წყლის საცავი, ძველი ბაზრობები. ყველაზე მეტად ბეიქოზის სანაპიროზე შემწვარი თევზით ვახშმობა მოსწონდათ. მოინახულეს ნათესავებიც. თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, რომ არა მამიდა ჰანდანის და მურადის მოულოდნელი სტუმრობა.

ოლქ. №1, 2023





შავლებო არაგველი

მარტინ სარკოციანი

საქართველო

ხარ ნიკორნმინდის ჩუქურთმა
და ფიტარეთის სარკმელი,
წულრულაშენის ყელი ხარ,
სვეტიცხოველის კანკელი.

ხედი ხარ სამთავისისა,
კაცხის და ოშკის გუმბათი,
თაღი ხარ, ქვათახევისა,
ჯვრად დანაშენი სურათი.

სივრცე ხარ ალავერდისა
და სიღიადე ვარძიისა,
ზარზმის ფასადის ჯვარი ხარ,
ჯრუჭის ხაზების მანძილი.

სივრცე ხარ ერთაწმინდისა,
ბაგრატის ტაძრის კამარა,
წმინდა ლომისის ჯაჭვი ხარ,
ყმის ატანილი მთას მაღლა.

მთაწმინდის შუბლის ძარღვი ხარ
და მოზაიკა ბიჭვინთის,
ფუძე ხარ შიომღვიმისა,
მაღლი შენ შექმნის ნიჭისთვის.

- სიბრძნე ხარ აკადემიის
იყალთოსი და გელათის,
- შენ იხარე და იმრავლე
შვილ - მონაგარით ყველათი.

მწერას ხარშავენ მირონის

ხარშავენ მირონის,
ლოცვა ზეცამდე ადის,
და საქართველოს თავზე
გადმოდის უფლის მაღლი.

მწერას ხარშავენ მირონის,
ზეცა იბენება ხშული,
და ფულს მირონი მწერას,
როგორ იესოს გული.

მწერას ხარშავენ მირონის
რიური მაღლის მომწემის.
შენ შეენიე, ლმერთო,
ქართველის შენს კარზე მლოცველის.

შავლებო არაგველი

მცხეთას ხარშავენ მირონის,
რეკენ საუფლო ზარებს,
გზას უჩვენებენ ნათლის
ღვთის გზაზე შემდგარ მგზავრებს.

მცხეთას ხარშავენ მირონის,
წმინდაი წმინდას ერთვის,
საქართველოსთვის ზეცით
ღვთიურ ცეცხლს ანთებს ღმერთი.

მცხეთას ხარშავენ მირონის,
ირისე ჩიდება შვიდ ფრად
ლმერთან სულიერ შერწყმის
და სიყვარულის ნიშნად.

მცხეთას ხარშავენ მირონის,
ზეცა იხსნება ხშული,
და დუღს მირონი მცხეთას,
როგორც იესოს გული.

მცხეთას ხარშავენ მირონის
ციური მაღლის მომცემის.
შენ შეენიე, ლმერთო,
ქართველს შენს კარზე მლოცველს.

წვიმა

ცა იმზირება სველი თვალებით,
ავად საუპრობს წვიმა,
ხეები დგანან თავდახრილები,
საბრალო ფოთლებს სცივათ.

დასველებიათ კბა ყვავილებს,
ლერო დახრიათ გვიმრებს,
გზა არევია ტყეში ნიბლიას,
მისამართს ვეღარ იგნებს.



ველარ იკავებს ხევი ნაკადულს
ავაზასავით მშფოთვარს,
დაეკიდება ხეს წვიმის მძივი
და საპატარძლოდ მორთავს.

შენ ნუ დაილტობ კაბის ნარინჯებს,
თვალებს – დაზრდილებს ნუშად,
ტყე და ყვავილი დე გაიღუმპოს.
მით არაფერი უშავს.

პოეტის ძეგლთან

სად შენ და სად მე, ჩვენში სხვაობა
ისე დიდია, ვით მთის და ჩრდილის,
შენ პოეზიის უქრობი მზე ხარ,
მე მონათალი ვარ შენი ფრჩხილის.

ყველა სულდგმული თავის გზას მიჰყავს,
ყველას ამძიმებს თავისი ტვირთი,
ვისაც რა ცოდნა და ჭკუა მოსდევს,
იმ ძალის ტოლფას სათქმელს თუ იტყვის.

შენი სიმაღლე კიდეც მაფრთხილებს,
კიდეც მაშინებს და მატიალებს,
ჩვენ ხშირად ვცდებით საკუთარ თავში,
მაგრამ არ სცდება მემატიანე.


არ ვიცი, ჩემი ნაცოდვილარი
იქნებ არც ლირდეს თვალის შევლებად,
თუ შენს ჩრდილის ქვეშ ვერ დავესახლე,
ხელმოცარულ კაცს რა მეშველეა.

დიდებას ყველა ვითხოვთ ყველასგან,
თუმცა მცირედთა არის წილხვედრი,
ჩემი გონების სიგრძე-სიგანეს
ვამოწმებ შენი ღვაწლის მიხედვით.

ღმერთმა შემინდოს ეს მკრეხელობა,
ამინდს ვერ ვხედავ ჩემთვის სადაროს,
როცა ვედრებით, უნდა ვიცოდეთ,
ვის შევედაროთ, რას შევედაროთ.

გეფის სიყვარული

შემოდგომით, გადაფრენის კვირაძალში
თეთრი გედი სოფლის ბოლოს ჩამოვარდა,
გუნდს ჩამორჩა დამაშვრალი წინამძლოლი,
ტბაზე დაჯდა სევდიანი მწუხრის ვარდად.



შავლებო არაგველი

გედს ეამა ტბის ტალღების გრილი
დელვა,
დამაშვრალი იყო გზების
სიმაღლითა,
ვერ გაბედა ფრთამოტეხილ გულის
სწორთან
მიცურება ლალბობით და
სილალითა.

დავრდომილი სოფლელებმა
ნაიყვანეს.
...და დაეშვა ტბაზე მწუხრის
კარვის კალთა,
ცად აფრინდა უმეგობროდ
დარჩენილი,
თავი მისცა შორ გზათა და ცივთა
ქართა.

რა გამოლევს კეთილ ღვთისშვილს ქვეყანაზე,
გედს მთელ ზამთარს მკურნალობდნენ
რუდუნებით,
გაზაფხულზე ტბის ნაპირას გაიყვანეს,
უამი იყო ფრინველების მოძრუნების.

კვირის თავზე, სისხამ დილით სოფლელებმა
ტბის თავანზე წყვილი გედი დაინახეს,
და დალოცეს ძალა ღვთის და განგებისა,
სიყვარული – ცოცხალ არსთა გულის მახე.

გახსენება ქარში

მწარედ ქვითინებს ქარი აშარი,
ქარი უხორცო და უსულგულო,
ახლა სადა ხარ, ხეო ცნობადის,
სამოთხის ბალში უფლის დარგულო.

სად არის შენი ანგელოზური
მეტყველი მზერა დაღლილ თვალების?
უამი მოსულა, უამი მოსულა
ბალში ყვავილთა გარდაცვალების.

ალბათ დასცვივდა საყურ-ბეჭედი
ხეებს და ყინვის სუსხმა დააზრო,
ახლა სადა ხარ, ვარდო შირაზის,
მუხამბაზო და დილის საარო.

დამლალა შენი ნახვის სურვილმა
და თუ შენს ნახვას კიდევ ველირსე,
აღარ ვინაღვლებ, ჯვარსაც რომ მაცვან,
როგორც გვემული იესო ქრისტე.





ელგუჯა თავპერიძე

სასწორის გამო, ეგნატეს პირში თქმას ვერ უძრავდნენ,

ზურგს უკან დაწინოდნენ – წიწინილი ჩამოფენილი უქნაური ნივთით აპირებს ქვეყნის გასწორებას, ისეთი სასწაული რამე ყოფილა, წოდვა-მადლისაც წონის თურმეო – იძახდნენ.

– სხვის წოდვა-მადლის თავი გაანებოს, თავისი ანონის

– უძატებდნენ ვილა-ვილაურები.

– თავისი ანონილი აქ და დაწინილი – თვალებს ჟუტვადა კოდალახერხვირიანი. – თავისის ანონვა მოილია, სხ- ვეზე ზრუნვა ნამოინყო.

– მაგნაირი მზრუნველებით რომ გეივსო ქვეყნა, მიჭო- მარ ფეფუით და ამოვკვიკინდით.

ელგუჯა თავპერიძე

სასწორის გამო, ეგნატეს პირში თქმას ვერ უძრავდნენ,

ტუსალობიდან ჩამოყოლილ სასწორის გამო, ეგნატეს პირში თქმას ვერ უძრავდნენ, ინახავდა, გაღვიძებისთანავე უმაღ იმას შეავლებდა თვალს. გუგულის საათისხელა, უცნაური მოყ- ვანილობის ნივთს კოპნია თეფშები, უღელი, ენა, ტარი და საწონები ამშვენებდნენ. სათა- დარიგო გირები, მიკვარჩხულ-მოკვარჩხუ- ლი ფიგურები ცალკე სკივრში იდო. კვირაში ერთხელ ამოალაგებდა, განმენდდა, ისევ ჩაა- ლაგებდა. გაციმბირებულმა გერმანელმა სიკვ- დილის წინ ხელაკანკალებულმა გამოიღო რკი- ნის კარადიდან და უთხრა:

— ჩემი გაკეთებულია, ოქრომჭედლის სას- ნორი მისხალს წონის, მისხლის ნახევარს და მის ნახევარს ნურას უკაცრავად. ჩემი სასწორი — ხროტინი უშლიდა ლაპარაკას — ჩიტის ბუმ- ბული რომ ჩიტის ბუმბულია, იმასაც წონის. გაუფრთხილდი, ქვეყანა ისე წვრილმანდება, ყველას დაჭირდება ამნაირი სასწორი. შენ გა- კეთებულად გაასაღე, ვინ იქნება გამკითხავი. — ისე ახროტინდა, დაიხრჩინდა, იფიქრებდი

— კატორდაში ყოფნას გაპატიებენ, ჩინს მოგ- ცემენ, დიდი კაცი რომ შეიქნები. კეთილად გამიხსენე, ერთი რამე შემისრულე, აღდგომა დღეს, თქვენი სხვა, ჩვენი სხვა დროსაა, მარ- თალია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ღმერთი ერთია, აღდგომა აღდგომაა, — თვალებგად- მოკარკლული ხროტინებდა — სანთელი აანთე და სამჯერ თქვი — ვილპელმ არ იყავი მარ- თალი, უფალმა შეგინდოს, ვილპელმ არ იყავი მართალი — წაუხროტინა.

ეგნატე გოდაბრელიძემ დაუჯერა, სასწორი ქუთაისში ჩამოათრია, ცივი ნიავი არც იქ, არც აქ მიუკარებია, აღდგომა დღესაც პატიოსნად ანთებდა სანთელს, ვილპელმის დანაბარებს იმეორებდა. იმაზე არასდროს დაფიქრებულა,

რაში არ იყო ეს მაღალი, გაძვალტყავებული გერმანელი მართალი, რა დაუმალა. ხანდახან აეკვიატებოდა, იქნებ ვინმე ან მოკლა, ან შე- მოაკვდა, ვილპელმისნაირი ღვთისნიერი ამას ვერ იზამდა — წიხლს აჭერდა ფიქრს.

სასწორის გამო, ეგნატეს პირში თქმას ვერ უბედავდნენ, ზურგს უკან დაცინოდნენ — ციმბირიდან ჩამოტანილი უცნაური ნივთით აპირებს ქვეყნის გასწორებას, ისეთი სასწაუ- ლი რამე ყოფილა, ცოდვა-მადლისაც წონის თურმეო — იძახდნენ.

— სხვის ცოდვა-მადლის თავი გაანებოს, თავისი ანონის — უმატებდნენ ვილაც-ვილა- ცეები.

— თავისი ანონილიც აქ და დაწინილიც — თვალებს ჭუტავდა კოდალასცხვირიანი. — თავისის ანონვა მოილია, სხვებზე ზრუნვა წამოინყო.

— მაგნაირი მზრუნველებით რომ გეივსო ქვეყანა, მიჭომაც დევიფსით და ამოვკვიკინ- დით.

ეგნატემ იფიქრა, ჩემი სასწორის ამბავი ქვეყანას თუ არ გავაგებინე, ისე რა იციან, რა მაქვს სახლშიო. ამიტომ ადგა და ხმოსნებს მიადგა: მისხლის მისხლის მწონავი სასწორი გავაკეთე, მოდით, ნახეთ, დააფასეთ. პატენ- ტისა გადამიხადეთ და წაიღეთ არსებულით მსგავსი გააკეთეთ, თქვენც, ჩვენს ქალაქსაც ღმერთი ააშენებს. იმათ ჯერ ახედ-დახედეს ერთმანეთს მერე თვალი ჩაუკრეს, არაფერი უთქვამთ, გულში ჩაეცინათ გულმომცინარე- ნი სახეზე დაღრეჯილები, წამდვილ ჩინს კი არა, პრასისას, კვახის მაგიერ, ამბობდნენ, რომ არ უბოძებდნენ, მიხვდა ეგნატე, მაგრამ მაინც იმის იმედით საგულდაგულოდ, ინახავ- და შორგზამოტარებულ ნივთს, რომ ოდესლაც

ვიღაცას დაჭირდება, დიდი კაცი შევიქნები და ტყუილუბრალოდ გამციმბირებლებს, ვაი დედა, რას ვუზამო.

მშვენივრად იცოდა, რიონის ჯებირ-სან-გლებსაც რომ ვერ დაანგრევდა, მაგრამ გულს იოხებდა. ჩამოირკუტსკებულს ჯიბეში კრიზისის ეკზეკუცია ედგა. ალმა-დალმა ნა-ვარდობდა, ბულვარში ხან ჯვარედინ ხან განზე მოსიარულე ყიდულობდა და ყიდდა ჭორებს. ერთხელ ვიღაცის მუსაიფას მოჰკრა ყური: — საოლქო სასამართლოში პერევოდჩიკს ეძებენ, ბალანას სწავლა მოლეული რომ ჰქონდეს, სამ-სახურში ჩადგებოდა, ამოვისუნთქავდით პანას — ეუბნებოდა მეჭორე მეჭორეთუხუცეს. ეგ-ნატე პასუხს აღარ დალოდება.

თავქუდმოგლეჯილი გაიქცა საოლქო სა-სამართლოსკენ. მაშინვე რუსულის ცოდნა შე-უმორმეს, მოუწონეს, ნაკატორლელობა დაუ-ნუნეს: თუ ვერავინ მოვძებნეთ, დაგიძახებთ, დაგაკვირდებით, დაიმსახურებ, ტუსალობას გაპატიებთ, მაგ მუხლით ახლა ისედაც აღარ ვაციმბირებთო.


ეგნატე იმ ამბით აფოფინებული, სამსახ-ურს იშოვნიდა, ოჯახს მოეკიდებოდა, მომენ-ტის ჩავარდნისას, დამტუსალებლებს ერთ-ორ მკვახე სიტყვას ეტყოდა. ფეხის წვერებზე აწეული დაბრუნდა სახლში.

* * *

მოსკოვიდან არდადეგებზე ჩამოსულს ფართხუ დებუაძის ქალი ჩაუვარდა გულში. მაღალი, ალვისტანიანი, თეძოებამდე ნაწნავე-ბჩამოშვებული ანეტას მიმორნევისას ეგნატეს გულიც გადი-გამოდიოდა. ხან ამოვარდებოდა, ხან ჩავარდებოდა.

შეეჩვია გულის ფრიალს. ისედაც მჭლემ ჭამა-სმას უკლო, დილიდან სალამომდე ანეტას სახლთან ტრიალებდა, ბოლო-ბოლო შინ შესვ-ლა გაბედა, გული აუძაგდაგდა. თავს მოერია, თქმით ვერაფერი თქვა, ზრდილობიანად მოი-კითხა კუშტად მომზირალი ანეტა და მისიანე-ბი. ცივად შეხვდნენ.

გულაფანცქალებული მიჯნურის სტუმ-რობაზე მასპინძლები თავიდან შეჩევიდნენ, მერე გაბრაზდნენ. ქალის სახელს გვირცხ-ვენს ვიღაც სტუდენტია თუ ნასტუდენტარიო. პირველი ორი მიკითხვისას ზრდილობიანად, მერე აქაურობა დატოვეო მკვახედ უთხრეს. ერთ მშვენიერ დღეს კარი არ გაულეს. მეორე, მშვენიერი არც ის, არც ეს იყო, — ანეტასანე-ბი კარში დახვდნენ და სახლში ნასვლა, უფრო წათრევა უბრძანეს. ეგნატე დამჯერე ბავშ-ვივით იქცეოდა, რასაც ეტყოდნენ, აკეთებდა.



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ეს უფრო აღიზიანებდათ. ეტყოდნენ, წავიდო-და, წასვლით მიდიოდა, მაგრამ ხელახლა მის-ვლას არ იშლიდა. დაშინება სცადეს, არ გაჭრა. მკლავმსხვილი ბიჭები მიუგზავნეს, გააფრთხილეს. მაინც მიდიოდა. გულის ვარდის სახ-ლისკენ მიმავალ ეგნატეს ერთხელ ანეტას თავზეხელალებული მეზობელი წინ გადაუდგა და ისეთი გლიჯა სამირონეში, რომ სახლი სამ-ჯერ ამოყირავებული დაინახა. მალე გამოკეთდა. კაცმა რომ თქვას, გამოსაკეთებელიც ბევ-რი არაფერი ჭირდა, ჩალურჯებული თვალების მორჩენისთანავე, მიაკითხა დგებუაძის ქალს.

— ხმას მაინც იღებდეს ეს უპატრონო — უთხრა თავატყივებულ მეუღლეს ფართხუმ.

— ხმას რომ იღებდეს, — ამოიოხრა — კაცობის შნო და ლაზათი ჰქონდეს და გამოშტერებული არ დეიარებოდეს, ვინ ოხერი, კაცი მაინც კაცია, ხორცს შეისხამს, ადამიანს დაე-მგვანება — თავი ჩაქინდრა ელპიტემ.

— მაგისგან კაცი არ დადგეს, მეტი არაა ჩემი მტერი — ჩაიბურდლუნა ფართხუმ და ორივე ხელი თავზე შემოიწყო.

— არა, რაღაც უნდა ვიღონოთ, სახელგა-ტეხილ ანეტას ვინ შეუშვებს ოჯახში, ნეტაი, ეგ უპატრონო, მოსკოვში აღარ მიეთრევა.

— გამოუგდიათო, ამბობენ, ზნაჩიტ, არც წელს, არც გაისად დაადგება მოსკოვის გზას.

— უი დედა, უი დედა, — დამდუღლულივ-ით აკივლდა ელპიტე — რაღაც უნდა იღონო ფართხუ, რაღაც მოიფიქრე, კაცი ხარ ბო-





ლო-ბოლო.

— მოველავ მაგ უპატრონოს, მეტი რა მოვიფიქრო.

— მოველავ და დაგიჭერენ — ბოქაულივით დაემუქრა.

— აბა, რა ვქნა, სხვა საშველი არაა.

— მე ვიცი, მე ვიცი, რაც უნდა ვქნათ, რაც უნდა მოვიმოქმედოთ.

— რა იცი?! — შეუყვირა ფართხუმ.

— ჩუ, ჩუ, არავინ გაიგონოს, ვინმემ რომ შეიტყოს, დევილუპებით.

— მაინც რა მოიფიქრე ასეთი.

— რა და...

— მითხარი, გული გადამელია.

— რა და — ისევ შეყოვნდა — რა და, ისა, რომ.

— რა ისა, რა მოიფიქრე დედაკაცო.

— ანეტას საჭმელში დარიშხანი ჩავუყაროთ, სუფრაზე დასხდომისთანავე ავკივლდეთ, იმ უპატრონოს დავაპრალოთ, დაიჭერენ, გააციმიბირებენ, ჩვენ კიდე მაგის ტუსალობის მოლევამდე ქალს პატრონს ჩავაპარებთ.

— ანეტას რომ რამე მოუვიდეს?!

— სუფრაზე დაჯდომა რას უზამს?! ოლონდ მანამდე ეგნატე სამზარეულოში მივიტყუოთ, იქ ერთი-ორი წუთი შევიყოლიოთ და...

— მართლა რომ რამე მოუვიდეს, დევილუპებით, ეგნატე, ჩემო ელპიტე, შეუხედავი კია, მარა ნასწავლია, ათასი ხრიკი ეცოდინება, ჩვენი წებით არ ჩავცვივდეთ გახურებულ თონეში.

— თუ ისე მოვიქცევით, როგორც გეტყვი, ყველაფერი საჩვენოდ მოხდება.

— მაგ საფრთხილოა, მოდი, სხვა რამე მოვიგონოთ.

— მე მეტი ვერაფერი მოვიფიქრე, კაცი შენა ხარ, დადექი და იფიქრე.

— რომელი ფიქრის კაცი მე მნახე.

დიდხანს ბჭობდნენ. ბოლოს ფართხუ ელპიტეს რჩევას დაყაბულდა. ანეტას საჭმელი დარიშხანი შეურიეს, ჭამა არ აცალეს, სუფრაზე დასხდომისთანავე აყვირდნენ.

— არიქა, გვიშველეთ, არიქა ამას რას მოვესწარით, ეს რა დღე გაგვითენდა, — თმებს იწინენიდა ელპიტე.

ეგნატე, სანამ გაერკვეოდა, მანამ ბოქაული, ჩაფრებითურთ, მოვარდა, სტაცეს ხელი საწყალს და, სად უკრავდნენ თავს?! სად და, სამ თვეში ანეტას მზის მლოცველმა ირკუტსკში მოადინა ფხექა. იქ ექვსი წელი დაყო, ანეტა ჩაქმარშვილებული, ფართხუ და ელპიტე შებერებულები დაუხვდნენ. ირკუტსკიდან დაბრუნებულმა, რა ჩამოიტანა, გითხარით.

* * *

ბალდათელ ღვინის ვაჭარს გაუგია ეგნატეს სასწორის ამბავი და შინ მიაკითხა. დაწვრილებით მოაყოლა, რამდენს წონიდა ლამაზი ნივთი, მისხლის მეოთხედის მწონავი გირები თუ მოყვაო. ეგნატემ აუხსნა, გერმანელის ნათქვამიც გაუმხილა. მეღვინემ წეროსავით აღირა თავი და აჭიკჭიკდა:

— ქუთაისლების გადამკიდე, გადარეული ვარ კაცი, ყველას, გაურჩევლად კაცისა თუ ქალისა, ტკბილი ღვინო მონინთ. ნამდვილი ღვინო მჟავეა, მჟავე თუ არა, მომჟავო მაინც. ხორცზე მისაყოლებლად ამნაირ ღვინოს რა ჯობია?! ქუთაისლები, ნამდვილის გასინჯვისას, ტუჩებს პრუნავენ — მჟავეა ბატონო, ეს რომ დავლიო, კუჭი ფეხებისკენ გამექცევაო. გეექცეს მერე, თვითონ ისე ზარმაცობენ, გოჯითაც არ გადაადგილდებიან, კუჭი მაინც გეექცეთ საცხა. ნამდვილი წვენია, ჩემო ბატონო, — ვეუბნები, რას ამბობ, რომ ამბობ სიმჟავე, რასაკვირველია ზომიერი სიმჟავე ღვინის მშვენებაა, ეს ნამეტანია. ისინი თავისას, მე ჩემსას მივერეკები. ჩვენებური მელქოდები ორ-სამ საპალნეს ყიდის, ვუყურებ პირდალებული, ვილოკავ ტუჩებს. ბოლო წლებში გონს მოვეგე — ნატურალური ღვინოების დაყენებას შევეშვი — სიტკბოსთვის სახარინს ვაძლევ, სიმჟავისთვის სალიცინს ვუმატებ. ფერისთვის დანაცულ შაბიამანს, შაბსა და სხვადასხვა ფხვნილებს, ყველაფერს ვერ გაგიმხელთ, ვაძლევ, გავდივარ იოლად, სად ვიყავი აქამდე, მოვითქვი სული, მთლა მელქოსოდენს არა, მარა, იმის ნახევარს მშვენივრად ვასალებ. ღვინო მონინთ, მლოცვავენ. ადრე არ მონინდათ, მაგინებდნენ. გინებას ლოცვა რომ ჯობია, ჩემგან არ გესწავლებათ.

ეს ყველაფერი კაი თქვენ იმისთვის შეგანუხეთ, მომკლა შესარევების დარწყვამ, ზოგი ფიორი, ზოგი ნახევარფიორია საჭირო. ფჩხილით ამოვილე, ამ ხელებს ხომ ხედავ, პატარა ფრჩხილი საიდან ექნება — ხან ძალიან გავანითლე, ხან გავავარდისფერე ღვინო. მომყიდე შენი სასწორი, მამაჩემს აქვს ცხონება, ფულს მოგცემ, ყაფანში თუ შემომივლი, ღვინოსაც გადაგაყლურწებ, ოღონდ იმ გერმანელის — გერმანელი თქვი ხომ — თვალები დაქაჩა გაცოცხლების სალირალს თუ არ მოითხოვ, მადლიერი დაგრჩები.

— გამასწარი აქედან — იმხელაზე დაიღრიალა ეგნატემ, ბალდათელი ბათხო პირჯვრისწერით გავარდა ჭიშკარში.





დიდი კაცი და იმიტომ.

ბოლო წლებში რიგ ფრინველს თვითონ იჭერდა, რიგს სხვას აჭერინებდა და წონიდა. დაიჭერდა, აწონიდა, გაუშვებდა: წონაც, აწონილის დაქაჩული თვალებიც ახსოვდა — ბელურა მაქსიმუმ 30 გრამს იწონის, სამგრამიანი და ოთხგრამიანი ბელურებიცააო, იძახიან. ეძება, ვერ იპოვნა. ყორანი სამი ოყადან ოთხ ოყადეა, რამოდენაა უპატრონო. ამოდენა ფრინველი, თანაც შავი, მართლა საშინელებაა! ოყა ან ოყანახევარია მტრედი. გაპწიორებული ნახევარი ოყაც შეიძლება იყოს. ზოგი ფრინველი ღორივითაა — ბევრს კენკავს — სუქდება, შიმშილობს — მჭლევდება. მერცხალმა ჭამა, ჭამა და სელაპად გადაიქცაო, ელიმებოდა. კაი მომსილი მწყერი ხშირად აუწონია — 90-დან 120 გრამამდე გამოსულა.

დედალი მიმინო ნახევარი ოყაა, მამალი იმის ნახევარი, ძალა წონაში არაა! ექვსკილოგრამიანი არწივი მოუყვანა მეზობელმა. აწონა. იადონიც აუწონია, აივანზე სხვის ბუდეში მოკალათებული გუგულიც, ხოხბის წინილაც, წეროც, ქორიც. ვერც ბელურის, ვერც მტრედის, ვერც ქორის, ვერც სხვათა და სხვათა ბუმბულის სიმძიმე ვერ გაიგო. ა, ბატონო ბუმბული, ა, ბატონო სასწორი, არ წონის! დადებდა სასწორზე, გინდ ბუმბული დებულიყო, გინდ — ჰაერი, ჰაერის სიმძიმისაა, უწონოა.

* * *


ისედაც მჭლე ეგნატე სიბერეში სულ გამოილია. ბუმბულივით დაფარფატებდა, მიდიოდა სუდში, ქარიან დღეებში ღობებს აყოლებდა ხელს, წვიმიანსა და სიცხიანში ფარფატებდა.

— ეგნატეზე ვერავის, მიწას ამძიმებსო — ეუბნებოდა ჭიშკართან ჯოზზე დაყრდნობილი ახლო მეზობელი შორებელს.

— რას დაამძიმებს, ჩიტის წონაა.

— იმდენი წონა ჩიტები, თვითონაც იმათი წონისა შეიქნა.

— ეგნატეს ხნისა ჩვენც მასე ვიქნებით, ჩიტის წონისაა წუთისოფელი.





მარიამ
ძაგუპაშვილი

תְּנַשֵּׁן תְּנַשֵּׁן תְּנַשֵּׁן

სიღვისისა და სიცონის ზრდილობის კვალი ფანჯრის მინებზე გამოსახული. მანის როგორ მოახერხა და შემოიპარა, თუმწერ ჩუღი განზრობებუ ან ჰქონია. მისი შედევრები მაღალ ლიკარად ჩამოსხულ წერტილების ტრადიციულ... გადაიქცა

მხიარულად ლულუნებს ლუმელი და მხუჭუქი კვამლი
ზანგვად მიარღვევს გათოშილი ჰერის ფენებს.

ପାଞ୍ଜାବ ଦେଶ୍ୟକର୍ତ୍ତାଙ୍କଳୀ

ଶ୍ରୀମତୀରୁ

რა ხანია ზაფხულს ჩააპარეს თეთრი, საოც-
რად ქათქათა შეფერილობა გაფუებულმა ქულა
ღრუბლებმა და შემოდგომის ცაზე შავ-ტყვი-
ისფერი გადაიკრეს. ნოემბრის ერთფეროვან
დღეებს ბურუსის ნაცრისფერი მოსასხამი ყე-
ლამდე შეუკრავთ. სიცივისა და ნისლის ხუნ-
დებით ულმობლად შებორკილი სივრცე უცრებ-
ლოდ ტირის.

მოულოდნელად გაწვიმდა... რა უსამოდ, მომაპეზრებლად სცრის ყინულივით ცივი ჟინული. ხეებს უკანასკნელი ფოთლები ჩამოსცვიდა და და მათი შიშველი სილუეტები ძლივს ირჩევა ჩამუქებულ ჭის ფონზე.

ფოთლების გროვას ქარი წენავს, უბოდიშოდ ფანტავს. ერთ-ერთ მათგანთან ჩავიმუხლე. თაგულად შევკარი წითელი, ყვითელი, ყავისფერ-ყვითელი, მწვანე სამყალები ხეებისა და სინანულით დავაცქერდი მათ შემჭკრარ, უსიცოცხლო, სიმეტრიულ ფორმებს. ზოგი ისეა ჭიისგან დასვრეტილი, ცარიელი ძარღვები და ლეროლაა დარჩენილი, არ იგრძნობა თუ ოდესმე ცოცხლობდა, მზეს მწვანე ღიმილით ეგებებოდა. წიავის ოდნავ წამოქროლვაზე ცახცახებენ, ისე დამსუბუქებულან. სასიცოცხლო ძალა, რა ხანია, დაკარგეს. უშინიათ მთლად არ მოწყდნენ მშობლიურ ადგილებს, მაგრამ ვერ უმკლავდებიან ქარს. მას თავისი საქმე აქვს: აურ-დაურიოს ერთმანეთში ხმელი ტოტები, ფოთლები, ბალახის ბლუჯები და დასაკარგავში გადარეკოს ტრიალ-ტრიალით. ისინიც ხმაურითა და შრიალით ეკედლებიან უკანონობელს.

შემოდგომის მძიმე ღრუბლები მოახლოებულ მზეს კიდევ უფრო ახლოს მოსვლის საშუალებას არ აძლევენ. ცის თაღში მისი ძალა-დაკარგული, ელამი სხივები ამაოდ ებრძვის ჩაშავაბულ. ჩაჯანებულ გისცაბებს,

ନାଲ୍ବିଳୀ ମେଘଫଲଗ୍ରହ କେତେ ଦିନ ଏବଂ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

პის შემყურება.

ზამთრის საოცრება, რომელიც უსასრულობდან გვიცხავდა და მსუბუქად, ფართატით ეფინება დედამინას, კვლავ ისე მენატრება, როგორც დიდი ხნის წინ. მეხსიერება ვერ აღიძგამს დროს, პირველად რომ შევიგრძენი თოვლისგან მონიჭებული სიხარული.

მძიმედ მოუყვება თოვლის ბილიკს ზამ-
თარი.

...მაგრამ, მანამდე...

ადრიანი დილაა. ჭირხლისგან გადათე-
თრებული მიდამო უსიამოდ მეცემა თვალში.
თრთვილი, მის ყინვიან სამოსში გამოწყობილ
მინდვრებს პკესავით მოსდებია. უსასრულო
პეიზაჟის უინტერესო ერთფეროვნება დუმილს
მოუცავს. არავინ ჭაჭანებს გარეთ, ჩიტებსაც
ეზარებათ თბილი ბუდეების მიტოვება.

ლამის ცაზე ვარსკვლავების ციცინათელები გამოციებულ, უსულგულო თვალებს აპატუნებენ. ეზოში ყინვა დაბორიალობს, მაგრამ ოთახის კედლებს შიგნით სითბოს საიმედოდ გაუმაგრებია პოზიცია. სუსტიანი ქარი ამაოდ აწყდება ფანჯრებს და კარს. ზაფხულის ზმანებებში გახვეული არაფრად ვაგდებ ქარის მუქა-რაშერეულ ბუზღუნს, იდუმალ ხმას გათოშილი ლამისა, ტურების ჩხავილი და ჭოტების კივილი შესაზარს რომ ხდის.

სიცივისა და სითბოს ბრძოლის კვალი ფანჯრის მინებზე გამოსახული. მაინც როგორ მოახერხა და შემოიპარა, თუმცა ცუდი განზრახვა არ ჰქონია. მისი შედევრები მაღლე ღვარად ჩამოსულ ცრემლების ტბად გადაიცვევა....

მხიარულად ღულუნებს ღუმელი და მსუბუქი კვამლი ზანტად მიარღვევს გათოშილი ჰაერის ფენებს.

მშვიდად მიედინება კალაპოტში სოფლის სარწყავი არხის წყლი. მაღლიდან თხელ, გამ-



ჭვირვალე ფენად გადაკრული ყინულიდან, რომელზე მიმოფანტულ ჭირხლსაც ქარი ხვეტს, დამპალი, წყლისგან გაშვებული ტოტები ამოჩრილა. აქამდე წყლის ნებას დაყოლილი ამაოდ ცდილობენ თავი დაალწიონ შემოჭრილ ცივ სალტეს. მეორე ბოლო, რომელიც წყლის მონად ქცეულა, ისეა გახეხილ-გაცვეთილი ფსკერზე ხახუნისგან, ტალღები მკვრივი ფენის ქვეშ რომ მდორედ მიედინებიან, ტყუილად ირჯებიან გამოგლიჯონ ძალას, რომელიც მათ დაპატრონებას ლამობს.

არც ისე სასიამოვნოა ზამთრის პირველი მოსალმება: ყველაფერი მელანქოლიას და დუმილს მოუცავს. ფერების პალიტრა ძალიან ღარიბია, ორ-სამ მათგანს თუ გაიმეტებს ზამთარი. მზის ოქრო თვალსაწიერის იქით გადაკარგულა. მისი თეთრი, უნიათო ფერი უფრო ამძიმებს სიცივეს, ხელ-ფეხი საშინლად იყინება, სუნთქვაც კი ჭირს. ერთადერთი ბედნიერება და სილამაზე, რაც შეიძლება შეიგრძნო, ხშირი, უფაფუკესი ფიფქების ცვენაა და მასაც იშვიათად გვაზიარებს ძუნნი ცა.

ხეები ტოტებზე ყინულის საფარს ტკაცუნით იმსხვრევნ, მათი ტანი ნადენი წყლისგან ჩაშავებულ-ჩანაცრისფერებულა. სახურავის კიდეზე დაკიდებულმა ლოლოების ნადნობმა წვეთებმა პატარ-პატარა ორმოები გააჩინა, საიდანაც ყოველ ჩამოწკაპუნებაზე მხიარული შხეფების ნაკადი აქა-იქ იფანტება. მთებიდან მონაბერ ქარს თოვლის ცივი სუნთქვა მოჰყება. ნამქერი სახეში ყინულად მეფრქვევა, მჩხვლეტს, თითქოს ნემსებია. ამაოდ ვცდილობ მოვერიდო, მთელს ტანზე მეკვრის და მის ნისლში ვეხვევი. ცივი მზე, თითქოს, დამცინავად ილიმება: „თოვლს რა უნდა, ვერ მხედავთ?“ ცაზე კი ღრუბლის ერთი ნაგლევიც არ არის.

ნელ-ნელა მოიპარება, ფეხს იყიდებს ზამთარი...

ლამემ შავი ფრთები გაშალა და ცისფერმა, დღის მნათობთან ერთად, მიაშურა სინათლის სხვა სამეფოს. ვარსკვლავები საოცრად აბრდლვიალდნენ, თითქოს, დიდი ხნის უნახავი დედამინა მონატრებიათ, არადა გუშინაც აქ კაშკაშებდნენ, მაგრამ არც ასეთი ძალუმად. თითქოს რაღაცას მიმანიშნებენ...

გათენებისთანავე გაყინული მზე შეძვრა ღრუბლების საბანში და როდის გამოჩნდება, არავინ იცის.

...როგორც იქნა...



მარიამ პაუპაშვილი

ადრიანი დილის ბურუსში ძლივს ირჩევა მოქურუხებული ცა. რძისფერში პირველი, მსუბუქი ფანტელები გაიელვებენ და ფართატით ეშვებიან. თოვა მოდლევებასთან ერთად გაძლიერდა. მსუბუქი შრიალით ეფინება სიცოცხლეგამოცლილ ფოთლებს და ბალას ფიფქები. მიწაზე დაეცემიან თუ არა, სწრაფად იწყებენ დნობას და მიწაში უჩინარდებიან.

ფიფქებს ხელს ვაშველებ. ისეთი ნაზეპი და უსუსურები არიან, ვერც კი ვგრძნობ მათ შეხებას. ფართატა უცებ მიქრება, სველ კვალს მიტოვებს. მის გვერდით

ეცემა მეორე, მესამე... პატარა ტბორი ხელის-გულს მიყინავს.

ბარდნის...

მიწა სველია, თეთრ საფარველს უჭირს ფეხის მოკიდება, ფოთლებისა და ბალახების იმედადლა რჩება, მხოლოდ მათ შეუძლიათ გაუხანგრძლივონ არსებობა...

როგორც იქნა გაარღვია ღრუბლების ზღუდე ზამთრის გაყინულმა მზემ. ცა მოისარკა. ესეც შენი პირველი თოვლი. მოწყენილი შეუყურებ გაცრეცილ მნათობს და გულდანვეტილი ვბრუნდები ოთახის „ზაფხულში“.

ყინვიანი ღამე დგება.

ადრიანი დილის ბინდუნდში მოჩანს თეთრი, მკვეთრი ფერი. მომცრო ტანის ხეების მიწამდე დაზნექილი ტოტები ირჩევა ფანჯარაში. მავთულის ბადის უჯრედები ნახევრამდე ამოუგისია თოვლს. საოცარი სანახაობა იშლება. სწრაფად ვდგები, ეზოში გავდივარ. თეთრ სტიქიას ზეცა დაბლა, მიწაზე ჩამოაქვს. უამრავი ფანტელი ჩემს ირგვლივ დაფარფატებს. თვალის დახამხამებაში მათ საბურველში ვევევი. წამნამებზე ისე აიკნძა მათი უფორმო და ფორმიანი, ზღაპრული ფიგურები, თვალს ძლივსლა ვახამხამებ, მიჭირს რამის გარჩევა...

მოდლევდა. ღრუბლები ისე სწრაფად გაქრა, როგორც მოვიდა. თეთრმა სიმკვეთრე შეიმატა. საკვირველია, როგორ ახერხებს ღრუბლების ტყვიისფერი, წარმოშვას ეს სიქათქათე. რა კონტრასტია.

ხეებზე ბლომად დევს თოვლი, თითქმის გროვებად. თივის ზვინებს თეთრი გუმბათები წამოუხურავს, ბალახების კენწეროები ბაბუანვერას გასაფრენად გამზადებული ყვავილედივით გაფუებულა, თითქოს ქუდები მოურგიათ. დენის მავთულებს საშიში იერი დაუკარგავთ, მათი გრძელი ფაფუკი ფორმები ცის თაღის ფონზე იკარგება.





მთების კლდოვანი, ჩაშავებული მწვერვალების ქვემოთ მოჩანს ნისლის „მდინარე“: ძნელია თვალი მოსწყვიტო აუნერელ სილამაზეს.

მაღალ, ხმელ ბალახებს, მათი ნარჩენების გროვებს, თითქოს, თეთრი თავსაფრები წაუკრავთ...

იდუმალებითაა მოცული ზამთრის ტყე-დიდრონ ხეებს ათოვს, ტოტები გაბარდნილა. წიწვიანები თვალში საცემი განსაკუთრებულობით გამოირჩევა ახლად მოპარული სალამოს ფონზე. მოლურჯო თოვლზე დაფენილი ნაძვის კორომის გრძელ ჩრდილზე მკვეთრად იხატება მისი მოხაზულობა. წაწვეტებული, ნემსისებური ფორმებიც კი თამამად გაირჩევა.

ტოტების ქვეშ ყრია ყავისფერი გირჩები, რომლებიც, პირდაპირ, წვეროებით ჩარჭობილა ღრმად. დაცვენილ წიწვებს ნემსები ამოუყვითადა ჩამოირჩებიან.

ასეილისა და ჩიტივაშლას წაყოფი წითლადი ილანდება ქათქათა საფარველის ქვეშ. ამოუყვითადებული რომელილაც ბალახის ეკლიანი დეროების გაშიშვლებული, წამახვილებული წვეროები თოვლს არ იკარება.

ტყეში ცხოველებს უამრავი საზრუნავი გასჩენიათ. პირველ ყოვლისა, ახალი, თბილი ქურქი მოირგეს. ამის შემდეგ მთავარი მიზანი საკვების მოპოვებაა. მგლები სარჩოს გაძნელებული მოპოვების შიშით ცას შეჰქმუიან. მელიას, ისედაც ფუმფულა, კუდი კიდევ უფრო გაუფუქებია. ციყვი ფულდუროს მოწესრიგებითაა გართული. ბენვისა და ხავსის ქვეშაგები პირდაპირ მისწრებაა მშვიდი ძილისთვის, თუმცა, ხანდახან თოვლშიც უყვარს გასეირნება. ადვილი მისაგნებია მისი კვალი, რომელსაც მსუბუქი კუდითაც ტოვებს. ბინისთვის შერჩეული ხის ქვეშ თოვლი გირჩების ქერცლითაა დაფარული, უხვად ყრია სანახევროდ დახრულიც. კურდლელს ბლომად აქვს საკვები, რადგან უარს არ ამბობს მიირთვას ხის ქერქი და წვრილი ტოტები. რა დროს წუნიობაა, როცა ღრმა თოვლში სირბილი ჭირს. ზღარბი შესანიშნავ ბუნაგს იწყობს ტოტებით, რბილი ხავსითა და ფოთლებით. საანტერესო სანახავია, როგორ ახერხებს ფოთლების შეგროვებას: ბურთივით დამრგვალებული დაგორდება და ეკლებზე წამოიცვამს. დასრულებს თუ არა მშენებლობას, ხანგრძლივი ძილით, გემრიელად, იძინებს.

მობუზული ბეღურები ხის ტოტებზე სხედან, საიდანაც ფეხებით ყრიან თოვლს, ელოდებიან პურის ნამცეცებს. არ შორდებიან შინაურ ფრინველებს. ძალიან ეგემრიელებათ ხორბალი. ყვავებმა ლამის სადენები დაწყვიტონ, იმდენს მოუყრია ერთად თავი. საშინელი „ყვა-ყვა-თი“



მხატვარი სოფიო ჭელიძე

არემარეს აყრუებენ. მინდორში აღარაფერია, საჭმელად რომ გამოდგეს. ლეშის იმედად ყოფნამ, კი, სშირად, ცარიელი კუჭი იცის.

ქარი არ ისვენებს, დაშლიგინობს. ხეებიდან და ბუჩქებიდან ატაცებული ნამქერი ნარნარად ეფინება დედამიწას. აქაც არ ასვენებს, ახვეტავს, დაატრიალებს. მისგან გადაგვილი თოვლის ზედაპირი საოცრად გლუვია. მზე ოქრო-ვერცხლად ერევა ამ ორომტრიალში, ბრწყინავს თოვლის უწვრილესი წანილაკები. აქა-იქ წამქერის პატარა ცისარტყელები ინთება.

აუნერელი სილამაზეა ირგვლივ. ქარს არ ჰყოფნის თავხედობა ბოლომდე გაანადგუროს თოვლში განსახიერებული სილამაზე.

საოცარი სანახავია ამ დროს ნაკადული, მის ნაპირებზე სქელი თოვლი დევს. წყალს ყინულის ცივი ხელი ჯერ არ შეხებია, მხიარულად მილიკლიკებს ვიწრო ფუმფულანაპირებიან ჭრილში. მის გასწვრივ გუნდებად ადევს თოვლი პატარა ქვებს, რომლებსაც წადნობი შავი ზოლებით სერავს.

თოვლის საფარის ქვეშ მაინც ფეთქავს სიცოცხლე: ფუსფუსებენ თაგვები, მცენარეების თეთრ-მწვანე დეროები მშვიდად თვლემენ, ძილში გაზაფხული ეზმანებათ.

ოდნავ წამოთოვს. ფიფქები სწრაფად ეფინება და ავსებს ჩემს ნაკვალევს. ყველაფერი, თითქოს, სამუდამოდ ეხვევა ზამთრის ქურქში.



თინათინ
თელაველი

ବ୍ୟୋ ପ୍ରକାଶକ୍ରିୟା ମର୍ଦ୍ଦାନ୍ତ ମହିମାମୂଳିକ,
ତେଣିକା ନିରାଲ୍ପରି ନାଥାଶ୍ରୀମିଶ୍ର ଜୀବନିଷା,
ଅର୍ଜୁନ୍ଦର, ଅନନ୍ତମାଳ, ନାତ୍ରୁପାଳିକ ଭୁରୁଣ୍ଡମିଶ୍ର ଶିଳ୍ପି,
ହିମୀ ନାତ୍ରୁପାଳିକ ପତ୍ରାଙ୍ଗ ଏବଂ ମିନଦା...

ଟିନ୍‌ଡାରିନ୍ ଶ୍ରେଣ୍ଟସ୍‌କ୍ଲାବ୍

17



ଓঞ্জনাবৎ!

მთა, ზურმუხტით მოხატულა,
ყველა მხრიდან თელავი,
სიბლის ზღვაში მონათლულა,
შეედრება ვერავინ...
დღოის რაშებს მიაგელვებს,
ანძყოს ანთებს წარსულით,
მომავლის მზით ფიქრს აღელვებს
სიდიადის გზასრულით...
თქვით, რა ბრნებინავს – დარად მისი? —
გულთა მზეთა ბარაქით?!
თელავია: მარადისი, —
სიყვარულის ქალაქი...



თინათინ
თელაველი

ବୁଦ୍ଧିମତ୍ତା, ବ୍ୟକ୍ତିଗତିରେ ପରିବର୍ତ୍ତନ ଆବଶ୍ୟକ !

მთებით მორთულ ალაზნის ველს კუმჩერ, ვხარობ, გულით ვტკბები, ნისლის ტბაში ჩაძირულან კავკასიის ლურჯი მთები... მზით ელვარე, თეთრ მწვერვალებს, მყერდს უმშვენებს ღრუბლის ფრთებიც, ამბავს ყება მატიანის, – სიჭარმაგის, უხვი წლების... ალაზნის ველს, სიტურჯით მწველს, მღერალს – ჰანგთა მფრქვევი ხმებით, გვირგვინს ადგამს, ალამაზებს, ეს, უზადო თეთრი მთები, – და... ამ, მთების მაყრიონში, მზირალს, – ზღაპრულ მთების ხედით, რიყრაშისას, ხიბლით საკესეს, ვეტრით, ვლოკავ, რწმენით ვხვდები...

ବୀରଳୀଙ୍କ ଜୟନ୍ତୀ!

მზებ გაზაფხულის სული შთაბერა,
სხივით აავსო მიდამო ირგვლივ,
შიშველ რტოებზე კვირტი დაბერა,
ზურმუხტის ხიბლით აანთო იგი...



საქანაულია ნამდვილი!

ქარი ქრის, ყვავილთ სურნელი,
სახეზე მელამუნება,
სამყაროს ხიბლით, – ულევით,
მაოცებს დედაბუნება:
სიცოცხლით ტკბობაც, სინაზეც,
ფრინველთა ლხენაც, ნადიმიც,
სიკეთის სიბრძნეც, წვიმა – მზეც,
სასწაულია, – ნამდვილი...

18



რომა!..


როს, ერთურთს ვეტრფოდით, გარემო მღეროდა,
არავის ველოდი, არავინ მელოდა,
ვიდრე, შენ, მეტყოდი – რომ შინ, სხვა გელოდა,
ვეღარას ვერ ვგრძნობდი, ალარრის მჯეროდა...

იქეფად მოჩანს

ეჭვი, ტიალი, დღეს – ეკლიან გზაზე შემომხვდა,
გული დასერა, ვით, ბურუსმა, – სინათლეს რომ ნთქავს,
თუმცა, იმედის პანაწინა სხივი შემომრჩა
და... ჩემი განცდის, ნატვრის ამხდენ იმედად მოჩანს...

კვლავ, რომში მიღის

სიცოცხლე საკსეა მზიანი ლაქვარდით,
მშვენიერთა სქესის იდუმალ რიდით,
ადამის მოდგმის სვე, ჩანჩქერად ლალად დის,
ჰეგავს თქმულს: რომ... ყველა გზა, კვლავ, რომში მიღის...



ანა
განოველი

დამინიჭუნდი, ორემ, ლაპაზ გაზაფხულს,
უშენობით, დაუკრიგა ფერები,
და... იმ გრძნობით, ჩემს გულში რომ ანთა,
ძველებურად, ისევ, მოგეფერები.
დამინიჭუნდი, რაფგან ჩემი სიურქზე,
შენთან ერთად, მხოლოდ, შენით იცირა,
დამინიჭუნდი, სეცდამ, რომ ამ წამლულს,
ამ დამბლიოს, ისევ, შენზე ფიქრება.
დამინიჭუნდი, რაჯ ამ უნდა, შორის ვიყო,
გაფამოვლასაც, მოემს და გელების მზიანების
და ოწნებას, წატვრას, შენი მოსვლისას,
სიყვარულად, ისევ, ადაბიანებ.

ଓଡ଼ିଆ ପାଠ୍ୟକର୍ତ୍ତା



შემოზრდანდან გაზიარებული

შემობრძანდა გაზაფხული, —
უნაზესი ფერებით,
გასაოცარ სურათს ხატავს, —
ჯადოსნური ხელებით.
შემობრძანდა გაზაფხული
და სიცოცხლეც იწყება,
საოცნებო ზღაპარია,
ნაზი თავდავიწყება.
ველზე ია ამოსულა, —
პანაწინა, პანია,
შემობრძანდა გაზაფხული
ფარჩის კაბა აცვია.
თოვლისფერი ენძელები
კელაპტრებად ანთია,
სხეარულით გული მღერის,
გვედებით ლამაზ განთიადს.
დანავარდობს ცელქი სიო,
გაზაფხული მახარა,
ყვავილების ფანტელები
თავზე გადამაყარა.
შემობრძანდა გაზაფხული
და სიცოცხლე იწყება,
საოცნებო ზღაპარია, —
ნაზი თავდავიწყება.



ანა განოვანი

ნუნუ ძაღლების დვილები

როგორც – ზღაპარის ფერია,
ჯადოსნური ხელებით,
ხატავს ლამაზ სამყაროს
საოცარი ფერებით.
სულში, უცებ, შემოდის, –
იპყრობს გულის კუნძულებს,
საოცარი რითმები,
სულ, ლეისებად ჩურჩულებს.





დაგვაქროლებს ზეცაში,
ლამაზ ლაპირინთებში
მზის კაშკაშა სხივებში,
თითქოს, ვცხოვრობთ მითებში.
სულ, ღრუბლებში დავფრინავთ,
სულ, მზიანი დარია,
პოეზიის სამყაროს,
მართლაც, ნატვრისთვალია.
როგორც, – ზღაპრის ფერია,
ჯადოსნური ხელებით,
ხატავს ლამაზ სამყაროს, –
საოცარი ფერებით!..

დამიბრუნდი

დამიბრუნდი, რაც არ უნდა შორს ვიყო,
გადმოვლახავ, მთებს და ველებს მზიანებს
და ოცნებას, ნატვრას, – შენი მოსვლისას,
სიყვარულად, ისევ, ავახმიანებ.
დამიბრუნდი, თორემ, ლამაზ გაზაფხულს,
უშენობით, დაეკარგა ფერები,
და... იმ გრძნობით, ჩემს გულში რომ ანთია,
ძველებურად, ისევ, მოგეფერები.
დამიბრუნდი, რადგან ჩემი სიცოცხლე,
შენთან ერთად, მხოლოდ, შენით იწყება,
დამიბრუნდი, სევდამ, რომ არ წამლეკოს,
არ დამძლიოს, ისევ, შენზე ფიქრებმა.
დამიბრუნდი, რაც არ უნდა, შორს ვიყო,
გადმოვლახავ, მთებს და ველებს მზიანებს
და ოცნებას, ნატვრას, შენი მოსვლისას,
სიყვარულად, ისევ, ავახმიანებ.

აქედან და შენამდე...

აქედან და შენამდე,
მხოლოდ, ერთი ხიდია,
შენი გზა და ჩემი გზა,
პატარა და დიდია.
გიყურებ და მაოცებ,
ნათელი ხარ – აისის,
ნაზი გაზაფხული ხარ,
აპრილი და მაისი.
მზეს მოვტაცებ, ცხრათვალას,
ოქროს სხივებს დაგაყრი,
გულის ფესვებს ვახარებ,
სიყვარულით ტანაყრილს.
ისე, ავალილინე
ჩემი გულის სიმები,
სიხარულით მოდიან,
გაზაფხულის წვიმებიც.
აქედან და შენამდე,
მხოლოდ, ერთი ხიდია,
შენი გზა და ჩემი გზა,
პატარა და დიდია.



როლები გირჩებები

ჩემი უკრაინეთი, ასევე ქვეზე ჩამომჯდარმა, შევისახმა დედობერმა მიიქნა. აფატი და მასთან მივეჭი. ლენინგრად შეს, მცავე პომიდვრისი ქილა ეფექტურად მომინდა მცავე პომიდორი. სერიუმის მივეჭი, ქილას დაცარენერმა. შევი თავსაფრითი ფარარა თმა ჩამომძლობა და საორიად კუთილი, სეფარინი, თავლისეფერი თვალებით იმზირებოდა. გულომისისი- ვით გამიღმა, ქილიდან პომიდორი ამოლო და გამომზრდოდა. შეუცვენებულად ვუძილი მწვანე პომიდორის. შენუტებულმა დე- დაჩემმა ლარ იურა რა ექნა და პოდიშებს იხდითა, მერო კი ლიმილს ვერ იყვერდა. როგორჯ იქნა შეუცვიტე ჭამა, საორი ბევრა ვიგრძენი. ალნა სიქიანია, თქვა მერომ. დედა დართხსმა და მოუთხრო თუ როგორ ვიძნავ წილ წაროში. როლნდ გიორგაძე

21



უცილავი გვარველი

წრიალებ, წრიალებ გალიაში გამომწყვდეუ- ლი მხეცივით. რას წრიალებ, რას შეველის წრია- ლი? სანამ ფიქრები დაგახრჩობენ და სულს ამოგხდიან, რაც დაგავალა, ის გააკეთე. ლამით თავზე დაგადგა, ძილ-ბურანში ავსული გეგონა, მკრთალი ლანდივით დაბორიალებდა.

— არ შეგეშინდეს, — გითხრა მან.

მოდი და ნუ შეგეშინდება როცა ჰაერი გელაპარაკება.

— შენს წასაყვანად ზეციდან მოვედი. ისე, სულ შენს გვერდით ვიყავი, შენ კი ვერ მამჩნე- ვდი.

— სად მიგყავარ? — შიშისგან დაზაფრულმა ძლივს ამოვილულლუდე.

— ნუთუ ვერ ხვდები, — ჩაიცინა.

— ასე ადრე?

— თქვენთვის ყოველთვის ადრე.

— ჰატარა ხანს მადროვე, ასე მოუმზადებელი სად წამოვიდე?

— ნუ გეშინია, იქ საგზალი არ დაგჭირდე- ბა, შენი საგზალი წარსული ცხოვრებაა, — მცირე ხანს დადუმდა, — კარგი, შვიდ დღეს გაძლევ, შვიდ დღეში მთელი შენი ცხოვრება ჩამონერე. მომიტანე, გადავხედავ და დანარჩენზე მერე ვი- საუბროთ.

შემეშინდა, მაგრამ თბილი, სასიამოვნო ხმა ჰქონდა.

— წამზომი ჩართულია. შვიდი დღე, გესმის? დროს ნუ კარგავ, დაჯექი და წერე.

ნეტავ როგორ წაიკითხავს, მკრთალი ნის- ლივითაა. გამაგიუებს ეს კაცი, ოცნებების და მცონაროების დრო ალარ გაქვს. დაიწყე, იქნებ გადავივადოს კიდეც. ჩათვალე, რომ წერა შენი სამურნალო თერაპიაა, გადარჩენის შანსი. დან- არჩენს დრო აჩვენებს. არ გინდა შვიდი დღე ლო- დინი? ნეტავ წავეყვანე. რა ზარმაცი ხარ, წერა გეზარება? მოკლედ, შვიდ დღეში ადამიანის გა- დაკეთება შეიძლება? არავინ ცდილობს შენს გა-

დაკეთებას, დაწერე ის ვინც ხარ, სულის მტან- ჯველი ფიქრებისგან მაინც გათავისუფლდები.

საიდან დავიწყო? რა თქმა უნდა საწუთოში მოვლინებიდან. საოცარია, მაგრამ სიყრმის გა- ცრეცილი ლანდებიდან ბებია უფრო გახსენდება. ამქეყნად მოსვლა არავის არ ახსოვს, საიდუმ- ლოთი და ბურუსითაა მოცული. დედა გზრდი- და, ახალგაზრდა, გამოუცდელი დედა. ბებიას მითითებით იზრდებოდი, იმ მითითებებითა და მოძღვრებებით რომელიც ბებიას წინა ბებიებმა ასწავლეს. გამოცდილება ხომ წაურთმეველი გან- ძია. ხელოვნურად გაწყვიტეს აღზრდის ის ძაფი, რომელიც ახალგაზრდა დედას წინაპართა გა- მოცდილებასთან აკაეშირებდა და შედეგიც სახ- ეზეა: უფროსებისადმი უპატივცემულობა, ბილ- წიტყვაობა, რაც განსაკუთრებით ქალებისგანაა საკვირველი და სხვა უამრავი თავის ტკივილი.

სად გადავარდი! დავანებოთ ამას თავი. რაზე ვლაპარაკობდით? ეჲ, მახსოვრობავ! ხო, ახლად- გაღვიძებული ცნობიერების პირველ მარცვლებ- ზე. დედის მეტრდს დიდხანს ვიყავი მიჯაჭვული, ძლივს გადამაჩვიეს ძუძუს. ფოფრი იყო პირველი ნივთი რამაც შენმი შიში აღძრა, გაუცნობიერე- ბელი შიში. არც გუდიანი, არც მგელი, უბრალ- იდ ინდაურის ფრთიდან შეკრული პატარა კონა, რომელსაც ფოფრს ეძახიან და მაგიდას ასუფთავებენ წამცეცებისაგან.

დედულეთში ვიზრდებოდი, პირველ ხანებში ბებია მზრდიდა, მის გვერდით ვინექი, ჭექა-ქუ- ილისგან დამფთრხალი ჩავეკვრებოდი ხოლმე. მომეფერებოდა, თავის ბავშვობისდროინდელ ამბებს მიყვებოდა. დედ-მამა ქალაქეში საქმია- ნობდნენ და საქმაოდ მხცოვან მამის ბებიაზე და ბაბუაზე ზრუნავდნენ. კიდევ რა გახსოვს? ბევ- რი რამ გაქრა იმდროინდელი ამბებიდან, ბებიას ხსოვნა კი სიკვდილის კარამდე გამყვება, რომე- ლიც თურმე ასე ახლოს ყოფილა. შვიდი დღეო! მოგონებებიდან შვილიშვილების ხმამ გამომიყვანა.





– ბაბუ, წავიდეთ. ყვავილებზე ფუტკრები და პეპლები დასხდებიან, ფოთლები ცვივა ქარში. არ გესმის ბაბუ, გეყოფა წკაპუნი, წავიდეთ ეზოში.

უნდა გავვევ, ბავშვს კი არა, დიდს ვერ აუხსნი რაც ჩემს თავს ხდება.

– ბაბუ, კიდევ ერთი ლექსი მოვიგონე. კატოს არ აინტერესებს, წამოდი და მოგიყვები. – შემოუტიტინა ოთხ წელს გადაიღიებულმა ელისაბედმა.

– ბაბუ, მეც დავანკაპუნებ რა.


– მიდი და აწყაპუნე, კუდრაჭა.

თქვენში გაგრძელდება ჩემი სიცოცხლე. შეემვი, სენტიმენტების დრო არ არის, ყოველი წუთი ძვირფასია, ანგარიში გაქვს ჩასაბარებელი, რომელზეც შენი მომავალია დამოკიდებული. ეჰ, ისევ ამქვეყნიურზე ვფიქრობ.

კაცი წამოდგა, უცნაურად მოაზროვნე ბავშვებს ხელი ჩასჭიდა, წინკარში გავიდა. ეზოში ჩასვლისთანავე ბავშვები საქანელას მისცვივდნენ. უცნაური ბავშვი იყო ელისაბედი, ოთხ წელს გადაცილებული საოცარ, ასაკს შეუფერებელ რამებს წარმოთქამდა. აგრე, თუნდაც ყვავილებზე ფუტკრები და პეპლები დასხდებიან, ფოთლები ცვივა ქარში. შევევითხე ერთხელ, ბაბუ საიდან იგონებ ასე მწყობრად დალაგებულ საოცარ სიტყვებს-მეთქი? არ ვიცი ბაბუ, ვიღაც მკარნახობს, ძალიან ლამაზი ქალიო. ბავშვის ფანტაზია შეუმეცნებელია.

ეჰ კიდევ, სხვაგან გადავვარდი. ეგონა მობორიალე ფიქრებს ეზოში მაინც დააღწევდა თავს. გარშემო ყველაფერი ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა, ყურებში განუწყვეტელი წივილი ესმოდა. ექიმთან ხომ არ მივიდე? და ანი რას გიშველის ექიმი? ეზოდან ამოსვლისთანავე კინწისკვრით მიაგდო საკუთარი თავი საწერ მაგიდასთან და ბავშვობისკენ გაინავარდა. დრო ძალიან ცოტა ჰქონდა.

ახლა დედულეთი მცირე ხნით დავტოვოთ და მამულეთში გავემგზავროთ, იქაური ამბებიც ხომ უნდა მოვჩხრიკო. აბა, დრო როგორ მოვკლათ, რა უცნაური ნათქვამია, დრო მოვკლათო, არადა პირიქითა. მამულეთში დიდ ბებიასთან და ბაბუასთან ვცხოვრობდით. ბებია ფიცარივით ხმელი ქალი იყო, ბაბუა უფრო შევსებული და მნითური. წაბლის ხის პატარა სახლი ჰქონდათ და ყველანი იქ ცხოვრობდნენ. კარგად მახსოვს მზეზე მიფიცხებული, დიდ ქვაზე ჩამომჯდარი ბებო ჯოხით ხელში. მიუხედავად მხცოვანებისა ძალზე მარჯვე ქალი იყო, მდინარეზეც ჩადიოდა და ტოტებს აგროვებდა. წყლისგან გაბრიალებულ ტოტებს სპილოსძვლისფერი დაჭკრავ-



როლანდ გიორგაძე

და, სათამაშოდ ვიყენებდი. ბებო სულ თავშალში იყო გახვეული, რომლის ბოლოთი ხშირად ინმენდდა ცრემლს. რომ წამოვიზარდე, მერე გავიგე, თურმე სამი შვილი დალუბვოდა ომში. ბაბუას, როგორც აღვნიშნე, ულალი ფერი დაჭკრავდა. ძალზე მშრომელი კაცი იყო, ომის დროს ობლებს ინახავდა. დაკორძილი თითები და ამობურცული სახსრები ჰქონდა, როგორც ჩანს სახსრების დავადება აწუხებდა. ვერაფრით ისწავლა ჩემი სახელის სწორად წარმოთქმა, ხან რას მექახდა, ხან რას.

დიდი ჭირიანი ბავშვი ვყოფილვარ, ხშირად ავადგმყოფობდი, სანამ ენას ამოვიდგამდი სულ ვლნაოდი. რით არ მინამლეს, მაგრამ ვერაფერი მომიხერხეს. გამნარებულმა დედაჩემმა ალარ იცოდა რა ექნა. ერთხელ, მოფერებისას, თურმე ყურზე მოუხვდა ხელი და დამიქცევია ქვეყანა. მიხვდნენ, ყური მანუხებდა.

სახლის უკან უზარმაზარი კირის ორმო იყო ამოთხრილი. სულ მაფრთხილებდნენ, არ მივკარებოდი, ჩაიფუფქებიო. მეც შიშით გავერიდებოდი ხოლმე. ისე კი მიკვირდა, უცეცხლოდ როგორ დავინვებოდი. წვიმიანობისას ეზო იტბორებოდა. წყლის დასაწრეტად მამამ უზარმაზარი თხრილი გაჭრა, იმდენად ღრმა, გადაფოფხებაც კი მიჭირდა. ბევრ რამეს იმახსოვრებს ბავშვის გონება და გასაოცრად ღრმა სიბერემდე ინარჩუნებს. ჩემი სახელით შეწუხებულმა დიდმა ბაბუამ მამაჩემს გული გამოუღო სასწრაფოდ ბავშვი მოვნათლოთ და სახელიც გამოვუცვალოთ. საოცარი კაცი იყო დიდი ბაბუა, ბავშვივით გულუბრყვილო, გულწრფელი, ტყბილად მოუბარი და სინდისიერი. ღრმად მხცოვანს მხედველობა და ყურთასმენა დააკლდა, გადაწყვიტეს ქუთაისში ექიმთან წაეყვანათ. ეს მაშინ არც თუ ისე ადვილი საქმე იყო. ორმოცდაათიან წლებში ტრანსპორტი იშვიათობა იყო. ხან ფეხით, ხან ურმით და ხან მანქანით ქუთაისამდე ჩააღწიეს და ხელდამშვენებულები ექიმს მიადგნენ სახლში. ექიმი შორეულ ნათესავად გვერგებოდა, გასინჯა ბაბუა და წამლებიც გამოუწერა.

– თქვენი დიაგნოზია... – დაიწყო ექიმმა.
– არა, ბატონო, – არ დაამთავრებია ბაბუამ,
– ჩემი სახელი დიანოზია.

ექიმს ღიმილი გაქოთომია სახეზე. იმ ღამით მასთან დარჩენენ. მეორე ღილით ოჯახმა საუზმე გაუწყო სტუმრებს და ფინჯანით ჩაიც მიართვეს. უყურა, უყურა ორთქლავარდნილ ფინჯანს ბაბუამ და ოჯახის უფროსისითვის მიუმართავს:

– თუ ღმერთი გნამს, ღვინო რომ მოგიტანე ის დამალევინე ჩემო ბატონო. რა გლეხის საქმეა



ჩაის ჩემი დედაკაცი გაციებისას მასმევს ოფლის მოსადენად...

ხო, ჩემ სახელზე გართულება ჰქონდა ბაბუას, არაა ქართული სახელიო. მონათვლა არც-თუ ისე ადვილი საქმე იყო მაშინ, თანაც საშიში. ეკლესია, ხატი და მღვდელი ხომ სასტიკად იკრძალებოდა. ერთ დღეს დედა მექასის, შემოდი შვილო სახლში, მკურნალი ბაბუა მოვიდა, გამოგილოცავს და ავადაც არასოდეს გახდებიო. შევედი სახლში, მაგიდის თავში ვიღაც შავწვერა, შავებით შემოსილი უცნობი იჯდა, ფეხზე წამოიწია და ჩემსკენ წამოვიდა. შიშისგან გული კინალამ გამისუდა და ღრიალით კარს ვეცი. თხრილთან დამიჭირეს და მაღულად მომნათლეს. მას მერე, დიდობამდე, ავადმყოფობას სერიოზულად არ შევუწუხებივარ.

ეზოში, მომცრო ზომის, თუთის ხე გვედგა სპილოს ყურებივით ფართო ფოთლებით, მწიფობისას ხშირად ვსტუმრობდი. ერთხელაც ავბობდი და პირს ვიტყბარუნებდი. დახუნძლული ტოტის მოსაწევად მეტისმეტად გადავიზნიქე, თავი ველარ შევიმაგრე და ძირს მოვადინე ზღართანი, ავღრიალდი. მაშინ მოუნათლავი ვიყავი. ღრიალზე მეზობლებიც მოცვივდნენ, გამსინჯეს და გამომსინჯეს. ერთმა შავოსანმა ბრძენქალმა თქვა, ეს ხე მოჯადოებულიაო. მისმა სიტყვამ შეიწირა ის საოცრად ლამაზი ხე, მეორე დღესვე მოქრა მამაჩემა. დიდხანს გამყვა იმ ხის ტკივილი, მანუხებდა, მებრალებოდა. დიდობაში მის იდგილას თუთის ხე დავრგე და ასე გამოვისყიდე ჩემი დანაშაული. არა, არა, მეტი აღარ შემიძლია, საკმაოდ დამჯანცველი ყოფილა წერა. წამოიწია, ფეხზე წამოდგა, დაბუჟებულმა სხეულმა შვებით ამისუნთქა.

ქვიშის საათი კი ნელ-ნელა იცლებოდა, ისევ საწერ მაგიდას მივუჯექი, ისევ წარსულის ჩხრეკა დავიწყე. ასე მონაცვლებით ხან დედულეთში და ხან მამულეთში მივყვებოდი ბავშვობის უდარელ გზას.

ერთ ჩვეულებრივ დღეს, დედულეთში, როცა ჩემს მიერ მოგონილი თამაშებით გული ვიჯერე და მოწყენილობისგან აღარ ვიცოდი რა გამეკეთებინა ეზოში ჩემი ტოლა ბიჭი შემოვიდა, ზოლებიანი პიუამა ეცვა, მუხლსქვემოთ, შარვლის ტოტები უცნაურად იყო გამობერილი და ზონრით შეკრული. გამიკვირდა, ასეთი გასიებული ფეხებით როგორ დადის-მეტქი. გამეცნო, მე არსენა მქვიაო, მეც ვუთხარი ჩემი სახელი. ბებიაჩემის ძმისშვილიშვილი ყოფილა. შორს, სოფლის ბოლოს ცხოვრობდა. ბებიაჩემის უთქვამს, შენი ტოლა შვილიშვილი მყავს, გაგაცნობო. მარტობის გამო ხშირად ვიწყენდი და ბებიას ვებრალებოდი. იმ ბიჭსაც გახარებია და ამოვიდა ჩემს გასაცნობად. ჩამოვჯექით, თვალები სულ მისი ფეხებისკენ გამირბოდა. ვერ მოვითმინე და

ვკითხე:

— ფეხები რატომ გაქვს ასე გასიებული?

— რა? — ფეხებზე დაიხედა და ეშმაკურად გაიღიმა, — ხო, ძალზე მტკივა, ძლიერ ამოვედი შენამდე, — მერე მოუსვენარი ცელქი თვალები შემომანათა. მიყურა, მიყურა, გადაიხარხარა და მოცელილივით გაგორდა მინაზე.

კაი გვარიანი შიში ვჭამე. მალევე წამოიმართა, შარვლის ტოტებს ქვემოდან ხელი გამოკრა, საიდანაც უამრავი თხილი გადმოცვივდა.

— აბა, შენთან ხელცარიელი ხომ არ მოვიდოდი, — თქვა ამაყად.

ბევრი ვიცინეთ, მთელი დღე ვაკნატუნებდით თხილს. დავმეგობრდით, სულ ერთად ვიყავით. ხან მე ვრჩებოდი მათთან სახლში და ხან ის რჩებოდა ჩვენთან. მხიარულად გადიოდა ზაფხულის დღეები. მეტად საინტერესო ბაბუა ჰყავდა არსენას, გვეფერებოდა და გვანებივრებდა. კარგად უკრავდა ფანდურზე და კარგადაც მღეროდა, მეც მამლერებდა. ძალიან გვიყვარდა. ცხოვრების გაკვეთილებს გვიტარებდა, გვასწავლიდა ქცევის წესებს, თუ სად როგორ მოვცეულიყავით. ერთხელ, თამაშისას, ჯიბიდან ორი წითელი კვასკვასა ვაშლი ამოილო, ისეთი ლამაზი და სურნელოვანი ნერწყვი მომადგა პირზე. გაუწოდა თავის შვილიშვილს და უთხრა: ერთი შენს მეგობარს მიეციო. არსენა დიდხანს დაცურებდა ვაშლებს. ერთი შედარებით უფრო წითელი იყო, ლამაზი და დიდი. ვერ გადაეწყვიტა, რომელი გაემეტებინა. ბაბუაც ყურადღებით გვიცქერდა. ბოლოს, რომელიც ყველაზე ლამაზი იყო მე გამომიწოდა. გაუხარდა ბაბუას, გულში ჩაიკრა ბიჭი. ასე ჩემო შვილო, სტუმარს დიდი პატივისცემით უნდა მოეცყრა, სტუმარი ღმრთისგანააო. რა კარგი ხანაა ბავშვობა, და რა მალე მთავრდება. ბავშვური უბინოება რომ დიდხანს მიყვებოდეს კაცთა მოდგმას დედამინა სამოთხეს დაემსგავსებოდა.

ზაფხული იწურებოდა, სექტემბრიდან პირველ კლასში უნდა შევსულიყავი. მთელი დღეები გართობა თამაშში გაგვყავდა. ხან ბურთს დავდევდით, ხან მშვილდ-ისრობანას ვთამაშობდით, ხან ხეებზე დავძვრებოდით, ხან ნალიაზე ავდიოდით და ხმამაღლა ვმღეროდით. ყველაფერი რომ მოგვწყინდა წყაროზე ჩავედით, გაოფლილნი მივასედით ყინულივით ცივ წყალს. ძალზე ცხელოდა, გადავწყვიტეთ წყაროში გვეპანავა. საკმაოდ ღრმა იყო, მხრებამდე შემოგვევდა. დიდხანს ვიჭყუმბალავეთ, ვიცელქეთ, ვიყვინთავეთ. არადა, ორი დღის წინ, ბებომ გამაფრთხილა, დედაშენი ჩამოდის, დალილავებული ნუ დახვდებიო. დალილავებული არ დავხვდი, მაგრამ სიცხიანი კი. ჩვენმა ბანაობამ ყინულივით ცივ წყალში ორივენი გაგვაცია.

მეორე დღესვე სასწრაფოდ დავტოვეთ დედულეთი, ისე რო სიყრმის მეგობართან გამომშ-



ვიდობებაც კი ვერ მოვასწარი. ზესტაფონის ავტოსადგურში ხის ძირში, ქვაზე ვიჯექი და სიცხიანი თვალებით ვიმზირებოდი. უაზროდ გავყურებდი მოფუსფუსე ხალხს. ჩემი ყურადღება, ასევე ქვაზე ჩამომჯდარმა, შავოსანმა დედაბერმა მიიქცია. ავდექი და მასთან მივედი. ფეხებთან შუშის, მუავე პომიდვრიანი ქილა ედგა. არანორმალურად მომინდა მუავე პომიდორი. ბებოსთან მივედი, ქილას დაგაცექრდი. შავი თავსაფრიდან ჭალარა თმა ჩამოშლოდა და საოცრად კეთილი, სევდიანი, თაფლისფერი თვალებით იმზირებოდა. გულომისანივით გამილიმა, ქილიდან პომიდორი ამოილო და გამომიწოდა. შეუსვენებლად ვჭამდი მწვანე პომიდორს. შეწუხებულმა დედაჩემმა აღარ იცოდა რა ექნა და ბოდიშებს იხდიდა, ბებო კი ლიმილს ვერ იყავებდა. როგორც იქნა შევწყვიტე ჭამა, საოცრარი შევბა ვიგრძენი. ალბათ სიცხიანია, თქვა ბებომ. დედა დაეთანხმა და მოუთხრო თუ როგორ ვიპანავე ცივ წყაროში. ბავშვობაში ზომაზე მეტად მორცხვი ვიყავი, დღესაც მიკვირს როგორ მივედი ბებოსთან, ჩავეხუტე და შუბლზე ვაკოცე. თვითონაც მომეხვია, დამლოცა, ჯვარი გადამწერა და ლოყაზე მაკოცა. სანამ ავტობუსში ავიდოდი კიდევ ერთხელ შევავლე თვალი, თავსაფრის ბოლოთი იწმენდა ლოყაზე ჩამოცურებულ ცრემლს. ეჰ, ვინ იცის, რა ტკივილებს ინახავდა ბებოს გული. არ ვიცი, პამიდორის ბრალი იყო, თუ ბებოს დალოცვის, სახლამდე მისულიც არ ვიყავი სიცხე რომ გამინელდა.

— მისმენ? თუ ჩემ აზრებს კითხულობ? ხმასავით მესმის შენი ნაფიქრალი.

— ყურადღებით გისმენ, შენ წასაყვანად ვარ მოსული, შენ კი შიშით აღარ ხარ. არ მოგწყინდა ცოდვებით დამძიმებულ სანუტროში ხეტიალი?

— არ მეგონა ზემოთაც თუ ხუმრობდნენ, მანახე ერთი ვისაც სააქაო მოსწყენია. მხოლოდ უკიდურესად სწეულს თუ წამოსცდება სამდურავი. მეპატიუები და არც ვიცი სად, გაურკვეველ, თვალით უხილავ, ბურუსით მოცულ შეუცნობელ მიღმიეთში. არ შეიძლება ცოტა რო გადავავადოთ? კიდევ დამიმატე დღეები.

— მევაჭრები? ურნმუნო ყოფილხარ, აბა რა გიპასუხო. გააგრძელე, გააგრძელე, ჩადი ბოლოში და მერე გადაგწყვიტოთ.

— თუ გადამიდებ იქ წასვლას, კარგი იქნება, ძალზე ბევრი დაუმთავრებელი საჯემე მაქვს.

— გააგრძელე, გააგრძელე...

— ერთი სათხოვარი მაქვს კიდევ.

— რა სათხოვარი?

— მირჩევნია მოგითხრო, ვიდრე ვწერო. ვიტანჯები, თვალითაც ვეღარ ვიხედები წესიერად, პატარა ხომ აღარ ვარ!

მცირე დუმილის შემდეგ უხილავმა თანხმობა განაცხადა:

— კარგი, მიამბე...

ლმერთო, რა სასიამოვნო ხმა აქვს, არადა, როგორ მეშინოდა, შიშიც სადღაც გაქრა...

ოჯახური მდგომარეობის გამო ოთხი სკოლა გამოვიცავლე. არ დამაკინყდება სოფლის დაწყებით, ოთხლიან სკოლაში სწავლა. წვიმიანი დღეები სახალისო იყო, წყალი ჩამოდიოდა კლასში და მერხებს აქეთ-იქით დავარბენინებდით. კბილის ექიმის მოსვლისას ხომ თავდაყირა დგებოდა ყველაფერი. ექიმი ცხენით მოდიოდა, რუბენა ერქვა. ვინმე მოჰკურავდა თუ არა თვალს დაჰკივლებდა, რუბენა მოდისო, მაშინვე ფანჯრიდან თავპირისმტვრევით ვეტებოდით და თავს ვენახებს და ყანებს ვაფარებდით.

მძიმე დრო იყო, ჭირდა ცხოვრება, ჩანთების ნაცვლად ბავშვებს წიგნებით სავსე აბგები ჰქონდათ გადაკიდებული. ბევრი ფეხშიშველა დადიოდა სკოლაში. ჩვენი ყველაზე სუსტი წერტილი რუსულის გაკვეთილი იყო. არ გვესმოდა და ვიზეპირებდით. ერთხელ, მასნავლებელმა, ჩემს გვერდით მჯდომს გაკვეთილი მოაყოლა. გაჭირვებით ჩამათავრა, ბოლოს ეკითხება: აბა მითხარი მორკიხე* ქართულად როგორ ითარგმნებაო, მხრები აიწურა და მე შემომხედა. მე მგონი მაკარონია, მივამსგავსე ერთმანეთს სიტყვები. გაცეცხლებული მოვარდა მასნავლებელი და ისეთი სილა გააწინა ნაპერნკალი გააყრევინა თვალებიდან, ჩემს გამო დაისაჯა ის საცოდავი ბავშვი. ძალიან განვიცდიდი მომხდარს, მრცხვენოდა, ვინ მექაჩებოდა ენაზე. ჩემი ჭუით დავეხმარე.

ჩვეულებრივად ვიზრდებოდი, როგორც სოფლის ყველა ბავშვი. შეძლებისდაგვარად ვებმარებოდი მშობლებსაც, სიმინდის გამარგვლაც ვისწავლე და ვენახის მოვლაც, საძოვარზეც დამყავდა პირუტყვი, მაგრამ ფეხბურთის თამაშს არაფერი მერჩივნა. ფეხბურთის გადამეტებული სიყვარულის გამო სწავლას მოვუკელი. დედამ სასწრაფო ზომები მიიღო და ქალაქში გადამიყვანა მამასთან. მამა ქალაქში მუშაობდა, იქ სახლი გვქონდა. ცვლიანი სამუშაო ჰქონდა, თავისუფალ დროს ჩამოდიოდა სოფელში. მამის დიდი ხათრი მქონდა, იყო რაღაც ბარიერი და თანასწორივით ვერც ვერასოდეს დაველაპარაკებოდი. ცვლილებებმა კარგი შედეგი გამოიღო. ვბრუნდებოდი და ტოლებში გავინავარდებდი ხოლმე. ჩვენგან მოშორებით, დაახლოებით ათი კილომეტრის სავალზე, წაბლის დიდი ტყე იყო. ჩემი ტოლა ბიჭები წაბლის ისას ყოველთვის დადიოდნენ. მშობლები რატომდაც არ მიშვებდნენ. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ და თანატოლების ჩარევით მშობლებმა ნება დამრთეს მეც მომეარა წაბლოვანი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შევთანხმდით, მესამე მამლის ყივილისას გავდგომოდით გზას. ასაკით ჩემზე დიდი ბიჭებიც

* სტაფილო



იყვნენ, რომლებსაც არაეთხელ მოუვლიათ ტყე, გზაც კარგად იცოდნენ.

ღამით ჟინულილებანთებულებმა გამომიარეს. ზურგზე საგზლიანი ჩანთა მოვიგდე და ბიჭებს ავეფევნე. მივდიოდი და შიშნარევი თვალებით ვათვალიერებდი გარემოს, ღამის იდუმალება მაფრთხობდა. სიჩუმეს ჩვენი ფეხის ხმა და მდინარის ჩხრიალ-დუდუნი არღვევდა, ტალღების ნაპირზე შეხეთქება და ჩქერალების ჩქაფანი, რომელიც დღისით ცხოვრების აყალმაყალში არც კი იგრძნობოდა. მწერივის ბოლოში ვიყავი, ბიჭებმა სიმღერა წამოიწყეს, ავყევი. მივდიოდით და ღამის ბინადრებს ვაფრთხობდით. საკმაო გზა გავიარეთ, არცთუ ისე ბევრი იყო დარჩენილი წაბლნარამდე. მოკლეზე რომ გავსულიყავით სასაფლაო უნდა გადაგვეჭრა, შიშმა ამიტანა და არა მარტო მე, როგორც მერე გაირკვა. მხიარულებაც და სიმღერებიც მიჩუმათდა, ხმას არავინ იღებდა, გასუსული მივდიოდით. ღამით მკვდართა საუფლოსთან მიახლოება, არცთუ ისე ადვილი იყო მოზარდებისთვის. უეცრად ჩემს წინ მიმავალი უკან გადმოქანდა და დამეჯახა, ძირს მოვადინე ზღართანი. წეცეულმა შევასწარი თვალი, თუ როგორ გარბოდა საფლავებს შორის თვალებანთებული ურჩხულის მსგავსი ოთხფეხა არსება. გონის დაკარგვას აღარაფერი მაკლდა, საამქევეყნოზე ბიჭების ხარხარმა მომიყვანა. თურმე გზაბნეული, ჩაძინებული ხბო გავაღიძეთ, დაფეხული წამოვარდა და ჩვენც შიშით დაზაფრულები პანტიპუნტით მოვეფინეთ მინას.

რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ ტყეში ამოვყავით თავი, კიდეც დაგვათენდა. საკმაოდ შრომატევადი ყოფილა წაბლის მოგროვება. სამხრობამდე ვეძებდით. გამოუცდელობის გამო ბევრი ვერაფერი მოვაგროვე. წავიხემსეთ და უკან დასაბრუნებლად მოვემზადეთ. ორად გავიყავით, ერთი საათის სიარულის შემდეგ ჩვენი ჯგუფის წინამდლოლი მიხვდა რომ გზა აერია, დიდხანს ვიხეტიალეთ. ბინდდებოდა, შიშმა ამიტანა. გავიფიქრე, თუ დროზე არ გავაღინეთ აქედან მგლების ლუკმა გავხდები-მეტქი. როგორც იქნა ტყე შეთხელდა, შორს ტბას მოვკარი თვალი. შემოვბრუნდით და ლასლასით სოფლისაკენ მიმავალ გზას გავუყევით. მოგვშივდა, საჭმელი აღარ გვქონდა და ჩვენს მოგროვილ წაბლს შევექცით. ღამე იყო სახლს რომ მივადექი. რახან ცოცხალი მივედი მშობლებს, მეორე დაღმდე, საყვედური არ დასცდებიათ. მშიერ კუჭზე ნედლი წაბლის ჭამამ ყველას მუცლის გვრემა დაგვმართა, ტიკებივით ვიყავით დაბერილები. კარგახანს მოვუნდი გამოკეთებას. ის დღე იყო და ის დღე, ტყეში წასვლის სურვილი საბოლოოდ ამოვირეცხე გულიდან. წაბლს ახლაც აღმაცერად ვუყურებ.

— ყველაფერი მოვყვე რაც თავს გადამხდენია?



25

მხატვარი სოფიო ჭელიძე

— დიახ, ყველაფერი. რაო, გეზარება? წერა გეზარება, თხრობა გეზარება, იძულებული ვარ შეგიმოკლო დღეები...

— არა, არა, — აფორიაქდა ბერიკაცი, — კი არ მეზარება, უბრალოდ გახსენებისთვის დრო მჭირდება.

— აღარავითარი დრო, გააგრძელე.

რომ მოვყვე, არავინ დამიჯვერებს. ეჱ, ხელი ჩაიქნია, ანი ვიდას რას მოვუყვები...

იმ წელს თოხენლედს ვამთავრებდი. ერთ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, სკოლის დირექტორმა, რომელიც ამავე დროს ქართულსაც გავასწავლიდა, ბიჭები შეგვრიბა და გვითხრო: გაღმა ფერდობზე ერთი პატარა ყანის ნაჭერი მაქვს გასათოხნი და თქვენი დახმარება დამჭირდებაო. ჩვენც, რა თქმა უნდა, დავთანხმდით, მიუხედავად იმისა, რომ ყანის თოხენა-გამარგვლის დიდი გამოცდილება არ მქონდა. ის კი არა და გამეხარდა, თურმე მეც შემძლებია დირექტორისთვის რაღაც დახმარების გაწევა... მეორე დღეს, ჩვენი თოხებით, გამოვცხადდით მასწავლებლთან. პატარა ნაჭერი კი არა, მთელი ფერდობი იყო გასათოხნი. გული შემინუხდა, ამას რა მოამთავრებს-მეთქი. დღის ბოლომდე გავედით ბოლოში. ჩემი თავის მიკვირდა, ნუთუ ეს მე შევძლი? ამდენხანს თოხი არასოდეს მჭერია. კი დავიქანცე, მაგრამ კლასელებთან ხომ არ შევირცხევენდი თავს. ისე, რაც მარათალია მართალია, ძალიან გამიჭირდა. მკლავებსაც ძლივს ვამძრავებდი.

როგორც წესი, ნადს სუფრა მოჰყვება





ხოლმე. შესანიშნავი პურმარილი გაგვიშალეს. მოშიებულები ვიყავით, გვარიანად შევექეცით. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მასპინძელმა მაგიდაზე ხელადებით ღვინო ჩამოდგა. ჯერ გამიკვირდა, მერე კი რალაცნაირი სიამაყე ვიგრძენი, ლამის ტოლ-სწორად გვთვლიდა მასნავლებელი. არადა, მხოლოდ მეოთხეულასელები ვიყავით. შეგვიგსეს სათითურივით პატარა ჭიქები. დაგვლოცა მასპინძელმა, გავიხედე კლასელებისკენ, ყველამ წაატანა ჭიქას ხელი, შევსვით. დიდად არ მომწონებია მომუავო ღვინო, ლიმონათი მერჩივნა. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა და გაცნობა ღვინოსთან, პირველ ჭიქას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე... სიმუავეც გაქარნებულდა. გავმხიარულდი, დაქანცულობაც სადღაც გაქრა. ისე მსუბუქად ვგრძნობდი თავს თითქოს ფრთები შემსხმოდა.

სახლამდე სულ სიმღერით მივედით. ჭიქარს რომ მივუახლოვდი, ჩემდა გასაკვირად, მიწამ ტორტმანი დაიწყო, მერე ცა ამოტრიალდა, ფეხ-ქვეშ გამეფინა და ფრთებშესხმულივით უკიდეგანო ცის ოკეანეში გადავეშვი. ორი დღე მოვუნდი მიწაზე დაბრუნებას. სულ მიკირდა, ღვინო როგორ დაგვალევინა მასნავლებელმა. ასეთი იყო ჩემი პირველი შეხვედრა ღვინოსთან, ამ საოცარ, ღვთივეურთხეულ მაკურნებელ სითხესთან.

დრო გადიოდა, უზრუნველი ბავშვობის წლებიც დრომ გაიყოლა. სკოლას ვამთავრებდი, სიჭაბუკის ხანა დამდგარიყო. ოჯახში მოვითათბირეთ, სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გამეგრძელებინა. იურიდიული ფაკულტეტი ავირჩიე. მე და დედა გავემგზავრეთ ქალაქში, შორეული ნათესავი მოვქებნეთ და დროებით მასთან დავმკიდრდით. დედაქალაქში მხოლოდ ერთხელ ვიყავი ნამყოფი, ისიც გავლით. მამაჩემს ქარხნიდან მანგლისში, ბავშვთა სანატორიუმში, დასასვენებელი საგზური მისცეს. სანატორიუმის გარდა პიონერთა ბანაკებიც იყო, უამრავი ჩემი ტოლა მეგობრები გავიჩინე. შესანიშნავი ადგილი იყო, სუფთა და მოვლილი, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ დიდხანს ვერ დავრჩით. დედაქალაქში ქოლერა გაჩნდა და მამაჩემმა სასაწრაფოდ დამატოვებინა სანატორიუმი კარანტინის გამო. რის ვაი-ვაგლახით გავაღნიერ დედაქალაქიდან. კაცი ჩაფიქრდა, მობორიალე აზრებს ალაგებდა, დიდხანს მოუწია დაყოვნებამ.

— რა ხდება, ხომ არ ჩაგეძინა, — შეეხმიანა მკრთალი ლანდი.

— რა ჩამაძინებს, თავის ტკივილი მკლავს, ეს დღეები სულ თავი მტკივა. თუ გასასვლელი ვარ აქედან, ხომ არ სჯობია, ბარემ გამიყვანო. ტკივილებისგან მაინც გავთავისუფლდები. ასაკი, სიბერე და უძლურება მოსაბეზრებელია. სხეულის თითქმის ყველა ორგანო შეფერთხილია. არა მარტო მე ვწერხვარ, სხვებსაც ვაწერხ.

— გააგრძელე, გააგრძელე, შენთვის არც მოსვლა უკითხავთ და არ წასვლას შეგეებითხებიან.

ძალიან მომეწონა დედაქალაქი, ხალხით სავსე ქუჩები, შენობები, ჩემთვის ყველაფერი უცხო იყო და დიდი ინტერესით ვათვალიერებდი. განსაკუთრებით მომეწონა რუსთაველის პროსპექტი მისი ღირსშესანიშნაობებით: ლალიძის წყლები და უგემრიელესი ხაჭაპურები.

სამწუხაროდ იმ წელს მისაღები გამოცდები ვერ ჩავაბარე, არ მეყო ცოდნა. ოჯახურ თათბირზე გადაწყდა, სათანადოდ მოვმზადებულიყვავი და მომდევნო წელს მეცადა, ოღონდ საღამოს დასწრებულზე, საამისოდ კი დედაქალაქში უნდა ჩავწეროლიყვავი. მოკლედ, დედაქალაქის მკიდრი უნდა გავმხდარიყვავი. ჩაწერა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მოკლედ, თბილისელი გაეხდი. დავსაქმდი, თან მოსამზადებლად მასწავლებლებთან დავდიოდი. თავს არ ვიზოგავდი, მაგრამ რად გინდა, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის დრო მოდიოდა. შეიძლებოდა თავის არიდება გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მაგრამ ასეთი თანხა, მუშათა კლასის წარმომადგენლებს საიდან გვექნებოდა.

დილით ექვს საათზე ვდგებოდი, წავიხემ-სებდი და სამსახურში გავრბოდი. ხარატის მოსწავლედ ამიყვანეს. ეროვნებით რუსი, მხიარული კაცი იყო ოსტატი. ერთხელ სოფლიდან ორნახა-დი ჭაჭის არაყი ჩამოვტანე. ჭკუაზე აღარ იყო კაცი. ჩარხთან ახლოს მაგიდა გამითავისუფლა და მითხრა, დაჯექი და იმეცადინეო, იურისტი კაცს ჩარხი რა ჯანდაბად გინდაო. ერთი ჩართვა გამორთვას გასწავლი, ეგეც გეყოფაო. ძნელი წარმოსადგენი არ არის, ათეულობით ჩარხი ერთბაშად რომ ჩაირთვებოდა, გონების როგორი დაძალა იქნებოდა საჭირო, რომ რამე გესწავლა. მაინც ვახერხებდი, საღამოს მასწავლებლებთან დავდიოდი. ერთხანს ასე გაგრძელდა, მერე კომისარიატში გამომიძახეს, რადიოლოგიაციის კურსების შესასწავლად. ჯარისთვის მამზადებდნენ. ამდენს კი უკვე ველარ გავუძელი. ქარხნა, მასწავლებლები და კიდევ რადიოლოგიაციის კურსები. მამაჩემს ვუთხარი, არაფერი გამოვა ამ საქმიდან-მეთქი. უმჯობესია სამხედრო სამსახური მოვილიო და მერე გავაგრძელო სწავლა. თანაც ორწლიანი სამხედრო სტაუ მექნება, იურიდიულისთვის ზედგამოჭრილი. ასეც მოვიქცით. მასწავლებლები შეწუხდნენ. ქართულის პედაგოგმა მითხრა, რომ ჩამოხვალ პირველი ნაწილის მომზადების ფულს არ გამოგართმევო.

რაიონიდან მშობლებმა გამომაცილეს. რკინიგზის სადგურზე ვიდეებით, დედაჩემი მალულად იწმენდდა ცრემლებს, მამაჩემი უბრად იყო. ვფიქრობდი, ნუთუ სათქმელი არაფერი აქვს-მეთქი. ორი წუთიღა იყო დარჩენილი მატარებლის გასვლამდე, დედამ გულში ჩამიკრა და





ცრემლიანი ლოყებით სახე დამინამა. ყელში ბურთი გამეჩირა, ძლიერ შევიკავე თავი ცრემლები რომ არ წამომსვლოდა. მამაც მოვიდა, გადამეხვია და გადამკოცნა. ეს იყო მამის პირველი კოცნა თვრამეტი წლის განმავლობაში. მკაცრი და სამართლიანი კაცი იყო, ფამილარობის მოძულე. გამეხარდა, თურმე ვყვარებივარ. ბეჭებზე ხელი დამარტყა და ვაგონისკენ მიბიძგა. აბა შენ იცი, ჭყუას მოუხმე, ფრთხილად იყავი, ორი წელი მალე გავაო.

თბილისიდან არავის გავუცილებივარ. სამგორში გაგვანანილეს და ვაგონებში ჩაგვსხეს. ჩემი ტოლა ბიჭები იყვნენ, ზოგი ჩემზე უფროსები. გავიცანით ერთმანეთი, ვაგონის მესამე იარუსზე მოვთავსდი. იყო გაუთავებელი ყაყანი და მისვლა-მოსვლა. ფიზიურად და ემოციურად დაღლილს მალე ჩამეძინა. გამთენისას გამეღვიძა, მატარებლის ბორბლების მონოტონური დაგადუგი ისმოდა. ფანჯრიდან მარილისფერი ტრიალი მინდვრები ჩანდა, უსახური და უკაცრიელი.

ცოტა ხანში ბაქოს მიაკივლა მატარებელმა. ჩამოგვსხეს, გაგვამწერივეს და პორტისკენ გავუყევით გზას. არ მესიამოვნა, მე უფრო რუსეთის გაცნობა მენადა. სიცხის აუტანლობის გამო შუა აზია მზაფრავდა. პორტში პატარა ზომის გემზე გადაგვსხეს, ასი კაცი ვიყავით საქართველოდან. პირველად ვნახე ზღვა, გემით მოგზაურობაც პირველი იყო. ყველაფერს ეჩვევა ადამიანი, თვალი ზღვასაც შეეჩინა და გემსაც, პირველი შიშიც გაქრა. ზღვაზე მეტად, მასში ამოსვეტილმა კოშკებმა – ნავთობის ჭაბურლილებმა გამაოცეს. მიკვირდა, როგორ ჩერდება წყალზე, როგორ დაამაგრეს-მეთქი.

ყველაზე დიდი გაოცება ზღვის მეორე ნაპირმა გამოიწვია. გემზე კიბე ჩამოუშვეს და ნაპირზე გადავედით. ბევრი ჩევენგანი ზღვაშიც შეტყუპუნდა, სახეზეც შეისხეს წყალი, გაგრილდნენ. დამთრგუნავი იყო სანაპირო – თავარა მზე, გადახრუული გარემო, არც ერთი ხე, მხოლოდ კავშირგაბმულობის ბოძები. არც ბალახი. სილა, სილა და სილის გორები. შემეტინდა, ღმერთო, აქ არ დამტოვო-მეთქი. ისევ დაგვამწკრივეს, გავუყევით გზას.

რკინიგზის სადგურს მივუახლოვდით. პატარა სადგური იყო, რამდენიმე შემადგენლობა იდგა. ვაგონები თბომავალს იყო ჩაბმული და ხანდახან ჭვარტლიანი ბოლი ამოიფრეჭვეოდა. ირგვლივ მიმოვიხდე, ჭრელაჭრულა კაბებით შემოსილმა პატარა გოგობმა მიიციეს ჩევენი ყურადღება. უცნაურად იყვნენ გაკრეჭილნი, შუბლიდან კეფამდე და ყურიდან ყურამდე საკრეჭი მანაქანა იყო გადატარებული – ჯვრის ფორმის. როგორც შემდეგ ამიხსნეს, ამგვარად გაკრეჭილნი წამოზრდილ თმას ადვილად იწნავდნენ.

შეგვყარეს ვაგონებში და გავუდექით გზას,

რომელიც არც ვიცოდით სად მიგვიყვანდა. ცოტა ხანში ვაგონში ვაშლი ჩამოატარეს, რომელსაც ძალზე იაფად ჰყიდნენ. ის იყო უნდა შეგვეძინა, რომ მეთაურმა კინწისკვრით გაყარა მოვაჭრენი და გვიყვირა: არ მიეკაროთ, დეზინტერიას აიკიდებთო. პირველად გავიგონე მაშინ სიტყვა დეზინტერია, რომელმაც ახლო მომავალში შემახსენა თავი.

მეშვიდე დღეს მივადექით დანიშნულების ადგილს. გადმოგვსხეს ვაგონებიდან. ღამე იცრიცებოდა. დაგვამწერივეს ასი კაცი და არეული ნაბიჯებით გავუყევით გზას. დაგვათენდა. პატარა დასახლებაში შევედით, ერთსართულიანი თეთრად შეფეთქილი სახლები ჩამწკრივებულიყო გზის ორივე მხარეს. თვალში მომხვდა ურიცხვი წყლის საქაჩები და მწირი მცენარეულობა. უწყლო ქვეყანაში მოვხდით. მივხვდი, რომ მავნე კლიმატის გამო ძალზე რთული იქნებოდა აქ სამსახური. როგორც შემდგომ გავარკვიე, კონტინენტური ჰავა იყო – ზაფხული ცხელი, ზამთარი გრძელი და ყინვიანი.

ერთ შენობასთან გაგვაჩერეს, რომელზეც დიდი ასოებით, რუსულად, ენერა აბანო. დაგვშალეს, დაგვაცალკევეს, თმა გადაგვპარსეს და შეგვრეკეს აბანოში. უცნაური აბანო იყო, უშხაპო. ტაშტებით იყო იქაურობა მოფენილი, ავავსებდით წყლით და გადავივლებდით ტანზე. მერე შეგვმოსას სამხედრო ფორმით. სასაცილოდ გამოვიყურებოდით, ყველანი თავგადაპარსულნი, ხაკისფერი ტანსაცმლით შემოსილნი, ერთმანეთს ველარ ვცნობდით. იყო რია-რია, გადაძახილ-გადმძახილი.

ნეტავ რატომ მაყოლებს? დავიდალე ამდენი ქაქანით, ნუთუ არ მოსწყინდა ან არ დაიღალა? გაიფიქრა ბერიკაცმა. და ისევ ხმა:

– გააგრძელე, გააგრძელე, ბევრი აღარ დაგრჩა, მალე გადაწყდება ყველაფერი.

სხვა რა გზა იყო, ისევ გავაგრძელე თხრობა.

მიგვიყვანეს სამხედრო ნაწილში, დაგვირიგეს ნემსი, ძაფი და სამხედრები სამხედრო ფორმაზე მისაკერებულად. მე არაფერი გამომივიდა, ვერაფრით ვერ მივაკერე სამხრე. ხან მხრის წინ გადმოდიოდა და ხან მხრის უკან. შევეცოდე საწილის მეზობელს და თვითონ დამიკერა. საწილები კი უცნაური იყო, ორსართულიანები. ორი ზენარი – ერთი საწილზე გასაშლელი, მეორე ზემოდან გადასაფარებელი და „ადეალა“. იმ დღეს ბევრი არაფერი გავიყენებია. ვსწავლობდით ფეხზე სახევების შემოფენას. ზოგმა ადვილად აითვისა, ბევრს გაუჭირდა. არადა, თუ წესიერად არ შემოიხვევდი, ჩექმა ფეხზე ტყავს გაგაძრობდა.

იმ დღეს ჩევნს ნებაზე ვიყავით, არავის შევუწებებივართ. მერე სადილზე წაგვასხეს, თითო მაგიდას ათი კაცი უსხდა. სანამ მთელი შემადგენლობა არ შემოვიდა ფეხზე ვიდექით.





დამერწმუნეთ, არ არის ადვილი მშიერი კაცისთვის განცყობილი სუფრის ყურება. როგორც იქნა გაისმა დასხდომის ბრძანება, მაგრამ რად გინდა, წყალწყალა ბორშჩი, რაღაც ფაფა და კომპოტი. საშინელი საჭმელი იყო, ვერაფერს პირი ვერ წავკარე. ვიფიქრე, კომპოტს მაინც დავლევ და პურს მივაყოლებ-მეთქი. გული კინალამ ამერია, რენის ფინჯანში მოცურავე მატლები რომ დავინახე. მხოლოდ ორი ნაჭერი პური შევჭამე. ისე-დაც აბზილაკი მჭამელი ვიყავი, როგორც დედა ამბოდა ხოლმე და ასეთმა საჭმელმა მთლად მომიღო ბოლო. სხვა გზა არ იყო, უნდა შევჩვეოდა. შეგუება მიჭირდა, ძალზე გავხდი...

ჯარში ყველაფერი ბრძანებებით სრულდება, ათ წუთში გამოგვრეული გარეთ. მიგამურეთ ჩვენს ყაზარმას და არაქათგამოცლილებს მალევე ჩაგვეძინა. დილის ექვს საათზე ხრინნიანი მამლის ხმის მსგავსმა შეკისლებამ გამოგვალვიდა:

— ასეულო, ადექი! — გაჰკიოდა ჩემზე მეტად ჩამომხმარი, დაბალჩინიანი ოფიცერი.

წამოვიზლაზნეთ, ძლივს მოვახერხეთ ჩაცმა, განსაკუთრებით ფეხის სახვევებმა და ჩემზებმა გაგვაწვალეს. ერთმანეთს ვეჯახებოდით, ვპორძიკობდით და ძირს მწიფე მსხლებიგით ვეხეთქებიდით. რის ვაი-ვაგლახით ჩავდექით მწყობრში. ხრინნიანმა ხმის პატრონმა, თეძოებზე ხელები შემოიჭდო, ბოლთის ცემას მოჰყვა, თან გვესაუბრებოდა.

— ახალგაზრდებო, ჯარში ხართ და ყველაფერი ისე უნდა შეასრულოთ როგორც ჯარს შეეფერება. სამხედრო სამსახურში ხართ და სამხედრო წესებს უნდა დაემორჩილოთ. ჩაცმის დრო ორმოცდახუთი წამია.

ისევ გვიბრძანა დაწოლა, ისევ ვერ ჩავეტიეთ დროში. ერთი სამჯერ დაგვაწვინა და აგვაყენა.

გადიოდა დრო და ნელ-ნელა ვეჩვეოდი სამხედრო სამსახურს. ძალზე გამიჭირდა ჯარისკაცულ სადილთან და კლიმატთან შეგუება. ასეთმა კვებამ, ცისტერნებით მოზიდულმა წყალმა და უსუფთაობამ დეზინტერია დამმართა. დაავადებულები ცალკე ყაზარმაში გადაგვიყვანეს, სიცხე ორმოცს ასცდა, რასაც საშინელი კუჭის აშლა მოჰყვა. ძლივს ვასწრებდით ტუალეტამდე. სალამოს ნაწილის უფროსი შემოვიდა შემოწმებაზე. გამიზომეს სიცხე, თერმომეტრი ორმოცდაორს აჩვენებდა. სასწრაფოდ მანქანა, დაიღრიალა უფროსმა. ხუთი წუთის შემდეგ, საბარგო მანქანაზე ჩემს საწოლიანად შემაგდეს და გზას გამიყენეს.

მიგრიხინობდა მანქანა სტეპში, მხოლოდ ვარსკვლავებით მოჭიქულ ცას ვხედავდი. ნუთუ ასე ხანმოკლე უნდა ყოფილიყო ჩემი ცხოვრება, მე ხომ ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია. სახლი გამახსენდა, ოჯახის წევრები, კიდევ კარგი დეაჩემი ვერ ხედავს ჩემს მდგომარეობას, გული

გაუსკდებოდა საწყალს.

გათენებას ბევრი არაფერი აკლდა სამხედრო ჰოსპიტალს რომ მივუახლოვდით. გადმომსვეს მანქანიდან, შევედით მისაღებში. გულმოდგინედ გამასინჯეს, სიცხეც გამიზომეს. თეთრხალათიან-მა თავი გადაიქინა და დაიძახა: ალთინა! ახალგაზრდა ტანთხელი, აზიური გარეგნობის გოგო მოცქრიალდა, მას ჩამაბარეს. გამომყევიო, მითხრა. პატარა ოთახში შემიყვანა, ისტორია გახსნა. რაღაც მეტითხებოდა და უურნალში ინერდა. სასიამოვნო გოგო იყო, სულ ილიმებოდა. შებორკილი ვიყავი. რაც ჯარში ვმსახურობდი, ასე ახლოს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან არასოდეს ვყოფილვარ. ხომ არ გეშინიაო. როგორ ვეტყუდი რომ მეშინოდა. აბა, მუცელზე დაწექი და შარვალი ჩაინიე, ნემსი უნდა გაგიკეთოო. ახალგაზრდა ლამაზი გოგოს ნინაშე უკანალის მოშიშვლების შემრცხვა, თანაც მართლაც შევშინდი, არასდროს არ მქონდა ნემსი განაკეთები. მერე რაღაც ტაბლეტები გადამაყლაპა, ნახევარი ქილა გლუკოზაც დამალევინა. ისეთი უჩვეულო სიტუაცია იყო, სულ დამავიზყდა ავადმყოფობა. ამ პროცედურებს რომ მოვრჩი, მითხრა: გამომყევიო. გავიარეთ გრძელი დერეფანი, ბოლოს საშსაპესთან შევჩერდით. შედი, დაიბანე, ტანსაცმელი კი სკამზე დააწვევო. შევედი და პირველად ამ ხნის განმავლობაში ადამიანურად ვიპანავე. რომ გამოვედი სკამზე ტანსაცმელი აღარ დამხვდა, მხოლოდ გრძელი, ზოლებიანი ნიფხავ-პერანგი იყო სკამზე გადაფენილი. შარვლის მსგავსი გრძელი ნიფხავის წინა მხარეც ჩახსნილი იყო და უკანაც, თას-მებით იკვრებოდა. დამიძახეს, რა ქენი, ჩაიცვიო. როგორც იქნა მოვირგე, სირცევილით აწურული გარეთ გამოვედი. ალთინაი კი იდგა დერეფანში და იცინოდა. მერე პალატაში შემიყვანა და საწოლზე მიმითითა. ყველაფერი ისეთი სუფთა და გაკრიალებული იყო კურორტზე, სხვა სამყაროში მეგონა თავი. ალთინამ მალე გამოჯანმრთელება მისურვა და დამტოვა.

ოცდაერთი დღე დავყავი ჰოსპიტალში, ეს იყო ბედნიერებისა და ადამიანური ცხოვრების ნათელი დღეები. ავადმყოფობა ვიღას ახსოვდა, გაკრიალებული, შარიშურა თეთრეული, ბზიალა თეფშები, ჭიქები, ჩანგლები, კოვზები და ფაიფურის ფინჯანით ჩაი. ყველაფერს ამას დანატრებული ვიყავი. გამახსენდა სამხედრო სასა-დილოს ცხიმიანი რკინის ჯამ-ჭურჭელი, რომელიც ხელიდან ცურავდა და გულზე შემომაწვა, მენანებოდა ჰოსპიტლის დატოვება.

დავბრუნდი სამხედრო ნაწილში. მალე შუა აზის უმაღლესი სამხედრო უწყებიდან ჩვენთვის გასახარი ბრძანება მოვიდა. დილით მოედანზე გამოგვიცხადეს, ოცდაოთხ საათში უნდა დაგვეტოვებინა ღმრთისგან დავიწყებული





ეს მრუმე დასახლება.

ერთი ღამის მგზავრობის შემდეგ ეშელონი-დან გადმოგხსხეს და სამხედრო ნაწილში მიგვიყვანეს. წინა ადგილსამყოფელთან შედარებით შესანიშნავი ადგილი იყო. უზარმაზარი მდინარე, რომელშიც სამდინარო გემები დაცურავდნენ, ქუთაისის ხელა ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფდა.

სამხედრო ნაწილი აეროდრომთან ახლოს იყო, ისეთი ხმაურით ფრინდებოდნენ და სხდებოდნენ ზებგერითი სამხედრო თვითმფრინავები, რომ ყაზარმები ზანზარებდა. ძილში რამდენჯერ წამოვარდნილვარ შიშით. მალე შევეჩვირ და მთელი დღის ნაჯაფარს თვითმფრინავების ღმული იავნანასავით ჩამესმოდა.

ასი ულვაშებშელერებული, ძალ-ღონით სავსე ქართველი ჭაბუკი ვმსახურობდით ნაწილში. სამი თუ ოთხი სომეხი, ამდენივე ბერძენი, ერთი აზერბაიჯანელი და ოთხი აფხაზი. აფხაზები ახლოს არ გვეკარებოდნენ. მათ შორის იყო ერთი უცნაური ახალგაზრდა, გვარად იოსელიანი. მიკვირდა და ვეუბნებოდი, იოსელიანი აფხაზი როგორ ხარ-მეთქი. თავს იყლავდა, აფხაზი ვარო. მერე შემოვგეჩვია, ცოტაოდენი ქართულიც ისნავლა. ძნელი დასაურვებელი იყო ამდენი ქართველი ერთად. ხან ერთი გაიპარებოდა ქალაქში და ხან მეორე. იყო ძებნა და ვაი-უშველებელი.

ერთ დილით, ბატალიონის უფროსმა, პირადი შემადგენლობის დათვალიერებისას იკითხა, თუ რა სიტუაცია იყო ნაწილში. საკუთარი საღორე ჰქონდა ნაწილს და პირველად ყოველთვის ღორებს მოიკითხავდა – ღორები ჯარისკაცებზე მეტად უყვარდა. მოახსენეს, რიგითი გუმბა აქამდე არ გამოჩენილაო. განრისხდა, გადაირია, როგორც კი გამოჩენდება ეგრევე კარცერშიო.

– Вийдуть бляძ ვა გა გინება მოაყოლა. რაც ცხრასართულიანი გინება მოაყოლა.

მართლაც შესანიშნავი საღორე მოაწყო, შვილებივით უვლიდათ. მეღორებად რუსები დანიშნა, მაგრამ თვეში ერთი-ორი მაინც ეკარგებოდა. გამოყარა რუსები, ახლა ქართველები დანიშნა. იგივე განმეორდა. იმიზეზებდნენ, რაღაც უცნაური სენია შემოჩენილი, ჩვენ რა ვქნათ, მოვლას არ ვაკლებთო. ბიჭო, რაღა მაინცდა-მაინც გოჭებს დარია ხელიო. ძალიან კარგად ხვდებოდა ნაწილის უფროსი რომ არანაირი ჭირი არ იყო. მომვლელი მეღორები ისე დამრგვალდნენ და გამმვენიერდნენ გადაადგილებაც კი უჭირდათ. მე თქვენ გიჩვენებთ ჭირსო, დაიქადნა ნაწილის უფროსმა და რუსებს ქართველებიც მიაყოლა, ღორების მოვლა კი უზბეკებს მიანდო. იმ დღიდან დამთავრდა ჭირიანობა, შვებით ამოისუნთქეს ღორებმაც და ღორების მოყვარულმა ნაწილის უფროსმაც. გახარებული იყო, აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე, მუსულმანები ხომ ღო-

რის ხორცს არ ჭამენ?!

ერთ დილით, შეკრებაზე, ნაწილის უფროსმა ქართველებისთვის გასაკვირი რამ ზარ-ზემით გამოაცხადა:

– Усы носить разрешается только грузинам.**

გადაირიენენ ბიჭები, ყველამ მოუშვა ულვაში. განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ერთი ჩვენი თანმემამულის ულვაში, რომელიც მეტად მოხერხებული, ონბაზი, ენაკვიმატი და ხუმარა ახალგაზრდა იყო. რას არ მოიგონებდა, ულვაში იმსიგრძეზე ჩამოუშვა ნიკაპს გასცდა, რაღა სააკაძის და რაღა მისი ულვაში. ერთ დილით, მორიგი სამწყობრო დათვალიერებისას, ნაწილის მეთაურმა მწკრივის წინ ჩამოიარა და ვრძელულვაშასთან შეჩერდა, გაოცებისგან კინალამ თვალები გადმოცვივდა:

– Товарищ солдат, выйти из строя.***

გრძელულვაში გამოვიდა.

– Блядь, что за усы? немедленно стричь.****

– Амხანაგო პოლკოვნიკო, ჩვენ ქართველებს....

– Молчать, – დაიღრიალა, – Бегом в быткомнате, немедленно стричь усы.*****

გამოვარდა გრძელულვაში და მეგრულად, მამაპაპურად შეუკურთხა:

– Суანდიდა... – ჩამთავრა და გაიქცა.

– Стой товарищ солдат, никакой скандинавия...*****

სიცილისაგან დაოსებული ქართველები კინალამ დავცვივდით. იყო ერთი ხარხარი და ხორხოცი. ჯერ გაუკვირდა პოლკოვნიკს, მერე კი თვითონაც გადაიხარხარა, ეს რა მოსწრებული რამ ვთქვიო.

ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა ულვაშუოფილი და მეთაურთან სირბილით მივარდა.

– разрешите встать в строй.*****

შეხედა პოლკოვნიკმა ჯარისკაცს და ისეთი ჩაბურდა გვეგონა წაიქცეოდა. უკულმართ ჯარისკაცს ულვაშები ჰიტლერივით დაეყენებინა.

– Блядь, ети Грузины что только не придумывают.***** – მოუქციასალდაფონურად პოლკოვნიკმა.

კარგა ხანს ჰქონდათ ჯარისკაცებს სკანდინავია სალაპარაკოდ. ორი დღის შემდეგ ჰიტლერის ულვაშიც მოაპარასინეს.

– Мეგობარო! Мეგობარო! – მიმოხედა, ვერავინ შენიშნა, – მე თქვენი სახელი არ ვიცი და იძულებული ვარ ასე მოგმართოთ, სად ხარ?

მერთალი ლანდი არსად ჩანდა.

** ულვაშის ტარება შეუძლიათ მხოლოდ ქართველებს.

*** ამხანაგო ჯარისკაცო, გამოდი მწყობრიდან.

**** ამის დედაც, ეს რა ულვაშია, დაუყოვნებლივ გაიპარსე.

***** გაჩუმდი! სირბლითისაყოფაცხოვრებოთახში, დაუყოვნებლივ გაიპარსე ულვაში.

***** სდექ ახალაგო ჯარისკაცო, არავითარი სკანდინავია...

***** მწყობრში ჩადგომის ნება დამრთეთ.

***** ამის დედაც, რას არ მოიფიქრებენ ეს ქართველები.



* ამის დედაც... გამოვლენ აქ გუმბა, ცუმპა.



— არ ვიცი სად ხარ, ვერ გხედავ. კარგი, იყალ სადაც ხარ. რა მნიშვნელობა აქვს, ისედაც გესმის ყველაფერი. როგორც მოვახერხე ისე გაუწყეთ ჩემი ცხოვრების შესახებ, ზოგი სამხიარულო, ზოგი სევდის მომგვრელი, უმტესი კი სათქმელი დამრჩა. გულაბდილად რომ გითხრა, ძალიან დავიღალე, ლოდინმა დამღალა და შეუცნობლის შიშმა. მომწყნდა, მეტს აღარაფერს გიამბობ. ან რა საჭირო იყო ამდენი აბდაუბდის თხრობა. თავდაპირველად მართლაც შემეშინდა, რომ მითხარი უნდა წაგიყვანოო, ახლა აღარ მეშინია, ახლა მე გეხვეწები – წამიყვანე! კაცი რომ სიხარულის განცდას დაკარგავს, ყველაფერი ბეზრდება, ამქვეყნიური ცხოვრებაც კი. გეხვეწებოდი, ცოტა მაღროვე-მეთქი, მაგრამ აღარ მინდა, უსიხარულო ცხოვრება რა ცხოვრებაა, დარდმა და ნალველმა მომიღო ბოლო. თქვენ იცით რა ხდება ჩემს ქვეყანაში? სამოთხის მსგავს ქვეყანაში, რომელიც დღეს უპატრონოდაა მიგდებული? მებრალება დიდი წარსულის მქონე დაბეჩავებული ქვეყანა, სადაც საშინელი ქაოსია, სადაც საშინელი გაუტანლობა და ურთიერთმტრობაა. ეზიზლებათ ერთმანეთი, კლავენ ერთმანეთს, გარბიან ქვეყნიდან, დაკარგეს სამშობლოს განცდა და სიყვარული. წაწილ-წაწილ ყიდიან ამ ნალოლიავებ, ნასისხლარ მიწებს და მკვიდრდებიან უცხოტომელები, ისაკუთრებენ ჩვენი ბედოვლათობის გამო ქვეყანას. მალე ძირძველი მოსახლეობა მათი მონები და მოსამსახურები გავხდებით. თუ განვითარება გინდა, შენ ქვეყანას შენ უნდა უპატრონო, მაგრამ ვინ განებებს პატრონობას. ვისაც არ ეზარება, ყველა ჩვენს საქმეში ერევა. გამოჩენდნენ ვითომ მეგობრები, რომლებიც სინამდვილეში ჩვენი ყველაზე დიდი მტრები არიან. ცეცხლითა და მახვილით ეპრძვიან ჩვენს ზნეობას, ჩვენს თვითმყოფადობას, ჩვენს ტრადიციებს. ის გამარტიანებელი, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია, ფულის სიყვარულმა ჩაანაცვლა. სატკივარზე ბევრი საუბრობს, მაგრამ სატკივარის მოშუშების და გამოჯანსაღების გზისთვის ვერ მიგვიგნია. არც ზეციდან გვეხმარებიან, იქნებ თქვენ მაინც მოგვივლინოთ ვინმე, როგორც წარსულში მოგვივლენდით ხოლმე. გამოსავლის ძიების მაგივრად ძე შეცთომილები დავერიეთ ერთმანეთს მიწიერი კეთილდღეობისა და სიამოვნებისათვის. უსუსურობა მელავს, ჩემდა სამწუხაროდ ვერაფერს ვცვლი, ყოველივე ამის შემხედვარეს რაღა მინდა აქ, ტყუილად გეხვეწებოდი დატოვებას. არა, არა, ძალიან კარგ დროს მოხვედი, კარგ დროს. აღარ მინდა გადაგვარებულ და გადაჯიშებულ ქვეყანაში სიცოცხლე. წამიყვანე, გესმის? წამიყვანე! იღრიალა კაცმა...

ახალგაზრდა, სანდომიანი ექიმი ქალი რეან-

იმაციის განყოფილებისკენ მიიჩეაროდა. ხელში ავადმყოფობის ისტორიები ეჭირა. პალატებში შედიოდა და აპარატურაზე მიერთებულ ავადმყოფების მონაცემებს იწერდა. ერთი ძალზე მძიმე პაციენტი ჰყავდა, ცოცხლებში თითქმის აღარ ეწერა. უსაშინლეს ავარიაში მოჰყვა და ხიდიდან მანქანით გადავარდა. აგერ, უკვე, მემვიდე დღეა გონდაკარგულია. გუშინ ესაუბრენ მეუღლეს და შვილებს.

— აზრი არ აქვს ასეთ მკურნალობას, მხოლოდ აპარატურაზე მიერთებით წერია ჯერ კიდევ ცოცხლებში, — უთხრათ განყოფილების გამგებ.

ძალიან განიცადეს, განსაკუთრებით მისმა ახალგაზრდა, მომხიბელებმა ვაჟმა.

— იქნებ, ცოტა კიდევ ვადროვოთ.

— აზრს ვერ ვხედავ, — თქვა ექიმმა.

ცრემლით დაენამა ახალგაზრდას სახე. ცრემლის დანახვისას ქალს გააურულა და სრულიად უადგილო ფიქრმა გაუელვა, ნეტავ ცოლი თუ ჰყავსო.

მიუახლოვდა პალატას, შეყოვნდა, ისტორიები მარცხენა ხელში გადაიტანა, მარჯვენათი კარი გაალო. შევიდა და მოულოდნელობისგან ადგილზე გაქავდა, აკანქალებული ხელიდან ისტორიები დაუცვივდა და კინალამ შეჰქივლა. იმიერიდან მობრუნებული პაციენტი წამომჯდარიყო და გაოცებული თვალებით იცქირებოდა.

— როგორც იქნა მოხვედით, რამდენს ვყვიროდი!

საძრაობის უნარდაკარგულმა ქალმა ძლივს ამოიღო ხმა და უაზროდ იკითხა:

— ვის ეძახდით? მე მეძახდით?

— არ ვიცი თქვენ იყავით თუ სხვა, სახეზე ვერ გავარჩიე, თითქოს ნისლით იყო შებურვილი, სახე არ უჩანდა. რამდენი ვეხვეწე, წამიყვანე-მეთქი.

ექიმი როგორც იქნა გონს მოეგო, მიეჭრა პაციენტს, სანოლზე წამოაწვინა.

— არ შეიძლება თქვენი წამომჯდომა, უნდა იწვეთ.

— ნეტავ ვინ იყო ის არსება განუწყვეტლივ რომ მალაპარაკებდა?

— თქვენ უნდა თქვათ მეორედ დავიბადეო. ღმერთს ყვარებისარ ბაბუ, ღმერთს! დიდება შენდა უფალო, არსება კი არა მფარველი ანგელოზი ყოფილა.

რას გაიხარებს მისი ვაჟიშვილი! რას არ შეესწრება კაცი საავადმყოფოში, იტყვიან კიდევ სასწაულები არ ხდებაო. ამაზე დიდი სასწაული რაღა გინდა. აჲა, იხილეთ მკედრეთით აღმდგარი კაცი!

— ახლავე ყველას უნდა შევატყობინო! — წამოიძახა ხმამაღლა ექიმმა და კარს მიაშურა.



ବ୍ୟାପାର ମିଳନତିବାଚକ

შემოაკიდობს ქართი ანგაზებს
და კანკალებენ ქარში ხიდები,
გადატვირთის დღებში მერე კაფებრთ,
მაშინ, როდესაც ვხდებით ჭიდები.

ଓଡ଼ିଆ ପିଲାମ୍ବର



ପିତ୍ରମୁଦ୍ରା

ბუჟარი. ცეცხლი. ფიქრები ბოლაგს,
ცა შემღვრეული, ღრუბელი ბლანტი,
მარტო ვარ ახლა, გიგონება ახლა,
ცრემლიან თვალებს ასკედება მარტი.
მიყვარხარ ისევ, მიყვარხარ ისევ.
პატარა გოგო – ცისფერი ბანტით,
თუმცა ამშვენებ სიცოცხლეს სხვისას,
შენით და ორი ლამაზი ბარტყით.
წუხელი მესიზმრა: მოვარდა ქარი
და მოიტანა შენი სურნელი,
აგიფრიალა კაბა და მერე,
მუხლის თავებზე გკოცნის სულელი.
მე მაინც მიყვარს, ჰო, მაინც მიყვარს,
თავხედ ქარი, ღრუბელი ბლანტი,
ბუჟარი, ცეცხლი, პატარა გოგო,
გადარეული და გიგი მარტი.

და ცხოვრება მშენითვარე და პოპულარი.
შეგვაჩვიეთ, უთქვენობას შეგვაჩვიეთ,
ვითომ ვცხოვრობთ, უდარდელად მიტომ დავალთ,
ვირგებთ როლებს, ზოგჯერ ყალბს და ზოგჯერ
მართალს
და ყველანი დასასრულის რიგში ვდგავართ.
ამაოა ყველაფერი, ამაოა,
თვალში ცრემლი, გულში სევდა ვერ დავტიე.
გვაპატიეთ, ხშირად თუ ვერ მოგაყითხავთ,
გვაპატიეთ, გვაპატიეთ, გვაპატიეთ.
სანამ გული კიდევ დელავს, კიდევ გულობს
და სიცოკხლის ხე მყოფადი ისევ მარჯნობს,
გვენანებით, გვახსენდებით, გვენატრებით,
სიკოცხლეს და სიკვდილს ერთად გაუმარჯოს!

* * *

არც ვისთვის გამინდა,
გული რა ტკივილს მალავს,
ისეთი ამინდა,
წავიკითხავდი გალას.
ამაღამ ალბათ მოთოვს,
შეისუდრება არე
და გული ისე მომთხოვს,
რომ წავიკითხავ გრანელს.
მე წავიკითხავ გალას
და წავიკითხავ გრანელს
და მარტოობით მთვრალი
დღის უიჭველად დაგლეჩ.

გვენატოერით

შუთისოფლის ბილეკები დავიარე,
არ მკლებია მწუხარება, ნეტარება,
დავიღალე, სულ ძალიან დავიღალე
და სიბერე ფეხაკრეფით მეპარება.
ჩამოვკდები, საფლავებთან ჩამოვკდები,
ცა ტირის და მონატრების სევდა მახრიბძს,
ვინც მიყვარდით და ვინც მწამდით, ყველა მანდ
ხართ,
მინისქვეშა საქართველოს გაუმარჯოს.
თქვენც გიყვარდათ, თქვენც გტკიოდათ,
გიხარიდათ
და სიკვდილის დაიჭექა მერე მეხმა,
გაგვებულტეთ, ბავშვებივით გაგვებულტეთ,
დაგვტოვეთ და ლოდებისქვეში ჩუმად წევხართ.
რა პატარა საფლავებში ჩატეულხართ,
ტირიფებს და ალვას არხევს ცივი ქარი,
მანდ ჩაპიფარდა თქვენი დიდი სილამაზე

სხივ სოსხივ ნერლი გასტაურა

ასი ათასი წელი გასულა,
ის დრო, რომ ითქვას ნელა დიოდა,
ცხოვრებას ისევ ვიწყებ თავიდან,
და მოვაბიჯებ საიქოდან.
ძლივს მოვლასლასებ უკუნეთიდან,
ნუთუ გავიდა წელი ამდენი,





ვეძებ ჩემს ქუჩას, ვეძებ ჩემს კორპუსს,
ვეძებ ჩემს ბინას, ვერ მივაგენი,
ათასწლეულებს და იმის იქით,
ხელს დამიქნევდა ალბათ შუმერი,
კვლავ უდარდელად სძინავთ ქართველებს,
ისევ, უაზროდ ზუს ზუმერი.
ახლა, რომ ვინმე მეტყოდეს: მოდი,
და ვინმეს გული მომაგებინა,
ან ჩემს კარებზე კვლავინდებურად,
გასაღები რომ მომარგებინა.
ის, რომ ვიცოდე თუ ანთება,
ოთახში ლამპა, თვალებში შუქი,
და რომ ვიცოდე ამ დაბრუნებით
გაიხარებდა მავანი თუკი.
სიტყვაზე: დედა... მომხვევდა ხელებს
და ჩამიკრავდ უბეში მამა,
რა გაეწყობა, ჩავყლაპავ ცრემლებს
და ამ შეხვედრის გაფუძლებ დრამას.
ოჯახში ყველა რომ დამხვდებოდეს,
საღსალამათი, მხნე და დღეგრძელი,
ჩაი რომ დუღდეს ძველ სამოვარში
და გამომიცხოს ცოლმა ლვეზელი.
მეგობრები რომ მომაძებნინა,
(წეტავ შეხვედრას მათთან რა სჯობდა)
სიყრმეს ვინმე რომ დამიბრუნებდეს,
ან ჩუმად ჩავლილ ახალგაზრდობას.
მეზობლები რომ დამხვეოდნენ...
(დრო რა ულმობლად და მალე გადის)
შვილებს ვერ ვნახავ, ვერც შვილიშვილებს..
ქალაქში მათი აჩრდილი დადის.
აი, საათი გუგულიანი,
დროს რომ არასდროს მოიპარავდა,
ჩემი სურათი შავი ჩარჩოთი
და მოწყენილი ძველი კარადა.
გამორთულია ტელეფონები,
მტკვერნაყრილია ყველა მაუსი.
ნელი ბლიუზი, მლერის ჭრიჭინა,
ტემპერატურა ოცი გრადუსი.
წვიმამ დაუშვა მერე ერთბამად,
ალარ ჰენა, ალარ გადაიკარა,
დიდხანს ვეძებდი თბილის ქალაქში,
მაგრამ არსად არ ჩანდა ნიკალა.
ალარ მოსჩანდა ლურჯი ფშანები,
სიცოცხლე ლირდა ძლიერ იაფი,
არვის ახსოვდა კოკო შანელი,
არც იშხნელები და არც პიაფი.
ვერავინ მცობდა, არცვის ვახსოვდი
და ცახცახებდნენ თრთოლვით ბაგენი,
ვეძებდი ქუჩას, ვეძებდი კორპუსს,
ვეძებდი ბინას ვერ მივაგენი.
ირგვლივ სიჩუმე, სრული სიჩუმე,
სულს მიხუთავს და შემოდის ჩემში,
რაც მთავარია, შენ ალარა ხარ
და მარტობის ტკივილი შემშლის.
გადაწყდა: უკვე მეორედ ვკვდები,
აქ დაისმება ბოლო წერტილი,
მოვიჩქაროდ სიცოცხლე შენსკენ,
უკან ვბრუნდები გულდაწყვეტილი.

მე რომ შემეძლოს

ოლივოს – ორი ვაჟკაცის დედას

მე რომ შემეძლოს გუდა-ნაბადს ავიკრავდი,
შენთან გავჩნდებოდი და გულში ჩაგირავდი.
მნამს, ფრთებს შეისხამდა ჩემი ალმაფრენა,
რკინის ხომალდი ცაში ამაფრენდა!
მე რომ შემეძლოს გრძელ გზებს გავცვეთავდი,
ზღვებს გადმოვლახავდი და მთებს დავეცავდი.
აგუგუნდებოდა ყველა სალოცავი,
გამითენდებოდა დილა საოცარი,
ველარ იხილავდი ჩემს სახეს მწუხარეს,
მადლობას ვეტყოდი ესპანეთს მქუხარეს,
შენს სახეს, შენს თვალებს, შენს ხელებს
დავკოცნიდი,
იყავ ღმერთისაგან, შვილო, დალოცვილი.

გაიზარდე

დათა ჩაფიჩაძეს

ირიურაუა, ცხრათვალა მზე
დილა გააცინა,
შენც ლიმილით გაილვიძე,
ჩემო პანაწინა.
ათინათი დაგთამაშებს,
სასთუმალთან ჩნდება,
კურთხული იყოს, ბიჭო,
შენი დაბადება.
ყვავილი ხარ სამაისო,
სამოთხეში რგული,
მადლი უფალს, გაუცოცხლე,
ბაბუს მკვდარი გული.
საყვარელო, სანუკვარო,
ჯადო ცეროდენა,
არვინ არის ბედნიერი,
ქვეყნად ჩემოდენა.
ცა-ფირუზი შეიყვარე,
მზე გარეთ და შინა,
გაიზარდე, სასახელო,
ჩემო პანაწინა.

* * *

შემოაკივლებს ქარი ანფასებსა
და კანკალებენ ქარში ხიდები,
ბავშვობის დღეებს მერე ვაფასებთ,
მაშინ, როდესაც ვხდებით დიდები.

აუ, რამხელა გზა გაუვლიათ,
მირონინებენ მთებზე ნისლები,
ვერ შევეხებით, დანაღმულია
ჩვენი ბავშვობის ოზისები.



მოწყენა გვახრჩობს, ცრემლები გვალტობს,
ვართ ნაღვლიანი, როგორც გედები,
ცხოვრების ზღვაში მივცურავთ მარტო,
როდესაც გვერდით არ გვყავს დედები.

სიბერე... როგორ ამაზრზენია,
როცა თვალებში ჩაწვეპა ბინდი,
როცა ძმაკაცი არ დაგრჩენია,
როდესაც შენი თაობა მიდის.

შემოაკივლებს ქარი ანფასებს
და ორყველი ქარში ხიდები,
ბაგშვიობას ჩვენსას მერე ვაფასებთ,
მაშინ, როდესაც ვხდებით დიდები.

* * *

და სადაც არის, ჩემი წილი ტყვია იწივლებს,
მზე ჩამიქრება, დავეცემი მერე მუხლებით,
ნუ დამიტირებთ, გევედრებით, ნუ დამიტირებთ,
ნუ შეწუხდებით, ქალბატონო, ნუ შეწუხდებით.

სანამ მზე მედგა... დაიფიცეთ, ხომ არ დაგაკლდათ:
მაისის ვარდი, კესანე და ია, სოსანი,
გაგიუხული სიყვარულით და თქვენი ეშნით,
ხომ გიგალობდათ, ქალბატონო, თქვენი მგოსანი.

ხომ გაღმერთებდათ, ხომ იხდიდა ტრფობისთვის
სასჯელს,
ხომარ იცოდა სიყვარულის ლექსმა სამანი,
არ აფეთქდება გაზაფხულზე ლექსად პოეტი,
ვერ იყვავილებს თქვენს სარკმლის წინ იასამანი.

ჰო, სადაც არის, ჩემი წილი ტყვია იწივლებს,
უკანასკნელად დავეცემი თქვენ წინ მუხლებით,
ნუ დამიტირებთ, გევედრებით, ნუ დამიტირებთ,
ნუ შეწუხდებით, ქალბატონო, ნუ შეწუხდებით.

მთაწმინდაზე ქარია

ხალხი აპლოდისმენტებს,
მხოლოდ თქვენთვის იმეტებს,
რა კარგია ლექსის მერე ტაში.
ლმერთიც აპლოდისმენტებს,
მხოლოდ თქვენთვის იმეტებს
და მაღლდებით პოეტები ცაში.

ჩემთვის აპლოდისმენტებს,
არავინ გაიმეტებს,
ეჟ, რატომ არ დავიბადე მგოსნად,
ჩემთვის აპლოდისმენტებს,
აბა ვინ გაიმეტებს,
მაინც თქვენთან მირჩევნია ყოფნა.
ადე, ვეუბნები სიკვდილს,
ვინძლო დროგი გამიჩრო,

გრძელ სოფელში, გრძელ სოფელში,
ნასვლა უნდა ავიჩემო,
ამ ქვეყნისა, არა მწამდა
იმის მაინც დავიჯერო.

რერო, რერო, რერო, რერო,
თქვე: უკვდავო ჩემო მკვდრებო,
არ დამძრახოთ, ნამოსვლის წინ
ლექსი უნდა წავიმლერო:
რუსთაველზე დარია,
მთაწმინდაზე ქარია,
ორიოდე ლექსის პატრონს
თქვენსაენ მომიხარია.

იცევა...

ისევ ჩხრიალებს იუდას ვერცხლი,
ანგელოზს რისხვა, ეშმაკს მადლობა,
ალარ ანთია გულებში ცეცხლი,
არც სიყვარული, ალარც დანდობა.
აშმყო არაფერს კარგს არ მპირდება,
შენგრეულია სულის ფიცარი,
საქართველოში არვის სჭირდება,
დღეს ჩემნაირი ლექსის კაცები.
სხვა რა გზა დამრჩა წავალ ვაბანკზე,
ვერ აღვასრულე ჩემი მისია,
და ალარ მიკვირს რად სთქვა აკაკიმ:
რომ საქართველო ფურთხის ლირსია.

მიგორავს ეტლი

მაიკო მგელაძეს

მიგორავს ეტლი,
ნურაფერს მეტყვი,
ისედაც მტკივა შენი ტკივილი,
ცრემლებიანი მკრთალი ლიმილი,
მარტოეული სულის კივილი.
მიგორავს ეტლი,
მიჭირს ხსენება,
ნაღველში ცურავს მწუხარე კილო,
ვინ გაიმტა შენი მშვენება,
ვინ მიგაჯაჭვა, მაგ რკინას, შვილო!

მიგორავს ეტლი
და ნათლის სვეტი, –
იმედი ვარამს თოვლივით ალლობს,
უფლის რჩეულო, კვლავ გათენდება,
გეტყვის პოეტი: იყუჩე ბალო!
მიგორავს ეტლი,
რა გითხრა მეტი,
ეკლიან ბილიკს მისდევ იცოდე,
მშვენიერი ხარ, მგელაძის ქალო,
მშვენიერია შენი სიცოცხლე.



მაის კაპაურიძე

34



მაის კაპაურიძე

ლიტერატურული განვითარების სამსახურის მინისტრი

მთელი კვირა აღარ გააქცია სოფროული ქსელი. გრძნობა, ფიდ წინააღმდეგობაში იმყოფებოდა სამყაროს-თან და საკუთარ თავთან. მეგორული და ურთიერთ-გაგებით დაწყებული წერტილი სულ სხვა მიმარ-თულებით მიღიოდა. მაგასი ვერ მიხვდა თუ როგორ შემოყრა წინამდებრიშვილი მის პირად სამყაროში, დაუბატყიურებლივ, უწერებონიოდ და როგორ ჩატახლდა სულში სრულიად უწო ადამიანი.

მაის კაპაურიძე

მეორედ მოსვლის ზამს

„შესაძლოა, რამდენიმე დღეება დარჩა“
ილია მეორე

ნაწილი I

აღსარება

„დავიკარგე უფალო, საკუთარ თავში და-ვიკარგე და მომიტევე. დავიკარგე საკუთარი კეთილ-დღეობის ძეგბაში, მაგრამ შენზე ფიქრი არსავდეს შემინვეტია. შებლის ნათელ ადგილას ხშირად მე-სახები, პირჯვარს მწერ და მაგრძნობინებ, რომ შენ აქ ხარ, ჩემთან, ჩემს თავსა და გულში. იმ გულში, რომელიც შენით ფეთქავს და შენ ჩაგაბარე, რადგან ვეღარავისთვის მიმინდვია. ბევრჯერ განურეს, თითქოს ბრონული ყოფილყოს და იქმდან გამოწურულ სისხლს ისე ხაბად დაენაფენ, მათ შემყურეს, მეგონა უკვდავების ელექსირს სვამდნენ. მე კი, შენი მცნებით შთაგონებული, განზე ვიდექი და ვუყურებდი, თუ როგორი მოწყურებული ყლაპავდნენ ჩემს სისხლს სკაიისმაგარი; ადამიანთა მოდგმისანი, რომელთა სახეებსაც ვეღარ ვიხსენებ. ისინი მეხსიერებიდან წავშალე, რადგან შემზარავია პირ-სისხლიანთა ყურება; იმდენად შემზარავია, რომ ამ დროს არაადამიანური ტკივილებიც კი გავინდება; ჰო, დამავინყდა, უფალო! ესეც შენ დამავინყე! გონებიდან წამიშალე და შენ გამეფდი ჩემს სულსა და გულში. იმ გულში, რომელმაც შენი სიყვარულით თავი ალიდგინა და ფერფლიდან ხელახლა აღმოცენდა, ზღაპრული ფენიქსივით.

მაღლობა, უფალო, მაღლობა, ჩემს ნაკალებს რომ მოჰყვები და გზას მიჩვენებ თუ საით წავიდე. ციცაბო ნაპირებზე ხელს მედებ და არ ანებებ უკიდეგან უფსკრულებს ჩემს თავს. განსაცდელის ჟამს შთამაგონებ, შეურაცხყოფილს და მიწაზე განრთხმულს ხელს მინვდი, ფეხზე მაყენებ და მშობელივით მბან სასონარკვეთილ და ფერმერთალ სახეებს; მაღამოსავით მედება შენი სალბუნი, უფალო. სახეს ვარდისფერი უბრუნდება, თვალებს – სინათ-

ლე; გონებას – სხივი, სულს კი ნეტარების განცდა და შეგრძნება.

მაღლობა, უფალო, რომ სული გადამირჩინე. ბაშვური სიხალისე და გულუბრუყვილობა შთაგონე და სიცოცხლის წყურვილი გამიმძაფრე. არადა, სასონარკვეთილი ვიდექი და ვფიქრობდი, თუ საით წავსულიყავი; იმ უფსკრულისკენ, რომლის ბოლოში ჯოჯოხეთის ცეცხლი გიზგიზებდა თუ ამაოებით და ცოდვებით სავსე წუთისოფელში დავრჩენილიყავი. რამდენჯერ მოხვედი და ხელი ჩამკიდე, შენს სახლში მიმიკვანე, უფლის სახლში. ანგელოზების გალობით მიმახვედრე მისახვედრს და ამამლერე; შენთვის გალობდა ყოველ ჯერზე ჩემი ცოდვილი გული. შემდეგ მაზიარე შენს სისხლას და ხორცს და ამით მითხარი, რომ რამდენჯერაც არ უნდა გაგაკან ჯვარზე, რამდენი სისხლიც არ უნდა გამოგწურონ გულიდან და დაზაფრული სხეულიდან, ერთი ცოცხალი უჯრედის ამარაც რომ დარჩეს შენი სხეული და გონება, იმ ერთ უჯრედშიც მხოლოდ სიყვარული უნდა არსებობდეს! უნდა აივსო გული სიყვარულით და მიუტევო, რადგან სიყვარული ყველა ტკივილს და განსაცდელს დაგათმენინებს.

მაღლობა უფალო რომ დამათმენინე.

უფალო, ძერ ღვთისაო, წმინდა იყოს სახელი შენი, რომელიც საუკუნეები მოჰყვება კაცობრიობას და ჩემს ხალხს.

კელიაში სანთლების შექი მატასის სამყოფელს ანათებდა. საღამოს ლოცვა კაი ხნის დამთავრებული იყო. სარკმლიდან მთვარე დაჲპურებდა მონაზონთა სამყოფელს და სულგანაბული უსმენდა; უნებლიერ ისმენდა ძე ხორციელის გულიდან ამოხეთქილ აღ-სარებას და დუმდა, მხოლოდ ქარისგან უწესრიგოდ

მიმობნეული ღრუბლების ჩრდილზე კრთხებოდა და მალევე იბრუნებდა ჩვეულ ნათებას.

შემოდგომა იწურებოდა კელიის კარი პირველად რომ შემოაღო მატა-სიმ. დედა მართა თავიდან წინააღმდეგი იყო; არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ მატასი მზად იყო მონაზვის ცხ-ოვრებისთვის.

— ცოტა ხნით დავრჩები, დედაო, მოგეხმარებით ყველაფერში. — მატა-სის ამ დროს თვალები ისე უბრნყინა-ვდა, რომ დედა მართამ უარი ვეღარ უთხრა:

— დარჩი, რამდენი ხანიც გინდა, ოლონდ მომიყები, რა მოხდა. ვიცი, რალაც მოხდა, მე ამას ვგრძნობ, — დედაო ისეთი დამაჯერებელი მზერით უცქერდა მატასის, თითქოს ხელისგულზე ხედავდა მის ცხოვრებას.

ამ ადგილებს, მრევლთან ერთად, ხშირად სტუმრობდა მატასი. წირვა-ლოცვის დროს იდგა ერთ ამოჩემებულ ადგილზე და გულისყურით ისმენდა მამაოს ღვთისმეტყველებას. გალობდა მთელი არსებით და დედა მართამ სწორედ ამ დროს მიაქცია ყურადღება:

— გააგრძელე, მშვენიერია ყველაფერი, რაც უფლის ნებით ადამიანის თავს ხდება. დაე, მოგცეს ძალა უფალმა, გაგაძლიეროს და განგამტკიცოს, შვილო ჩემო. ესეთი ჩამქრალი, უსიცოცხლო, ამ ქვეყნიდან სადღაც შორს გასული მე შენ არ მახსოვხარ, მატასი. ყოველთვის გაკვირდებოდი, იქიდან გაკვირდები, პირველად რომ გნახე, მგალობლებთან ერთად; როდესაც ჩვენმა რეგენტმა მითხრა, დედაო, ამ გოგოს განსაკუთრებული ყური აქვს, შეუძლია დადგეს და ჩვენთან ერთად იგალობოს.

მატასი მდუმარედ უსმენდა დედა მართას; ფერმკრთალ სახეზე დედაოს ბავშვურად სუფთა და წერიალა თვალები უელავდა.

— შვილო ჩემო, ყველა გზა და ბილიკი უფლისკენ მიდის, უფალი გაგიყვანს სწორ გზაზე. მიერდე და მიყევი.

გასვლისას დედაო კიდევ მიუპრუნდა მატასის:

— დარჩი, რამდენი ხანიც გინდა, მაგრამ, ვიცი, უკან დაბრუნდები, შენს სახლში. იფიქრე ამაზე.

იგივე დღე, როი ცლით უკან

დილით გვიან გაელვიძა, ფანჯრიდან ცის სილურჯემ შემოანთა. გული გაუთბა, უყვრნს ესეთი დილა და რა ქნას. ამინდის სიმშვენიერე ხასიათში გადასდის და მთელ დღეს მიჰყება ეს არაჩვეულებრივი განწყობა. „ამინდზე დამოკიდებული ხარ, მატასი წიკლაური“, შემოუძახა თავის თავს და გაიზმორა. პირველი, რაც გონებამ შეახსენა, ეს ფრაზა იყო „ნეტავ რას აკეთებს?“

ვერაფერი გაუგო ამ ბიჭს, ვერც საკუთარ თავს. აკვიატებული ჰყავს ნოე. წაგა-წამოვა, მაინც ეფიქრე-



მაია კაპაშიძე

ბა, სადაა, რას აკეთებს. ორი წელია ასე ფიქრობს. მხოლოდ ფიქრობს და მეტი არაფერი, ფიქრობს და თან ამ ფიქრებს გაურბის. გაეცინა. გაახსენდა რა უცნაურად გაიცეს ერთმანეთი.

სოციალურ ქსელებში დიდი აქტიურობით არ გამოირჩეოდა წიკლაურის ქალი. სერიოზულად ვერასოდეს აღიქვამდა ადამიანების მიერ „შარაზე დადებულ“ საკუთარ ცხოვრებას. იმ დღეს, ვიღაცის მიერ უკილო ხუმრობა ვეღარ „გაატარა“ და მკვახე კომენტარი მიუწერა ერთ რეგვენს მორიგ

მარაზმზე. ისეთი პოლემიკა იყო ატეხილი დედა შვილს არ აიყვანდა ხელში. აი, ყველა რომ ექსპერტი და პროფესორია და ცხოვრებაში სოციალური ქსელის იქით რომ ვერ ნახა გასაქანი, ეს კატეგორია კამათობდა.

ჩაითრია და ჩაიყოლია პოლემიკამ. შემდეგ მიხვდა, რომ კამათს აზრი არ ჰქონდა, ინტერესის გამო მხოლოდ თვალყურსლა ადევნებდა აზრთა ჭიდილს და „გენიოსთა ომს“.

ისე გაერთო მესენჯერში შემოსული შეტყობინებები დაავიწყდა.

ათვალიერებდა ამდენი „ქვეიანის“ წარმოჩინებას და ეცინებოდა.

„ქვეყნას, რომელსაც ამდენი გენიოსი ჰყავს, ამდენი მამაცი და გულანთებული პატრიოტი, ოცდამეტოვთ საუკუნეში სილატაკის ზღვარზე რატომ ცხოვრობს, ან ქვეყნის ნანილი რატომ არის დამპყრობლისგან ოუპირებული. ქუდზე კაცი რომ დაიძოხნ, აქედან ნეტავ რამდენი დადგება ქვეყნის ინტერესების დასაცავადო, ხმამაღლა გამოუვიდა ნაფიქრალი. არა რა, დავით გარეჯს რომ გვგლეჯენ ხელიდან და რა თავსმოხვეული პრობლემებს წინაშეც ვდგავართ, ეს „გულანთებული“ პატრიოტები ნეტავ სად და რომელ მხარეს აკლავენო თავს.“

მესენჯერს ცოტა გვიან ჩახედა. რამდენი ხანია სოციალური ქსელის გაუქმება უნდა, მაგრამ მეგობრებთან ურთიერთობის საუკეთესო საშუალებაა და ვერ ბედავს.

ცოტა ხნის წინ სოცქსელში დაწყებულმა პოლემიკამ ახლა მესენჯერში გადმოინაცვლა. საჯაროდ, რატომდაც, არ ისურვა მატასის მკვახე, თუმცა სამართლიან კომენტარზე პასუხის გაცემა და პირად მოახსენა საკუთარი აზრი აღნიშნულ თემაზე.

გაუკეირდა მატასის, წაცნობი არ არის, მეგობარი არ არის და მეტი საქმე არა აქვსო? პასუხი ჩვეული სარკაზმით დაუბრუნა. წამოვიდა და წამოვიდა საპასუხო „გენიალური აზრები“.

ერთხანს აბეზარი სტუმრის დაბლოკვა გადაწყვიტა, მაგრამ მოსაუბრებ კამათში შეიყოლა. ნახევარი საათის შემდეგ მატასის მესენჯერში წინამძღვრიშვილის სრული ღოსიეს წაკითხვა იყო შესაძლებელი, ფოტოებით, სერთიფიკატებით და





სიგელების მთელი დასტიტუტით.

ერთ საათში მოსაუბრემ საუბრის თემა შეცვალა და პირად სიმპატიებზე აღადაპარაკვდა.

მატასის უკვირდა თანამოსაუბრის გახსნილობა და გულახდილობა, ცოტა არ იყოს, აბნევდა კიდევ. მიმოწერამ ისეთი სახე მიიღო, რომ ყოველი დღე წინამძღვრიშვილის შეტყობინებით იწყებოდა და მისივე წერილით სრულდებოდა.

მატასის თავისი თავის უკვირდა. არასოდეს ჰქონია ვინმესთან არც საუბრის და არც ურთიერთობის სურვილი, მით უმეტეს, სოციალურ ქსელში. ეს ბიჭი ან ძალიან ჭკვიანა, ან ფსიქიკა ვერა აქვს მწყობრში, ფიქრობდა თავისთვის.

ერთ მშვენიერ დღესაც დაუთვალიერა პროფილი. ფოტოზე მეუღლესთან და შვილებთან ერთად ალბეჭდილი წოე, ერთი შეხედვით, ბედნიერი ოჯახის ბედნიერ უფროსად გამოიყურებოდა. თუმცა, წოეს მონაყოლიდან, რა დაეჯერებინა და რა არა აღარაფერი გაეგებოდა.

„მატასი, ამ ათიოდე წლის წინ ისეთ შარში გავები, მინიმუმ 20 წლი ციხე მელოდა. ციხიდან ან გამოვიდოდი ან არა. შვილები მინდოდა დამეტოვებინა და სიყვარულის გარეშე ვიქორნინე“, – ჩააბარა ერთ დღესაც აღსარება მატასის და კარგა ხნით გაუჩინარდა.

რა არის მაინც ადამიანის ცხოვრება. ერთხელ იბადები, ერთხელ კვდები და უძლური ხარ გარემოებების წინაშე. უბრალოდ, დროს არ აცდი ვინმე შეგიყვანდეს. წინ ასწრებ სიყვარულის უამს და იქულებული ხდები ანგარებით, გარიგებით თუ დარიგებით იქორნინო. იქორნინო იმის გამო, რომ შთამომავლობა დატოვო. რა საშინელებაა, მატასის გული დაუმძიმდა. საკუთარი ქორნილის და ჯვრისნერის დღე გაახსენდა; ყურიდან არა და არ ქრება საუკუნოვანი ტაძრის ფილაქაზე დავარდნილი საქორნინო ბეჭდის ხმაური.

უცნაურად ეჩვენებოდა მატასის ყველაფერი, რაც წოეს უკავშირდებოდა. მისი ყოველდღიური წერილები მეტი ემოციებით დაიტვირთა და მატასი უფრო მეტი ინტერესით კითხულობდა თითოეულ მათგანს, თითქოს საინტერესო წიგნი აღმოაჩინა და ერთ ამოსუნთქვაზე კითხულობდა. საკუთარი თავის უკვირდა, რატომ აინტერესებდა თუ საითქმ წავიდოდა ეს ურთიერთობა.

– არ არსებობს, – მერამდენედ გაიმეორა ხმამაღლა.

ერთ დილითაც წოე აღარ გამოჩნდა. ინრიალა მთელი დღე, მაგრამ თვითონ შეხმიანება ვერ გაბედა.

მესამე დღეს მესენჯერში წოეს მოწერილი მთელი არზა დახვდა. გული დაეწვა; მარტოსული ადამიანის მორიგი აღსარება არ მოეწონა მატასის, თუმცა, დიდი ხანი ელოდა ამ აღსარებას და იტირა. არადა, თავისი ცხოვრების ყველაზე მძიმე დღეებშიც არ უტირია.

მთელი კვირა აღარ გაუხსნია სოციალური ქსელი. გრძნობდა, დიდ წინააღმდეგობაში იმყოფებოდა

სამყაროსთან და საკუთარ თავთან. მეგობრულად და ურთიერთგაებით დაწყებული ნაცნობობა სულ სხვა მიმართულებით მიდიოდა. მატასი ვერ მიხვდა თუ როგორ შემოიჭრა წოე წინამძღვრიშვილი მის პირად სამყაროში, დაუპატიჟებლად, უცერე-მონიოდ და როგორ ჩაუსახლდა სულში სრულიად უცხო ადამიანი. არასოდეს უფიქრია და უოცნებია მსგავსი მდგომარეობის მამაკაცზე. ფიქრებშიც კი არ უშვებდა, რომ ცოლ-შვილიან მამაკაცთან რამე საერთო ექნებოდა ოდესმე. ყოველთვის წინააღმდეგი იყო მსგავსი ურთიერთობების და მიმოწერის. როდესაც წოეს შეატყო, რომ ურთიერთობა სხვა მიმართულებით მიჰყავდა, თავიდანვე უთხრა:

„წოე, ჩემთვის მიუღებელია შენი მდგომარეობის მამაკაცთან ურთიერთობა. მეგობრობა მეგობრობაა, მაგრამ მეგობრობის იქით ნურც ნურაფერზე იფიქრებ და ნურც ნურაფერს შემომთავაზებ“.

მატასიმ კი უთხრა, მაგრამ „მოწინააღმდეგე“ ჯიუტად მიჰყვებოდა არჩეულ გზას.

„ძვირფასო მატასი, არ შემიძლია მხოლოდ მეგობრობა. როგორ შევძლო მეგობრობა როდესაც ვგიუდები შენზე, როგორც ქალზე, ქალზე, რომელიც მუდმივად ხარ ჩემს თავში და გონებაში“, იყო პასუხი.

მერამდენე დღეა, მესენჯერს არ ხსნის მატასი. წერილები დაგროვდა. არც წოეს სატელეფონო ზარებს პასუხობს და სამსახურიდან სახლში შიშით ბრუნდება, სახლთან წოე არ დამხვდესო.

ბოლოს შევბულების აღება გადაწყვიტა. დაწერა თუ არა შვებულების მოთხოვნა, რეზოლუციას არც დალოდებია, მაშინვე დედა მართას დაურეკა, დედაო, მოვდივარო.

წინი დაპირდა, მე წაგიყვანო მონასტერში, დიდი ხანი არ ვყოფილვარ, არ მინახავს დედა მართა და თან გზაში ვილაპარაკოთო.

ბევრი არაფერი წაულია: ლოცვანი, თავშალი, ორი ხელი ტანსაცმელი და თაბახის ფურცლების დასტა.

ის იყო, ცხელი ყავა მოსვა, წინიც მოვიდა. ყველაზე ადრე წინი გაიცნო მომავალი მეგობრებიდან, მაღლივი კორპუსის კიბეებთან, გამოცდების დროს. რა პატარები იყვნენ მაშინ, დიდი ემოციებით და ამბიციებით. სასიამოვნო მოგონებებმა გული გაუთბო და გაელიმა.

ნინი

წინი სუჯაშვილი, საშუალო სიმაღლის, ოდნავ რიუა, თეთრი, ქათქათა სახის კანით და ღია თაფლისფერი თვალებით. „ხულიგანი“ ბავშვი რომ იყო თავის დროზე, აშკარად ეტყობოდა; სიცოცხლით სავსე, აბეზარი, წამდვილი თბილისელი გოგო, თბილისური სილალით სავსე, აი ისეთით, მხოლოდ აქაურებს რომ ახასიათებთ და სწორედ ამით განსხვავდებიან სხევებისგან.

მატასის ბავშვობიდან ხიბლავდა თბილისელების



ეს განსაკუთრებულობა, ამიტომ ნინისთან ნაცნობობის პირველივე დღიდან რაღაც უხილავი ძაფები გაიპა მათ შორის. შემდეგ ერთ ჯგუფში მოხვდნენ, ერთ ფაულტეტზე და ყოველდღიურობამ უფრო მეტად დაახლოვათ.

— გოგო, — მიუბრუნდა ერთ მშვენიერ დღეს მატასის და ეუბნება, — იცოდე, გული არ გამიხეთქ; ჩამოდიან სოფლიდან და აქ იწყებენ სიგარეტის მონევას. გეხვეწები, თავი არ დაიგომო. რაც შენი არ არის, არ არის და მორჩა; იცოდე, მეორედ ალარ გეტყვი, — დაასრულა საუბარი ნინიმ და თვალი ჩაუკრა.

ცოტა არ იყოს, გაბრაზდა მატასი, მაგრამ თბილისელობის ხათრით „გაუტარა“.

ამ საუბრიდან მესამე დღეს, ჩანთაში საგულდაგულოდ ჩაუჭული საცურაო კოსტიუმით გამოეცხადა უნივერსიტეტში, კუს ტბაზე გვეპატიუებიან და ხომ ჩამოხვალო.

მატასის, ცოტა არ იყოს ეუცხოვა მეგობრის გამბედაობა. სულ ცოტა ხნის წინ ცნობილი ტელეწამყვანი გარდაცვლილი იპოვეს კუს ტბის ტერიტორიაზე, უნივერსიტეტის მიმდებარე სკვერში კიდევ ორი გოგონა და შებინძებულზე სახლიდან გასვლა გმირობის ტოლფასად ითვლებოდა.

— ნინი, რომ გაგვაუპატიურონ? — იკითხა გულუბრყვილოდ და დასრულებული არ ჰქონდა ნინადადება ნინის ხარხარმა იქაურობა რომ გააყრუა.

— გოგო, — ნინიმ სული მოითქვა და როგორც იქნა დაასრულა ნინადადება, — შენ ნუ გეშინია, მე აქ ვარ.

ტელეპატიური კავშირის მსგავსი ურთიერთობა ჩამოყალიბდა მატასის და ნინის შორის. უნივერსიტეტის დამთავრებიდან კარგა ხნის შემდეგ, ერთი პერიოდი, მთელი კვირა სიზმარში ხედავდა ნინის. სამსახური, ოჯახი, ბავშვები და ტელეფონამდე ველარ მივიდა. ერთ დღესაც, შესვენებაზე, აქრიფა ნინის ნომერი. უჩვეულოდ ყრუდ უპასუხა ნინიმ. არ ესიამოვნა და ვიდრე კითხავდა, რა მოხდაო, ნინიმ დაასწრო:

— საავადმყოფოში ვარ. ოპერაცია გამიკეთეს. ფილტვი ჩამეკეტა. გადავრჩი.

ტელეფონი ლამის ხელში გაუქვავდა მატასის.

— ნინი, ეს დღები სულ შენ მეფიქრებოდი, უცნაურია... — სიტყვებს თავი ვეღარ მოუყარა დაპნეულმა მატასიმ.

— გოგო, მე ერთი თვის წინ ჭირდა კიდევ ეგყველაფერი და ვერ შეგეხმიანე. მაპატიე მატასი, მესიზმრებოდი, ვფიქრობდი დავურეკო მეთქი და ვერ დაგირეცე.

მატასი გაყუჩდა. ერთი თვის წინ ტვინის შერყევით იწვა მმობლების სახლში. ისევ ნინის სუსტმა ხმამ გამოაფხიზლა:

— ხომ მშვიდობა გაქვს საყვარელო.

— კი, ნინი, ახლა კარგად ვარ. მაგ დროს ტვინის შერყევა მქონდა.

— რაა? არ გამაგიურ გოგო, მერამდენე იყო ეგ? ვაახ, გაანებე თავი, რამდენჯერ გითხრა, — ჩუმი



37

მხატვარი სოფიო ჭელიძე

ხმით ბრაზობდა მეგობარი, მეტი ხმა არ ამოსდიოდა ყელიდან.

— ნინი, რამდენჯერ დავანებე, მაგრამ ფრაზამ „ხალხი რას იტყვის“ იმდენჯერ უკან დამაპრუნა.

— ვამეტე, გოგო, ერთ მშვენიერ დღეს შესაძლებელია, ცოცხალიც აღარ დარჩე და მერე რას იტყვის ხალხი, გაინტერესებს და მნიშვნელოვანია შენთვის?

— ნინი, მიგერვიყ, საკუთარ უბედურებას შევებუე და მიჭირს ახლა რამის შეცვლა. ბაჩი არ არის ცუდი ადამიანი. მხოლოდ მაგ დროს ემართება ეს არანორმალურობა. რა ვქნა, მაგის ქრონიკულ ავადმყოფობასაც მივეჩვიყ.

— გოგო, გიუ ხარ? მაგან შენც გაგაგიუა. მე გაგაფრთხილე, თან რამდენჯერ. ერთ მშვენიერ დღესაც შემოაკვდები და შვილებს ვის იმედზე ტოვებ?

ხმა ვეღარ ამოიღო მატასიმ. კარგად ახსოეს, ბურთივით გაეჩირა ყელში ცრემლები და პაუზის შემდეგ უპასუხა:

— იყოს ისე, როგორც უფალს სურს, მოხდეს რაც მოსახდენია.

მზიანი ამინდია, შემოდგომის სხივები სახეზე ნაზად ეთამაშება მატასის და თვალები მილულა. უყვარს ასეთი ამინდი, შეუძლია საათობით იჯდეს და ინებივროს. თვალდაბუჭული უფრო კარგად ფიქრობს ათას რამეზე.

— გოგო, — ჩვეული ინტონაციით შეუძახა ნინიმ, რაზე ფიქრობ, რამდენი ხანი აპირებ მონასტერში დარჩენას?

— არ ვიცი, ნინი. ლილე და შენი ნათლული ზაფულში აპირებენ ჩამოსვლას. ბაჩისგან აღარაფერი

ოლქა №1, 2023





ისმის. ბოლოს რომ მომწერა ალიასკაზე აპირებდა ნასვლას და უკვე ნახევარი წელი ხდება არაფერი გამიგია. ქმარს დავავინტები, შვილები გერმანიაში სწავლობენ და როგორც კი არდადეგები დაეწყებათ, ჩამოვლენ. სახლშიც ვერ ვჩერდები, არც ნოესთან შეხვედრა მინდა, არც საუბარი. განმარტოება მჭირდება.

— გოგო, გამაგებინე ერთი, რა ხდება. ვინ არის, რა უნდა, ნორმალურია? თავტედობა ნახე რა! ოჯახი ჰყავს, ცოლი, შვილები. ერთი მეგობრები კარგად უნდა დაუუთვალიერო. ბაქარა ჩიხელს გვიჩვენებს საერთო მეგობარს, ჩემი ერაყის მისის მეგობარია. ავუვლი ერთ საღამოს ბაქარას და გავიგებ ვინ ბრძანდება.

თბილისს გასცდნენ. ჩუმად მიუყვებოდნენ გზას. ხანდახან ნინი უხმოდ გახედავდა ფიქრებში ჩაფლულ მეგობარს.

მატასი თვალდახუჭული იჯდა სავარძელზე. მუსიკას დაუწია ნინიმ, ეგონა ჩაეძინაო.

— ნინი, ვგრძნობ, მაკვირდები. ვიცი, რასაც ვაკეთებ. თუ ღმერთს ასე სურს, დაე, იყოს ასე. საკუთარი თავი მინდა ვაპოვო, — ჩუმი ხმით გაეპასუა მეგობარს მატასი.

— მატასი, დაფიქრდი, გაქცევა არა გამოსავალი და შენც კარგად იცი, რომ ახლა გარბიხარ.

— კი, საკუთარ თავს გაფურბივარ. არ მინდა საკუთარი თავი მეზიზღებოდეს, არ მინდა ისეთი შეცდომა დაუჟვა მთელი ცხოვრება სანანებელი რომ გამიხდეს. აფორიაქებული ვარ და არ მინდა ღმერთის საწყენი რამ ჩავიდიონ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მთელი ცხოვრება ვიცნობ ნოეს, ჩემი ქვეცნობიერი იცნობდა. მეტიც, რატომლაც მგონია, რომ წინა ცხოვრებაშიც ძალიან კარგად ვიცნობდი.

ლია ფანჯრებიდან დაბერილი ნიავი სახეზე ნაზად ეალერსებოდა გოგონებს.

ნინი სულგანაბული უსმენდა მეგობრის აღსარებას.

— ნინი, ეს ადამიანი ისე შემოიქრა ჩემს ცხოვრებაში არც უკითხავს შეიძლებოდა თუ არა. შემოალო კარი, შემოვიდა და სულში ჩამისახლდა. გაუსაძლისია ეს ლტოლვა, მიჯაჭვულობა, დამოკიდებულება. რასაც არ უნდა ვაკეთებდე, თავისიდაუნებურად, სულ მეფიქრება: სად არის ნოე, რას აკეთებს ნოე, ვისთანაა, ვის სწერს, ვის ეფერება. ჩემო ნინი, მოკლედ, ნოე მჭირს და ნოე დამემართა. გჯერა?

— გოგო, არ ვიცი, შოკია ეს ჩემთვის. დაუჟერებელი არაფერია მატასი, მაგრამ შენგან მიკვირს. ბაჩი იყო და ძლიერ გამოგაფხიზლეთ, უფრო სწორად, მალლიდან გამოგაფხიზლეს და მადლობა ღმერთს, მაშინ გადავრჩით. ახლა ნოე. არა, დაო, ყოჩალ, არანორმალურ ადამიანებს მაგნიტივით იზიდავ. ხვალ სოციალურ ქსელში პოსტს გავუშვებ, ცხადდება არანორმალურების შესარჩევი კონკურსი და იმისთან არანორმალურს ვიპოვით ბაჩი და ნოე აღარც მოგაგონდება.

— კაცს, რომელსაც ჰყავს ოჯახი, ცოლი, შვილე-

ბი და როგორც ვხვდები, არის საკმაოდ მერყევი ხასიათის, მერყევი აზროვნების, რომელსაც ვერ გაუგია რა უნდა შენგან და ცხოვრებისგან, რომელსაც, სავარაუდოდ კიდევ ჰყავს გონებაში შენნაირი სხვა შტერიც რატომ დაუხლოვდი. ან რატომ პასუხობდი? — გაცხარებული ტონით ხმას თანდათან უნევდა ნინი, სახეზე აღმური გადასდიოდა.

— აუუ, დამატერინა და მაცემინა ეგ ნოეა თუ ადამი, — არ ცხრებოდა ნინი.

მატასიმ თავი ჩაღუნა.

— არ ვიცი, ნინი, რა და როგორ მოხდა; ან აქამდე როგორ მოვედი, რომ საკუთარ თავს გავურბივარ. ის მე არ შემომიშვია, თვითონ შემოიქრა თავხედურად. ერთი შეხედვით, საგანგაშო არაფერია, მაგრამ ვგრძნობ, საკუთარ თავში ვიკარგები და საკუთარ თავს ველარ ვცნობ. მეშინია თავი საბოლოოდ არ დავკარგო. ისეთ ისტორიებს მიყვება ნოე გული მიჩერდება. იმდენად წრფელი და ალალია, მის მონაყოლში ეჭვის შეტან არ შემიძლია. რა ხდება იცი? პარალელურად ვაზროვნებთ, ვფიქრობთ, ვმოქმედებთ. ეს მაგიურებს. რალაცას რომ ვფიქრობ და ვწერ, ნერა არ დამიმთავრებია და მისგან მომდის იგივე ნაფიქრალი. მწერს იმას რასაც ვფიქრობდი. სიგიურეა სრული.

— ნინი, ხომ არიან ადამიანები, — გააგრძელა მატასიმ, — აი, მათი გამოჩენა მზის ამოსვლას რომ ჰყავს. სითბოთი, ხალისით, სიცოცხლის წყურვილი რომ იგსები. როცა არ ჩანან საშინელ სიცარიელეს გრძნობ, თითქოს რალაც გაჟლია, ადგილს ვერ პოულობ და გგონია უდაბნოში დახეტიალობ, სადაც შიმშილი, უწყლობა და უჰაერობაა. გამოჩნდება ეს ადამიანი და შენს თვალებშიც მზე ამოდის, სულს სიმშილე უბრუნდება, გულს სიცოცხლის ხალისი. ეს მზე ადამიანია ნოე.

მანქანაში სიმშვიდე გამეფდა. მატასიმ თვალები მილულა და სავარძელს ისე მიესვენა თითქოს ბოდვებში ჩაეძინაო.

თვალზე ცრემლი მოადგა ნინის. ხმა ველარ ამოლო. ხანდახან ჩუმად გადახედავდა დაქალს და სურვილი უჩნდებოდა გულში ჩაეკრა მატასი.

„ეს, მატასი, მეგონა შეევარებული იყავი და ეს მხოლოდ სიყვარული არ არის, ეს უკვე ბევრად საშიშია“ — გაიფიქრა ნინიმ.

ცოტა ხანს კიდევ იარეს უხმოდ, ფიქრებში გართულებმა. ნინი კიდევ აპირებდა რალაცის თქმას, მაგრამ მონასტრის სახურავის ნარინჯისფერმა სიღიღებით თვალი მოსტაცა და დაქალს შეახსენა, მოვედითო.

სიმწვანეში ჩაფლული მონასტერი იმდენად დიდებული ეჩვენა ნინის, გულმა ნეტარებით დაუწყის ხმაური. ენერგიის მოზღვავება იგრძნო. თავისთვის გაიფიქრა, კარგი ქნა, რომ აქ ნამოვიდაო მატასი.

საღამოს ლოცვა იწყებოდა და მეგობრები მრევლს შეუერთდნენ.

დასასრული იქნება



სალომე
პზარაშვილი

* * *

ქალაქი დევბა თავის კანიდან,
ლამე იფშვნიტავს შემხმარ ჭრილობებს,
ნეტავ, ტკივილი საით წამიყვანს?
მწერლზე გიდობას დართი გამიწევს.

თქვი, – ყველაფერი კარგად იქნება,
სიბრალულის ხმით სიჩუმე ხმას მცემს,
ნინ ვერაფერი ვერ დაგიდგება,
გულისძანყვეტის მრავალჯერ დამძლევს.

ლექსი ამ ოთახს ცაში აიტანს?
სისხლდაწერეტილი გულის სუდარას,
ვგრძნობ, არად აგდებს ის ჩემს მუდარას
და ჭრილობებზე ნაკერებს...
არლვეცას...

ქალაქი დგება თავის კანიდან,
ნეტავ, შთამბერო სული ახლიდან...

* * *

අඩ සියුගරුව්ලීම් මාරුත්ම වාර ගාරුගම,
නු ගේපිනිඛ තාවස රාමේ වාවන්ම,
සුළු ගාකන්රා මාග මධ්‍යෙරාම වාත්පුම්,
දේ දාරුණුග්‍රැබාස අරාස ග්‍රින්ත ජා ගත්තෝටු.

ამ სიყვარულში მარტო ვარ კარგო,
ამიტომ გიჯობს სხვას გაეძადრო,
ნუ მეკითხები, – არ გსურვარ? რატომ?
ოლეს ჩრდილოში ხარ და ლრწობის არქიპობ?

ამ სიყვარულში მარტო ვარ კარგო,
გულს მიგაქარგე და არც კი ვნანობ,
ჩვენი პირველი შეკრთომაც მახსოვს,
ლოტისის სისხლს მასმეტ და ასე მათრობ.

ამ სიყვარულში მარტო ვარ კარგი,
არ ვნანობ, არ ვნანობ, არ ვნანობ...

ଶ୍ରୀରାମ ଅନ୍ତରେକ୍ଷାପ ଦ୍ୱାରିତିଲୋକ ହଙ୍ଗମେହି,
ରାଜସ୍ଥଳୀର କାଳତଥିରେ କୁ ରାଜମହିଳା ପ୍ରଧାନ,
ଏବଂ ଶ୍ରୀରାମକୁଣ୍ଡଳୀର ମନ୍ତ୍ରବ୍ୟୁଧ ମୁକ୍ତାବ୍ୟୁଧ,
ଶ୍ରୀରାମରେଣିର ଅନ୍ତରେକ୍ଷାପିଣୀର ଶିଖିତିଲୋକ ପ୍ରଧାନରେତ୍ତି.

အနုပညာ စိုးပညာနှင့်



მინდა შენს დუმილს პასუხი გავაკ

მინდა შენს დუმილს პასუხი გავცე,
მაგრამ მცდელობაც კი ნალველს მმატებს,
ნეტავ შენ ბაგეს ძილის წინ დავცდე,
ლერთმა გაგიგოს და ნატერას გასკვდე.

ძეირფასო, ნუთუ ასე მემდური,
რომ მოკითხვასაც ვედარ იმეტებ,
შემომაკვნიტა დარწმა ეს გული
და მაინჯ თავთან სახელს გიყეთის.

ფუთქას მომიტანს აშლილი ლამე,
დუმხარ და ვიცი შენც რომ არ გძინავს,
ამიტომ მინდა პასუხი გაგცე,
სანამ ტკივილი ტკრიბს დაფლითავს.

* * *

უსათაუროდ მივსეირნობთ
და გზად შენობებს განცდებს ვაშენებთ,
შენი ლიმილით ანთეპულ წარმართს,
შიში ტკბილ-მწარედ მახვევს ამ წუთებს.
მოგონებებში სანიშნეს ვტოვებთ,
მომავალში რომ წამით ავძგერდეთ,
სულს დისტანციის ჯეპირებს ვუნგრევთ,
გულს გუშინდელზე მეტად ვახელებთ,
მწუხრის საამო სიოს ვაღელვებთ,
და ერთმანეთის ფიქრებს ვათენებთ.
ბარათაშვილის სამჭედლოს კართან
მოწყვიტავ მთვარეს, მანევ საყურედ,
შენი ლიმილით ანთეპულ წარმართს,
შიში ტკბილ-მწარედ მახვევს ამ წუთებს.
ზეცა გახეთქავს ბოლო ბრონეულს,
შენი თვალები ჩემ ბაგეს ინვევს,
სინათლე, როგორც მექისე სახეს
დაგვპანს და ერთად ვიქნებით ისევ?
შენი ლიმილით ანთეპულ წარმართს,
შიში ტკბილ-მწარედ მახვევს ამ წუთებს.





* * *

ალესილ ყელზე გავწყდი მძივივით,
მაგ გულში ჩემ ხმამ რომ ვერ იელვა,
ცრემლით ჩამოსხმულ არღნის სიმივით,
პოეტმა ლექსის შიში იგემა.

მზერით ამოვთქვამ ტკივილის ბალებს,
რისხვის კალთებს კი რითმაში ვკეცავ,
და სიყვარულით მოხვეულ მკლავებს,
მკვდრეთით აღმდგარის შიმშილით ვძერნავ.

ალესილ ყელზე გავწყდი მძივივით,
სუნთქვამ გატეხა ბედის რუტინა,
ყოფნა-არყოფნის ბეწვის ხიდივით,
უგრძნობ შეხებამ გამომიტირა.

* * *

სულზე გუთანი გადამატარეს,
და სარეველა ფიქრიც გამარგლეს,
ხვნეს, თესეს, მზის გულს წვიმითაც არგეს,
ახლა მელიან უმალ ავყვავდე.

მოგონება კი ამყარებს ბელტებს,
და სიმძიმილით სუნთქვას ჩამიხშობს,
კვლავ თუნდაც ღმერთი მოყიდეს ბეთლემს,
გოლგოთა წამით თვალებს ჩაუქრობს.

მე არ ვარ ღმერთი, მაგრამ ვგრძნობ ტკივილს,
ზეცას ღრუბლები ობივით ახრჩობს,
გაზაფხულიც კი ვერ წაშლის ყივილს,
ზამთრისგან მტვრევა ხეებს კვლავ ახსოვთ.

მოგონებები მეფობენ მხოლოდ,
მათგან გაქცევას წუ შეეცდები,
ვერ შევასრულებ თუკი ჩემ სოლოს,
გთხოვთ, ხვნას და თესვას წუ შეეშვებით.

პოეტი – ფიქრის კონტრართისტი

ცის ხერხემალზე წვანან სიზმრები,
შიშები ღრუბლის გულში გამყარდა,
ხალხის სულიდან ამოკემისილებს,
კონტრაბანდისტულ ფიქრში მალავდა.
აქ ელვას ელის ყველა „ურნმუნო“,
დამბარებული ტკივილის დაღვრას,
– შენი მესმისო, სხვას დაუწუნოს,
და შეუბრუნდეს თვის დამშლელ ტალღას.
ბუნება დასჭექს დამის შობისას,
ახალშობილის ტირილით ამჟელს
ყველა სულმშრალის ნალექობის უამს,
თვის თავთან ყველა ცოცხალ-მკვდარს ახელს.

რომ ჩაიღვრება ყოფიდან კუპრი,
ცის ხერხემალი მოიმტვრევს საყრდენს,
წვიმით დასტყდება სიზმარს მტევნები,
მოგონებები დალაშქრავს შრამებს.
პოეტი – ფიქრის კონტრაბანდისტი,
არალეგალურ სიცოცხლეს სწვდება,
ლექსით – სიკვდილის ძილისპირულით,
საყრდენ კედელად უდგება ზეცას.

* * *

გამოერევა დღეებს სიჩუმე,
როცა სილრმეში ტკივილს იქუჩებ,
უკვე რომ დაგლლას თავთან სიურჩე,
სიტყვებს ღრუბლებად შეკრავ, იქუზებ.

და რა გვინია მოყვება ტალღებს,
გულგრილობით ან ტაშით შეცდები?
ჭირს წაულია, ცასაჭრილ ალებს
ვინ დაგიოკებს გულზე შეხებით?

ეს აგაღელვებს, მისთვის ეცდები,
ზურგს გაქცევინებს უკუნისაკენ
და ტაიმეტის უფსკრულისაკენ
ვინც არ გაგიშვებს წრფელი ვედრებით.

ეს გაგახსენებს სულიდან მარცვლებს,
რწმენის ხეივნის გულში რომ დარგე,
სხვებში აშენებ და შენ თავს ანგრევ.
ცხოვრება კი კვლავ სიცოცხლეს გაკლებს.

მუხლგაფატყავერული ლექსი

ღამე წაიქცა მოგონებებზე, ველარ თენდება,
სიკვდილს ჩაუცვამს შენი პერანგი და მეც კარს
ვულებ,
პირისპირ ვზივართ, ფიქრი სიტყვის კრძალვით
შეშდება,
ლექსებს შეახმა შენი სული და ველარ ვუძლებ.

შემეჩერება ანარეკლი ბაგშვურ სილალის
და ამ ნათელში შენი სახე უფრო მაღლდება,
გულს მოერევა მონატრება მაღლულ სიხარბით,
და სიკვდილს ვამჩნევ შენს პერანგში, ღელვა
ახლდება.

ნაზამთრალ სხივებს მიესწრაფვის ღამის სუდარა,
მოგონებების ჭაობში რომ ვდგავარ უძრაოდ
და მესმის მელნით შედედებულ სისხლის მუდარა,
სიკვდილმა მალე მომაკითხოს უმალ, უქამოდ.

ღამე წაიქცა მოგონებებზე, ველარ თენდება,
ნეტავ, შენ თვალებს პერანგოდა ჩემი სიცოცხლე,
სხვების რწმენა თუ მითებსა და შიში შენდება,
ჩემი ვალპალა შენი სულის ცაა იცოდე.



ნათებ
მჯედრივილი

For more information about the study, please contact Dr. John Smith at (555) 123-4567 or via email at john.smith@researchinstitute.org.

* * *

მამულს იმისთანა ჰყავხარ
ბიჭო, მარაბდელს რო ჰყავხარ...
ადე, რკინა გადაიცვი,
სანამ ჯიში შეგველახა...
სანამ სისხლი გაგვიჩერდა...
სანამ გენი გადაგვარდა...
პაპაჩვენი რვალს რო სჭედდა,
სანამ სულზე შემოგვადნა...
განა მასე უნდა სდევდე
დაბლა მწყერს და მაღლა ხოხბებს...
მტრის სისხლს პეშვით უნდა ლევდე
სპას საომრად დასძახოდე!
პაპაჩვენი ფოლადს ღრღნიდა,
საქართველოს ბჭესთან იდგა,
დარიალის კარსა ხსნიდა,
მგლებს აფრენდა ალგეთიდან...
პაპაჩვენი სისხლს რო ჰლვრიდა,
იმ სისხლიდან, იმ გვარიდან,
იმ ბუდიდან წამოშლილებს,
მშვიდობაში ჩვენ რა გვინდა?
შენ რა გინდა მშვიდობაში,
შენს წინ მტერი უნდა ძრნოდეს!!
ტანზე ჯაჭვი უნდა გესხას,
სპას საომრად მიუძლოდე!!!
დადექ საქართველოს ბჭედ და
კიხის გაუტეხელ კარად!!

* * *

არ მიწერია ამაღამ ძილი,
სულ გულისძვერით ვზომე მანძილი
შენიდან ჩემკენ ჩამოსარბენი,
და ყოლზე მიჭირს როგორც საპელი

ფეხზე იყავ, მოწეულო ოქროპურის ყანავ...
შემიმიჩვი, სამოთხემდე ლენვით უნდა მოგვავ...
დამიღები, თავოუხებზე ჩაფრენილი გყავრა...
მზის ტალღებში ომს გიქადი, ვეფხის ვარ და მოყმერ...

შემომიშვი, გადამეფოს ჭანზე შენი გემო...
შზესუმზირა, თავთუხერი, ფოლადი და რვალი...
შემომიშვი, ფაგირბინო, თავზე შემოგევლო,
შზე გიჩზირნს შენ კი მარტო ჩემზე გერნდეს თვალი...

၆၁၈။ ပန္တရာန ပို့ဆောင်ရွက်ခြင်း



ეგ გზა, ეგ ცხრა მთა, ეგ მწვერვალები,
დღეს ვერ ნანახი შენი თვალები...
არ მიწერია ამაღამ ძილი....
სანამ ჩამოჩვალ... ჩვენი მანძილი
სულ პულსით ვზომე... ერთად ყოფნიდან
ერთად ყოფნამდე
ვგრძნობდი ჰაერი ალარ მყოფნიდა...

ფეხზე იყავ, მოწეულო ოქროპურის ყანავ...
შემომიშვი, სამოთხემდე ლენგით უნდა მოგვევა...
დამიდექ, თავთუხებზე ჩაფრენილი გყავარ...
მზის ტალღებში ომს გიქადი, ვეფხიც ვარ და
მოყმრუ...
მოყმრუ...

შემომიშვი, გადამედოს ტანზე შენი გემო...
მზეს სუმზირა, თავთუხები, ფოლადი და რვალი....
შემომიშვი, დაგირბინო, თავზე შემოგევლო,
მზემ გიმზიროს შენ კი მარტო ჩემზე გქონდეს

ხელისგულზე უნდა გთშვინიტო მოწეულო პური,
შენი ბუღი უნდა ვჭამო ფილტვებთან რო
მიღრენს...
შენი ოქრო უნდა ვხვეტო, მზე ზედ მოგახურო,
დამიღები ლინვით უნდა სამილობით მიღყვენ...

* * *

შენი მომრევი არ იყო
სოფლად არცერთი მოყმე...
მე ამოვიტავი წრიაპი





შენს ნაფრენ ჭიუხს მოვყე...
 ვერ ისვენებდა ფრანგული,
 თითებს მიდნობდა ვადით...
 დაგადექი და გეძინა,
 საავტორო ღრუბელს ჰგავდი...
 გეძინა, არ გაგაღვიძე,
 შენი მშვენება მკლავდა...
 ძალს მე ვიყავ და ძალს ხმალი,
 ჯავრი მამტვრევდა მკლავთა...
 „დაკალ! დამჭმელი სოფლისა!“
 შემომკიოდა სისხლი...
 მაგრამ, არცერთი ვიყავით
 უსწორო ბრძოლის ლირსი...
 წაველ და ჩემი გზა ვნახე,
 სად წახვიდოდი, სადა...
 შენი ნაწოლი ადგილი
 დევთა ნაომარს ჰგავდა...
 ქვა აღარ დარჩენილიყო
 შენი ტოტების შიშით...
 ერთურთს არ წაუვიდოდა
 ჩვენი გეში და ჯიში...
 არც მე ვიყავი ჯაბანი,
 გული მომწევდა შენთან.
 შენც რო ჩემ საფერ იყავი,
 გიცან კაცად და ლმერთად...
 მოვბრუნდი, მკლავი მერჩოდა,
 სისხლი მერჩოდა ცხელი,



ნათია მჭედლიშვილი

დაგძახე როგორც კაი ყმას:
 „ადე, ხმალს იკარ ხელი!“
 ადექ და გული აძგერდა,
 თვალი მარისხე ღვთისა!
 ვეფხვი იყავ და კაცს ჰგავდი,
 ტოლად და სწორად გიცან!!
 უმუზარადოს დამატებე
 მარჯვენა ტოტის კვალი,
 მაგრამ მოვასწარ მოგჭერი,
 ეგ ვაჟუაცური მკლავი!
 კაცს გავდი, დამხვდი კაცურად,
 მეც კაცს ვეპრძოდი შენში...
 ერთურთს არ წაუვიდოდა
 ჩვენი გენი და გეში...
 ფრიალო კლდეზე ნავალო,

რა ლირსეულად შემხვდი...
 ჩემთვის შენ იყავ ვაჟაცი,
 შენთვის მე ვიყავ ვეფხვი...
 ვახსოვართ, ახლაც მღერიან
 ვეფხის და მოყმის ამბავს...
 ვეფხი მოყმეს და მოყმე ვეფხვს
 რა სასწაულად ჰგავდა.
 შეხვდით და ზეცა შევძარით
 შტოთა ლენვით და მტვრევით,
 არცერთს არ გვეკადრებოდა
 ერთურთზე მცირე მტერი!!





ნათელა ქურციკიძე

გაზაფხული მოსულა

გაიპარა თებერვალი ჩუმად,
გაზაფხულმა შემოაღო კარი,
დაუბრა მარტის ცელქმა სიომ,
ლილილომაც გაახილა თვალი.
პეპლებიც, რომ აფირფატდნენ, – ნაზად,
და... ყვავილებს გაუსწორეს თვალი,
სიყვარულით სავსე არის გული, –
როცა – ქვეყნად, გაზაფხული არის!
ივშბა და იბერება – კვირტი,
ხეებს მშვიდად დაუწყიათ სუნთქვა.
მზის სხივები ეფინებათ გულზე,
თვითონ ქვასაც ვედარ ნახავთ გულქვას...
გალამაზდა, აიქოჩირა მდელო
და გვირილებს მეჯლისი აქვთ წყნარი,
გაშლილ მოლზე – აფეთქილი ვარდიც
რა ლამაზი, რა უბადლო არის!
ისმის ცაში ფრინველების სტვენა,
გალიბა და სამური ხმები,
მე კი მინდა: მივეფერო ყველას
და გაზაფხულს დავულოცოთ ფრთები...

სამშობლო

მე მიყვარს ჩემი სამშობლო,
ზურმუხტოვანი მთა-ბარი,
უკიდეგანო მინდვრები,
ყანები, ოქროს თავთავით.

ცა-ფირუზი, – ლეგა ლრუბლებით,
მდინარეებით, ტბებით,
ლამაზი ნაკადულებით,
ბალ-ვენახებით, ზერებით.

შავი ზღვა, – ლურჯი ტალღებით,
სან, ბობოქარი ხმებით,
ირმების ნატერფალებით,
ცად აზიდული მთები.

მე მიყვარს ჩემი სამშობლო,
ზურმუხტოვანი მთა-ბარი;
ასეთი – კარგი, ლამაზი,
მხარე, მეორე, სად არის?!

ქალი

შენ, ქალი ხარ, – რჩეული!
ჩემთვის – გამორჩეული,
ცის ნამი ხარ დილისა,
თანამგზავრი – ძილისა!

შენ ხარ: ჩემი ხატება,
გულზედ, რომ მეხატება,
ამოსული – ცისკარი, –
მოკაშაშე – მზის თვალი!

ხარ: სიცოცხლის სიმბოლო,
ჩვენი ყოფნის – მშვენება;
ულრუბლო დღის – ნათელი, –
გაზაფხულის თენება!

ხან, ვარდივით – მცინარი,
ხან, ზღვასავით, შმაგი ხარ;
ბობოქარი, მდელვარე,
ხან, ჩუმი და... წყნარი ხარ!

განთიადი დილისა,
შენთან ერთად, იწყება,
შენ ხარ: ჩემი სიცოცხლე, –
ჩემი თავდავიწყება!



მარიამ ნიქაბაძე

44



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი

სახელმწიფო მუზეუმი

კოკორიტ გრაფტუნიჭა ფულუროში შესულიყო. საძინებრ-ელში ნელ-ნელა ჩავიდა და პანკო დაინახა, რომელიც მოხრილი ინდა, პანია თავერი მუსლიზე დაეწყო და ნა-ტანჭი სახე ჰქონდა.

- პანკო, რა გჭირს, რა ფაგეტართა?!
- მთელი ლამე მუსლი მტკიფა.
- გამოტყოფი, ზღარბუნის თან ერთად რა შეჭამე?!
- არაფერი... მაგრამ სახლში რომ ვერცნდებოდა, ნითელი კენკრით ფახუნძლული მუჩქი შემხვდა... ნევრი ვჭამე... კოკორა მიშველე, ძალიან მტკიფა მუსლიითი...

მარიამ ნიქაბაძე

კოკორა და პანკო

პატარა სოფელთან, გორაზე, ცისკენ ტოტებანვდილი დიდი მუხა იდგა. მუხა ტყის ბინადართა სახლი იყო: ტოტებში ფრინველებს ბუდეები ჰქონდათ გაკეთებული; ფულუროებში ბუ და ციყვი ცხოვრობდნენ. ყველაზე საინტერესო მოსახლე ჯუჯა კაცუნა – კოკორა იყო. მან წლების წინ, კურდლის მიტოვებულ სოროში მყუდრო ბინა მოინყო. აღმოსავლეთ მხარეს, ლამაზ მუხის კაზზე კოპნიად იყო ამოჭრილი ჯუჯას სახელი: „კოკორა“.

კოკორას სახლში ძირითადად ტოტები-საგან, რკოებისგან და ხავსისგან დამზა-დებული ნივთები იდო. კედლებზე გამხმარი ყვავილების და ფოთლების კომპოზიციები ეკიდა. მაგიდაზე, რკოს ვაზაში მუდამ ეწყო ცოცხალი ყვავილები. ზამთარში კოკორა მა-რადმწვანე წიწვებით რთავდა ოთახს.

კოკორას მეგობარი ციყვი პანკო ხშირად სტუმრობდა. კოკორა და პანკო მეზობლად ცხოვრობდნენ და მზის ყოველ ამოსვლას ერ-თად ხვდებოდნენ. ჯუჯა დილით ადრე აადუ-ლებდა ჩაის და რკოსგან გამოთლილი ორი ჭიქით და პანია თერმოსით მძინარე პანკოს თავზე დაადგებოდა. მეგობრები მუხის კენ-ნეროზე აცოცდებოდნენ და მზის ამოსვლას ეგებებოდნენ. სუსხიან დილას პანკო თავის ფუმფულა კუდს ციყვს შემოახვევდა მხრებ-ზე და თბილად, გატრუნულები ისხდნენ. მზის ამოსვლის შემდეგ კი კოკორა თავის ბალში მიდიოდა, პანკო კი მეზობლებს დაუკლიდა ახალი ამბების გასაგებად.

კოკორას ყვავილები ძალიან უყვარდა. სახლთან ახლოს პანია ბალი გააშენა, სად-აც სხვადასხვა დროს მოყვავილე მცენარეე-

ბი გაახარა. ყოველ დილას ბალში მიდიოდა, ყვავილებს რწყავდა და მავნე მწერებს აშო-რებდა. შემდეგ კოკორა სასეირნოდ ტყეში მიდიოდა და საინტერესოს ან სასარგებლოს რასაც ნახავდა, სახლში მიჰქონდა. ასე შეა-გროვა სამუზეუნალო მცენარის ფოთლები, ფესვები, ლამაზი კენჭები და ფერადი ნაჭრე-ბი, რომლებსაც ადამიანები ტყის განაპირას მდგარი ხის ტოტებზე აბამდნენ. ფერადი ნაჭ-რები მოსწონდა კოკორას, მაგრამ ადამიანებს არ ენდობოდა.

შემოდგომაზე, სანოვაგის შესაგროვე-ბლად, მეგობრები ერთად დადიოდნენ. აგროვებდნენ თხილს, კაკალს და სხვა საკვებს. კოკორა მთელი სეროზულობით უდგებოდა საქმეს, გვიანბამდე მუშაობდა და ცდილობ-და, ბევრი სანოვაგე შეეგროვებინა. ციყვი პანკო კი უდარდელი იყო. ერთი სული ჰქონდა საქმეს როდის მორჩებოდნენ, თამაში ეჩქარე-ბოდა, ყოველთვის გართობისკენ ეჭირა თვა-ლი. ხან პეპელას გაეკიდებოდა, ხან ზღარბს ეჭირავებოდა და შეეგროვებული კაკალი ზამ-თრის ბოლომდე არ ჰყოფნიდა. ამაზე კოკორა ბუზღუნებდა და პანკოს ტუქსავდა, მაგრამ სანოვაგეს ყოველთვის უნანილებდა.

საღამოს სეირნობიდან დარუნებულები კოკორას სახლში ისხდნენ და ჩაის სვამდნენ.

– დღეს ბევრი ვიარეთ, არა? საინტერე-სო მცენარეებიც ვნახეთ... – კოკორამ ცხელი ჩაი მოსვა.

– უჰ, მართლა ბევრი ვიარეთ, ფეხები მეტკინა. მაგრამ მცენარეებზე მეტად ბეღ-ურების მოყოლილმა ამბავმა დამაინტერესა. თურმე სოფელში ერთი გოგონა დასახლებუ-

ლა. ცხოველების ექიმი ყოფილა, მოიცა რა ერქვა? ვეტერინო.

- ვეტერინო კი არა ვეტერინორი. რა კარგად მოგისმენია...

- ოჟ, გრძელი სიტყვაა და ვერ დავიმახსოვრე. ყოველ დილით თურმე ბელურებს საკენკს უყრის. კეთილი ადამიანი ყოფილა.

- შეიძლება კეთილია, მაგრამ ბელურების ადგილას მაინც ვიფრთხილებდი. არასოდეს იცი ადამიანი რას მოიმოქმედებს. კიდევ რაო, ბელურამ?

- რაო და, თურმე სოფლელებს თავიანთი ავადმყოფი ცხოველები გოგონასთან მიჰყავთ და ისიც თვალის დახამხამებაში არჩენს. ნეტა შენსავით ბალახებს აგროვებს ტყეში?

- არა მგონია. ალბათ წამლები ექნება...

- კარგი, მე წავედი, ზღარბუნიას უნდა მოვუყვე ახალი ამბავი, ჯერ არ ეცოდინება. ჩაისთვის მადლობა.

- ხვალ დილას შევხვდებით.

- კარგი, ხვალამდე.

მეორე დილას კოკორამ ორი ჭიქით და ჩაით ააკითხა პანკოს.

- პანკო... პანკო გამოდი, თორემ მზე უჩვენოდ ამოვა! - კოკორა ფულუროსთან იდგა და ისე ეძახდა თავის მეგობარს.

- პააანკოოოო, გააააიიიილვიიიძეეეეე!.. - ამჯერადაც არავინ უპასუხა.

კოკორამ გადაწყვიტა ფულუროში შესულიყო. საძინებელში ნელ-ნელა ჩავიდა და პანკო დაინახა, რომელიც მოხრილი ინვა, პანია თათები მუცელზე დაეწყო და ნატანჯი სახე ჰქონდა.

- პანკო, რა გჭირს, რა დაგემართა?!

- მთელი ლამე მუცელი მტკივა.

- გამოტყდი, ზღარბუნიასთან ერთად რა შეჭამე?!

- არაფერი... მაგრამ სახლში რომ ვბრუნდებოდი, წითელი კენკრით დახუნდლული ბუჩქი შემხვდა... ბევრი ვჭამე... კოკორა მიშველე, ძალიან მტკივა მუცელიიიი...

კოკორას უნდოდა პანკო დაეტუქსა, მაგრამ ხვდებოდა, რომ ახლა ამას აზრი არ ჰქონდა. მთავარი იყო მეგობრისთვის ეშველა.

- დამშვიდდი პანკო, ყველაფერი კარგად იქნება.

კოკორა თავის სახლში ჩავიდა, ყვე-



მარიამ ნიძაბაძე

ლაფერი გადაქექა, მაგრამ მუცლის ტკივილისთვის ვერაფერს მიაგნო. უცებ ბელურების მოყოლილი ამბავი გაახსენდა გოგონა ვეტერინარზე. შეიძლება მართლა კარგი ადამიანია და პანკოს დაეხმაროს.

სოფელში დროულად თუ წავიდოდა, საღამოს უკვე იქინებოდა. მთავარი იყო ვეტერინარი გოგონას სახლისთვის მიეგნო. კოკორამ იცოდა, რომ ადამიანები საჭირო

ნივთებს ფულით იძენდნენ, მას კი ფული არ ჰქონდა. ბოლოს გადაწყვიტა ყველაზე ძვირფასი რამ წაელო. კოკორამ კარადიდან მრგვალი ბურთულა გამოიღო, რომელიც სეირნობისას იპოვნა. ბურთულა ჩრდილში ლურჯი იყო, მაგრამ მზეზე ისაფრად ბრჭყვინავდა. კოკორა თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, პანკოსაც კი არ ათხოვებდა, დამიკარგავსო.

„მეგობარი უფრო მნიშვნელოვანია“ - გაიფიქრა კოკორამ. საგანძურო ლამაზ ნაჭერში სათუთად გადაახვია, ჩანთაში ჩაიდო, სახლის კარი ჩაკეტა და უკანმოუხედავად გაიქცა.

* * *

სწრაფად მიდიოდა და შუადლისთვის მინდვრები და სახნავი მინები გამოჩნდა. უნდა ეფრთხილა. კოკორამ გადაწყვიტა ცოტა ხნით დაესვენა და ეჭამა. უსაფრთხოებისთვის ხეზე აცოცდა და ჩანთიდან თხილი ამოიღო. უცებ, რაღაც ხმა შემოესმა და ქვევით ჩაიხედა. ხის ძირას ბუდიდან გადმოვარდნილი კაჭკაჭის ბარტყი ფართხალებდა. დედა თავს დასტრიალებდა და ცდილობდა როგორმე ბუდეში დაებრუნებინა. ბარტყს ფუმფულა, ნაცრისფერი კატა ეპარებოდა. კოკორას როგორმე ბარტყი უნდა გადაერჩინა. დაძახებას აზრი არ ჰქონდა. კატას ვერ შეაშინებდა, კაჭკაჭს კი ყურადღებას გაუფანტავდა. ბოლოს მსუნავ კატას საგზლად წამოღებული თხილები დაუშინა და ორი ცალი თავში გაარტყა. ფისო გაიყურსა, ვერ გაეგო საიდან ესროდნენ, მაგრამ გაქცევა არც უფიქრია. ამასობაში კოკორას თხილი გამოელია, მაგრამ გაახსენდა, რომ კატებს ძალლების ეშინიათ.

- ვაფ! ვაფფ! - შეეცადა ძალლისთვის მიებაძა.





ყეფის გაგონებაზე კატა დაფრთხა და გაიქცა.

კოკორა ხიდან ჩაცოცდა და ბარტყეთან მივიდა.

— დიდი მადლობა, ჩემი შვილი რომ გადაარჩინე! — უთხრა კაჭკაჭმა.

— ბარტყის ხეზე აყვანაშიც დაგეხმარები. სად არის თქვენი ბუდე?

— მარჯვნივ, მეხუთე ტოტზეა.

კოკორამ ტოტიდან ჩამოხსნილი ფერადი ნაჭრით ბარტყი ზურგზე დაიმაგრა, ხეზე აცოცდა, ბარტყი სიფრთხილით ჩასვა ბუდეში და სულის მოსათქმელად იქვე ჩამოჯდა.

— არ ვიცი მადლობა როგორ გადაგიხადო, — თქვა დედა კაჭკაჭმა, — ის გაიძვერა ყოველთვის შორიახლოს ტრიალებს, უკვე მესამედ სცადა ჩემი შვილის შეჭმა. სულ ვეუბნები, ფრთხილად იყავი, არ გადმოვარდე ბუდიდან-მეთქი, მაგრამ არ მიჯერებს, ძალიან ცელქია.

— სამადლობელი არაფერია. თუ შეიძლება, ცოტა ხნით აქ დავისვენებ და გზას გავაგრძელებ. მეგობარი მყავს ცუდად. სოფელში უნდა ჩავიდე, ვეტერინარი გოგონა ვიპოვნო, იქნებ წამალი ჰქონდეს..

— ვიცი ვისზეც ამბობ. ამას წინათ ჩემს მეუღლეს ფრთა მოურჩინა. ძალიან კეთილი გოგოა. რახან გეჩქარება, სწრაფად მიგაფრენ მასთან. ოლონდ ჩემს მეუღლეს დაველოდოთ, თორემ ეს ცელქი კიდევ გადმოვარდება ბუდიდან. — კაჭკაჭმა შვილს გახედა, რომელსაც სირცხვილისგან თავი ჩაექინდრა.

— დიდი მადლობა... — ძლივს ამოილულუდა კოკორამ, დასასვენებლად ჩამომჯდარს იქვე ჩაექინა და ლაპარაკის ხმაზელა გამოეღვიძა.

მამა კაჭკაჭი მოსულიყო და დედა ამბეჭს უყვებოდა.

— გამარჯობა, — თვალების ფშვნეტით მიესალმა კოკორა.

— გამარჯობა. კაჭომ ყველაფერი მიამბო. რითიც შეგვეძლება დაგეხმარებით. აქედან ვეტერინარამდე კაჭო წაგიყვანს. წამალს რომ იმოვნი, ისევ აქ დაბრუნდი და სახლამდე მე მიგაფრენ.

— ძალიან დამეხმარებით. — კოკორამ მადლობის ნიშნად მამა კაჭკაჭს თავი დაუქნია.

დედა კაჭკაჭმა კოკორა ზურგზე შეისვა და გაფრინდნენ.

კოკორას თავიდან შეეშინდა. მაღალი ხეე-

ბიდან ხშირად აკვირდებოდა გარემოს, მაგრამ ფრენა სულ სხვა ყოფილა, თითქოს ღრუბლებში მიცურავდა. მაღალი სოფლის განაპირას მდგარ რამდენიმე სახლს ჩაუფრინეს.

— უმჯობესი იქნება თუ ჩემს ბუმბულში ჩაიმალები. ადამიანები ყოველდღე კი არ ხედავენ კაჭკაჭზე ამხედრებულ ჯუჯა კაცუნას. კოკორას ჩაეცინა, თავი ჩაქინდრა, კაჭოს ბუმბულებში ჩაიმალა და მინაზე მოფუსფუსე ადამიანებს მოავლო მზერა.

ნახევარ სოფელს ისე გადაუფრინეს ქვების სროლია ბიჭებს არ გაჰდაყრიან.

— ცისფერსახურავიანი სახლი ვეტერინარი გოგონასია, — თქვა კაჭკაჭმა.

კოკორამ თავი ასწია და ქვის, ცისფერსახურავიანი სახლი დაინახა. სახლის პატრონს ცისფერ ფანჯრებქვეშ ხვიარა ვარდები და სუროები გაეხარებინა. ხეებზე საჩიტები მოეწყოთ. ეზო ქვებით იყო მოკირნყლული და ფრინველებისთვის ონკანიდან წყალი მოჩუხებდა. ყვითელკაბიანი წითური გოგონა ჩიტებს საკენკს უყრიდა. გოგონას ორი ნაწნავი წელამდე სწვდებოდა.

— რა ლამაზია... — ჩაილაპარაკა კოკორამ.

— ეს კატოა, ჩვენი ექიმი. სახლში პუტკუნა კატა ჰყავს. ფრინველებს და ცხოველებს არ ერჩის, მაგრამ მაინც ფრთხილად იყავი, არა მგონია ჯუჯა კაცუნები ჰყავდეს ნანახი. ფანჯრის რაფაზე დაგტოვებ, კარგი?

— კარგი. — კოკორამ ჩურჩულით უპასუხა და სახლში შესულ გოგონას გააყოლა თვალი.

ჯუჯა რაფასთან ჩამოხტა და ფანჯარაში შეიხედა. ოთახი მზის სინათლეს და სითბოს აევსო. კარიდან და ფანჯრებიდან შემომავალ სხივებში ოქროსფერი ნაწილაკები დაფარფატებდნენ. ქოთნებში სხვადასხვა ფერის მცენარე ხარობდა. თაროებიც სავსე იყო სხვადასხვა ზომის მინის ქილებში ჩაწყობილი ათასი ბალახულით. ერთ-ერთ თაროსთან გოგონა იდგა და ღიღინებდა.

— პაწაწინა ხარ, კატო ასე ადვილად ვერ შეგამჩინევს. — თქვა კატამ.

კოკორა ისე გაერთო ოთახის თვალიერებით, რომ არც კი შეუმჩინევია ფანჯარასთან მდგარ ხის მორზე მოკალათებული კატა. შეშინებულ ჯუჯას სუნთქვა შეეკრა და რაფიდან გადასახტომად მოემზადა.

— ნუ გეშინია, არ შეგჭამ. სტუმრად მოსულ ჯუჯა კაცს არას ვერჩი, — კატამ





დაამთქნარა და ეშვები გამოაჩინა, – გოგონას ყურადღება უნდა მიიქციო, თორემ მთელი დღე ფანჯარის რაფაზე მოგიწევს ყოფნა, – კატა მორიდან ჩახტა და ზანტად გაემართა სახლისკენ.

კოკორა გონს რომ მოეგო, მინაზე მთელი ძალით დააკაკუნა. კაუნის ხმაზე გოგონამ ღილინი შეწყვიტა და ფანჯარას მიუახლოვდა, მაგრამ ჯუჯა ვერ შენიშნა და უკან გაპრუნება დააპირა. კოკორამ ხტუნვა და ხელების ქნევა დაიწყო. როგორც იქნა გოგონამ დაინახა და ფანჯარა გამოაღო.

– გამარჯობა. შენ ვინ ხარ? – გოგონამ თბილი ღიმილით ჰკითხა.

– მე კოკორა ვარ, ტყეში ვცხოვრობ, დიდ მუხასთან. ჩემი მეგობარი ციყვი პანკო ცუდად გახდა და შენს მოსაძებნად წამოვედი. სამწუხაროდ ფული არ მაქვს, მაგრამ წამლის სანაცვლოდ ჩემს საგანძურს დაგითმობ. – კოკორამ ჩანთიდან ნაჭერში საგულდაგულოდ გახვეული ბურთულა ამოიღო და გოგონას მუდარით სავსე თვალებით გაუწოდა. გოგონამ კიდევ ერთხელ გაუღიმა და შეკვრა ისე გამოართვა, არც გაუხსნია.

– რა მოუვიდა პანკოს?.. თუმცა, სანამ მიამბობდე, შინ შემოდი. საჭმელს მოგიტან. გეტყობა დიდი გზა გაქვს გამოვლილი, მოგშივდებოდა.

კატო სამზარეულოში გავიდა და თეფშით და ჭიქით დაბრუნდა. თეფში პური, ყველი და ძეხვი იღო, ჭიქიდან კი ცხელი ჩაის სასიამოვნო ოხშივარი ამოდიოდა. კოკორას შიმშილი გაუმძაფრდა და როგორც კი გოგონამ თეფში წინ დაუდგა მაშინვე ჭამა დაიწყო, თან პანკოს ამბავს ჰყებოდა.

– ტყეში წითელი კენკრა შეჭამა. ახლა მუცელი სტკივა და ფულოროში წევს.

– დამშვიდდი კოკორა, სახლში სამკურნალო მცენარეები მაქვს, წამალს დავამზადებ. ჭამას რომ მორჩები, ჩაი დააყოლე, გვირილისაა, დაგამშვიდებს და კარგად გამოიძინებ.

კოკორა უცხო სახლში ღამის გათევას არ აპირებდა, თანაც ვეება კატა ინტერესით შეჰყურებდა. კატო ეს შეამჩნია, გაიღიმა და თქვა:

– ნუ ნერვიულობ, ფაციკო არაფერს დაგიშავებს, პირიქით, თუ თავაზიანად ვთხოვთ დაგეხმარება კიდეც. წამალი დილისთვის იქნება მზად.

კოკორა ცოტა ხნით დაფიქრდა და შემდეგ

თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მართლაც დაღლილი იყო, პანკოზეც ნერვიულობდა. კატომ პანი ფუმფულა პირსახოცი დაკეცა, საწოლის ფორმა მისცა და იქვე, მაგიდაზე დადო. კოკორა საწოლამდე ძლივს მიღასლასდა და თავისი დადებისთანავე ჩაეძინა. ძილში თითქოს შორიდან ჩაესმოდა ტკბილი ძილისპირულის ხმა.

მზის პირველი სხივების ამოსვლისთანავე კოკორამ თვალები გახილა.

– გაიღვიძე?! წამალი მზადა, გაგრილდება და ბოთლში ჩაგისხამ. მანმადე კი ისაუზმე, – უთხრა გოგონამ.

კოკორამ გემრიელად ისაუზმა. წაყენის გაგრილებამდე ფანჯარის რაფაზე იჯდა და ეზოს ათვალიერებდა. ჩიტები წყალში გრილდებოდნენ. კატო ყვავილებს რწყავდა. დიდ ქვაზე კატა ფაციკო მზეს ეფიცხებოდა. უცებ კოკორა კატოსკენ გაიქცა, ყვავილებთან ახლოს სარზე აცოცდა და თქვა:

– ტყეში სწრაფად უნდა დავბრუნდე. იქნებ ფაციკო დამეხმაროს, ზურგზე შევაჯდებოდი და ტყისპირას, გორაკზე მდგარ მუხასთან მიმიყვანდა.

– ფაციკო კეთილია და აუცილებლად დაგეხმარება.

კატომ პატარა ბოთლით წამალი გაუწოდა. კოკორამ ბოთლი და კატოს გამზადებული სასუსნავები ზურგჩანთაში ჩაალაგა და კატაზე ამხედრდა. კატომ ჭიშკრამდე მიაცილა, თან წამლის მიღების წესს უხსნიდა:

– ყოველ სამ საათში ერთხელ სამი წვეთი დაალევინე. ხვალ დილით კარგად გახდება.

– ყველაფრისთვის დიდი მაღლობა.

– თავს გაუფრთხილდი. – გოგონა ხელის ქნევით დაემშვიდობა კოკორას.

ჯუჯას გასაკვირად მსუქანი კატა ძალიან სწრაფი აღმოჩნდა და თვალის დახამხამებაში უკვე სოფლის ბოლოში იყვნენ. კაჭკაჭების ბუდეს რომ მიუახლოვდნენ კოკორა ჩამოქვეითდა და ხეზე აცოცდა.

– კოკორა, შენ ხარ? იშოვნე წამალი?

– კი. კატო ექიმმა დამიმზადა და პანკოსთან მიმეჩქარება. სახლში უოლოს გემრიელი მურაბა მაქვს და გინილადებთ, ბარტყებს მოეწონებათ.

კოკორა მამა კაჭკაჭის ზურგზე მოკალათდა. ჯუჯა ძალიან ჩქარობდა, უნდოდა რაც შეიძლება მალე მისულიყო მეგობართან.





როგორც იქნა კოკორას ხე გა-
მოჩნდა.

— აი, ეს ხეა! მოვედით!...
— შესძახა კოკორა.

კაჭკაჭი ყვავილებთან
დაეშვა.

— ცოტა ხნით დამელოდე,
მურაბას გამოგიტან.

კოკორამ სახლში შეირბინა,
საკუჭნაოდან სამი ქილა მურა-
ბა გამოიტანა და ნაჭრით შე-
კერილ პატარა ტილოს ჩანთაში
ჩაალაგა. მამა კაჭკაჭმა ჩანთას
ნისკარტი გამოსდო, კოკორას
გამოემშვიდობა და აფრინდა.
კოკორამ ხელი დაუქნია და
პანჯოს ფულუროსეუნ გაიქცა.

— პანჯო!.. პანჯო!... რო-
გორ ხარ?! — ფულუროში შეს-
ვლისთანავე დაიძახა ჯუჯამ.

— ძალიან მტკივა მუცე-
ლი... მიშველე კოკორა!.. —
პანჯომ მიკნავებული ხმით უპა-
სუხა და საწოლში მოიკუნტა.

— ნამალი მოგიტანე. ხვალ
დილით უკვე კარგად იქნები,
— კოკორა პანჯოსთან მივიდა
და ჩანთიდან წამლის ბოთლი
ამოიღო, — პირი გააღე! წამალი
აუცილებლად უნდა დალიო.

— დავლევ კოკორა, მწარეც რომ იყოს,
აუცილებლად დავლევ. — უთხრა პანჯომ.

კოკორა მთელი ლამე პანჯოს უვლიდა და
ყოველ სამ საათში ერთხელ სამ წვეთ წამალს
ასმევდა. დილით პანჯო საწოლიდან წამოხტა
და კოკორას გარშემო დაურბინა. ჯუჯა კაცი
ძალიან ბედნიერი იყო, იცინოდა და ცრე-
ლებს ძლიერ იკავებდა.

— ჩავალ, ჩაის მოვამზადებ და ხის კენ-
ეროზე ავიდეთ, მზის ამოსვლას ვუყუროთ, —
თქვა კოკორამ.

— კარგი, კენეროზე დაგელოდები. —
პანჯომ კოკორას თბილად, მადლიერებით
სავსე თვალებით გაულიმა.



მხატვარი სოფიო ჭელიძე

* * *

მზის ამოსვლას ორი მეგობარი ძველე-
ბურად ერთად შეეგება. ხელში ცხელი ჩაით
სავსე ჭიქები ეჭირათ და ჰორიზონტს გასც-
ქეროდნენ. ჯუჯა თბილად რომ ყოფილიყო,
პანჯომ კუდი შემოხვია.

— კოკორა, მუცელი აღარ მტკივა, გად-
ამარჩინე! — პანჯომ ლიმილით გახედა მეგო-
ბარს.

— აბა, მეგობრები რისთვის ვართ?! —
კოკორას ლოყები გაუწითლდა, — მეგობრები
ერთმანეთს ყოველთვის ეხმარებიან!



ჯაკომო ლეოპარდი

ადამიანები იშვიათად წევავენ იმის გაყენებას, რისი ძალაზე პუკრად შესწოდა, რადგან მათ ხელს უშლით მათივე აზრი და ნარმოსახვა, ათასნაირ უფლება რომ ინკუს გადაწყვეტილების მიღებაში და მიზნის მიღწევაში აჩრეოლებს. ვინუ ცველაზე ნაკლებად წონის გადასა-ფერმელ ნოტს, ის იოლად ილემს გადაწყვეტილების და ხშირად ნარმატებაზე აღნევს; მაგრამ ის, ვინუ თავისი თავითა და შესაძლებლორენითაა ძლიული, თითქმის ყოვ-ელოთის ყოყოძნობს, ფიქრში და საჭმეში. ყოყოძნი კი ცველაზე საჭინელი ტანკვაა ადამიანისთვის, მისი წხოვე-ბის გამამრინებლია.

კაკომი ლეოპარდი

49

ოლორი მოლოდი მოლოდი

ბუნებისა და სულის საუბარი

ბუნება: „წადი, საყვარელო ასულო ჩემო! ეს სახე-ლი გერმევა შენ დღეიდან, უკუნითი უკუნისამდე. იცხოვრე და იყავ დღადი და უბედური.“

სული: „ეკი მაგრამ, რა შეგცოდე ასეთი? მე ხომ ჯერ ცხოვრებაც არ დამინუა? რატომ მომისაჯე ასე-თი სასჯელი?“

ბუნება: „როგორი სასჯელი, ასულო ჩემო?“

სული: „როგორ თუ როგორი? ნინასწარვე დამიპ-ედე, უბედური იყავიო!“

ბუნება: „მე მინდა, რომ შენ დღადი იყო, მაგრამ ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელია! შენი დანიშნულებაა ადამიანის სხეულს ასულდგმულებდე, თუმცა ადამიანი უბედური იძადება და უბედურია მისი ცხოვრებაც.“

სული: „კი მაგრამ, უფრო სწორი იქნებოდა ადა-მიანი ბედნიერი გაგეჩინა, – ანდა საერთოდ არ მოგევ-ლინა ამქვევნად!“

ბუნება: „ერთიცა და მეორეც ჩემს ძალებს აღე-მატება. მეც ვემორჩილები განგებას, რაოდენ მიუღე-ბელიც უნდა იყოს ის. ქედს ვისრი მის წინაშე. არავი-თარ ძალას, არც ჩემსას და არც სხვისას, არ შეუძლია დაგისხნას იმ უბედური ხვედრისან, რაც მინიჭებული გაქვს. თანაც შენ გელის ის ათასჯერ მძიმე ხვედრი, რომელიც მე მოგანიჭე და დაბადებიდანვე თან დაგაყ-ოლე“.

სული: „ჯერ ვერაფრის ნახვა ვერ მოვასნარი, ეს წუთია ამ ქვეყანაში ფეხი შემოვდგი. მითხარი, უპი-რატესობისა და უბედური ხვედრის მნიშვნელობა ერთი და იგივეა? თუ ერთი ერთია და მეორე – მეორე, არ შეიძლება ერთმანეთისაგან განაცალკევო ისინი?“

ბუნება: „ადამიანებისა და საერთოდ, ყველა სულდგმულის სულში ეს ორი რამ თითქმის ერთი და იგივეა. ერთი სულის უპირატესობა დანარჩენთა წი-ნაშე განისაზღვრება იმით, თუ როგორი უბედურია ის და როგორი მძიმე ცხოვრებით ცხოვრობს, როგორ განიცდის ყველაფერს მწვავედ. და ვინც ასე განიც-დის საჟუთარ უბედურებას, სწორედ ისაა ნამდვილი უბედურიც. რაც უფრო დაძაბულია სულის ცხოვრება, მით უფრო მძაფრია მისი თავმოყვარება, რომელ-საც ესწრაფვის. თავმოყვარების სიმძაფრე კი სია-

მოვნების მძაფრ წყურვილს ინვევს და უფრო მძაფ-რდება დაუკმაყოფილებლობის მტანჯველი განცდაც, რომელიც თავს სიამოვნების მიუწვდომლობისგან იღებს. ყოველივე ეს საფუძვლად დასაბამიდან უდევს სამყაროს კანონს და მე არ შემწევს ძალა, შევცვალო. თანაც შენი აზროვნებისა და წარმოსახვის სიმძაფრის გამო, არსებობის უმეტესი ნაწილი შეიძლება ხელი-დან დაგისხლტეს და აღარ მოექცეს შენი ძალისხმევის ქვეშ. ველური ცხოველები, საერთოდ მთელ ძალას, უნარსა და შესაძლებლობას ხმარობენ, რომ საკუ-თარ მიზნებს მიაღწიონ. ადამიანები კი ასე არ არიან. ადამიანები იშვათად ბედავენ იმის გაკეთებას, რისი ძალაც აშკარად შესწევთ, რადგან მათ ხელს უშლით მათივე აზრი და წარმოსახვა, ათასნაირ ეჭვს რომ ინვევს გადაწყვეტილების მიღებაში და მიზნის მიღწ-ევაში აპროლებს. ვინც ცველაზე ნაკლებად წონის გა-დასადგმელ ნაბიჯს, ის იოლად იღებს გადაწყვეტილე-ბას და ხშირად წარმატებასაც აღწევს; მაგრამ ის, ვინც თავისი თავითა და შესაძლებლობებითაა ძლიული, თითქმის ყოველთვის ყოყმანობს, ფიქრშიც და საჭმე-შიც. ყოყმანი კი ცველაზე საშინელი ტანჯვაა ადამი-ანისთვის, მისი ცხოვრების გამამწარებელია. არც ის დაივიწყო, რომ შენი ნიჭის წყალობით იოლად დაე-უფლები ყველაზე რთულ საგანს ან დარგს და უკან ჩამოიტოვებ ბევრ ადამიანს, მაგრამ ამასთანავე, შეუ-ძლებელი და წარმოუდგენელი მოგეჩვენება ათასნაი-რი წვრილმანის დაუფლება და მათი სათანადოდ მოხ-მარება, როგორი აუცილებელიც უნდა იყოს ისინი სხვებთან ურთიერთობაში. იმაშიც დარწმუნდები, თუ რა ასტატურად იყენებენ და რა ადვილად ეუფლები-ან მათ ადამიანები, რომლებიც თავიანთი ნიჭიერებით შეგედრებიან კი არა მხოლოდ, სიძლუვილის ღირსნიც გახდებიან. ეს სირთულე და ათასი სხვა უბედურება თან სდევს დიად სულებს და გასაქანს არ აძლევს მათ, სამაგიეროდ ყველაფერს ანაზღაურებს სახელი და ქე-ბა-დიდება, რასაც ისინი იხვეჭენ; უკვდავია ხსოვნაც, სამარადისოდ რომ ტოვებენ მომავალი თაობის გულ-ში“.

სული: „კი მაგრამ, მანიც ვინ მომაგებს მაგ შენს ნანატრ პატივს? ზეცა, შენ თუ სხვა ვინმე?“

ოლორი №1, 2023





ბუნება: „ადამიანები! რადგან მათ შეუძლიათ ქება-დიდების კაცისთვის მიგება“.

სული: „აი, ხომ ხედავ, როგორც შენ მეუბნები, ხელი არ მიმიწვდება იმაზე, რაც ადამიანებთან ურთიერთობისთვის აუცილებელია და რაც ყველაზე უნიჭოთათვის ხელმისაწვდომია. მე მგონია, რომ მთელი ჩემი დღე და მოსწრება ყველასთვის საძულველი, უსახელო და უცნობი ვიქენები; ადამიანები არ განმადიდებენ, შორისახლოსაც არ გამიგარებენ, მათთან ურთიერთობის თავი რომ აღარ მექნება“.

ბუნება: „მე მომავლის ჭვრეტის ნიჭი არა მაქვს და ვერ გეტყვი, ადამიანები როგორ მოიქცევიან ან რას იფიქრებენ შენზე, სანამ მათ შორის იქნები, მაგრამ ჩემი გამოცდილების მიხედვით, გეტყვი, რომ ისინი შურით დაგინყებენ დევნას, რაც ცხოვრების გარდუვალი უბედურება იქნება და რასაც ვერც ერთი დიადი სული ვერ დააღწევს თავს, ან კიდევ, ზიზღით დაგინყებენ ყურებას და შენი სახელის ხსენებაზე თავს იქით შეპარუნებენ. მეტიც, წარმატებაცა და შემთხვევითობაც შენ და შენაირების მიმართ მტრულად იქნებიან განწყობილი, მაგრამ შენი სიკვდილისთანავე, როგორც კამოენსისა და მილტონის შემთხვევებში, გაგადმერთებენ და ქება-დიდებით ცაში აგიყვანენ. ამას ყველა თუ არა, შენ ირგვლივ საღად მოაზროვნე ადამიანები მაინც გააკეთებენ. შენი ნეშტი შეიძლება დოდებულ აკლდამაშიც დაკრძალონ და ათასგარად მოხატულ-მოქარგული ქანდაკებები უსასრულოდ გააგრცელონ, ცხოვრების ყოველი წვრილმანიც ათასჯერ დაწერონ და საგულდაგულოდ დაიზეპირონ. ეს შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ შენი სახელი მთელ სამყაროს არ მოიცავს; და ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შენივე ნიჭითა და ბედისწერით უჩვეუნებ, დაუმტკიცებ ადამიანებს, რომ ლისრი ხარ ყოველივე ამისა. მერწმუნე, ასეთი ფაქტები სანთლით საძებნი არაა, მაგრამ მხოლოდ მე და ბედისწერამ ვიცით მათ შესახებ“.

სული: „დედაო, მართალია, ჯერ ვერც ვგრძნობ, მაგრამ ერთადერთი უმძაფრესი სურვილი, რაც შენ ჩამინერგე, ბედნიერებისაა. შეიძლება სიკეთისა თუ ბოროტებისკენ ლტოლვაც გამიჩნდეს, როგორც ბედნიერების დაუფლების საშუალება. ის ნიჭი, რომელიც შენ მიბოძე, შეიძლება დიდების მოსახვეჭად იყოს გამოსადევი, მაგრამ ნეტარებისკენ კი არა, უბედურებისკენ ნამიღვეს. ეჭვიც მეპარება უკვე, რომ სიცოცხლეშივე ამქვეყნიურ დიდებას ვეზიარები, და სიკვდილის შემდეგ რაღა აზრი ექნება?! და ბოლოს, ადვილი შესაძლებელია შენი ნათქვამი ასრულდეს – დიდებისკენ დაუნინებული სწრაფვა წარმომექმნას, მაგრამ სახელის მოხვეჭა სიკვდილის შემდეგაც არ მერგოს. ასე რომ, შენივე სიტყვებიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად კი არ გიყვარვარ, როგორც მიმტკიცებ, არამედ ბოროტი ზრახვები გამოძრავებს ჩემ მიმართ და უფრო მეტად გძულვარ, ვიდრე ადამიანებსა და ბედისწერას ამქვეყნიურ სიცოცხლეში. ამ შენი ნაქები უპირატესობით, ასე დაუფიქრებლად რომ მიბოძე, სწორი არ იქნება, ჩემს სანუკარ მიზანს – ბედნიერებას მიგაღწიო?“

ბუნება: „ასულო ჩემი, ყოველი ადამიანი უბედურებისთვის განსაწირად არის შეემნილი, მაგრამ მე



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ამაში ბრალი არ მიმიღვის! ადამიანთა ყოფის უბედურებასა და ამქვეყნიური განცხრომის ამაობაში, კაცობრიობის უმეტეს ნანილს მთავარ სიკეთედ მიაჩნია სწორედ დიდება, რომელიც მოკვდავებს წილად განგებისგან ხვდებათ და რომელიც მათ მუდმივ ზრუნვასა და ლირსეულ მიზანს წარმოადგენს. ამიტომ სიძულვილის კი არა, ჭემბარიტი და განსაკუთრებული სიყვარულის გამო, რასაც შენდამი ვგრძნობ, მე გადავწვიტე შენთვის მებოძებინა ყველაფერი, რაც კი შემეძლო“.

სული: „მითხარი, შენ მიერ ზემოხსენებულ ველურთა შორის, შემთხვევით, თუ არის ისეთი ცხოველი, რომელთა სასიცოცხლო ძალა და გრძნობათა სიმძლავრე ადამიანისაზე ნაკლები იყოს?“

ბუნება: „ზოგიერთი ცხოველი ადამიანს მეტნაკლებად ჩამორჩება, მაგრამ ადამიანის სასიცოცხლო ძალა და გრძნობათა სიმძლავრე გაცილებით მეტია, ვიდრე ნებისმიერი სხვა სულდგმულისა, იმიტომ, რომ ის ყველაზე სრულქმნილი არსებაა უფლის ქმნილებათა შორის“.

სული: „მაშ, თუ გიყვარვარ, ყველაზე ნაკლებ სრულქმნილთა შორის მამყოფე, და თუ არ შეგიძლია, წაიღე ეს დამლუპველი, ზეალმატებული ნიჭი, და დამამგვანე იმ სულელს, რომელიც ოდესმე მოგივლენია ამქვეყნად“.

ბუნება: „აი, ეს კი შემიძლია აგისრულო, რადგანაც თავად ითხოვ და უარს ამბობ უკვდავებაზე, რომელიც შენთვის მინდოდა მერგუნებინა“.

სული: „უკვდავების ნაცვლად, მე გთხოვ, ჩემი სიკვდილი დააჩქარო“.

ბუნება: „ამის შესახებ ბედისწერას მოვეთაბირები“.

იტალიურიდან თარგმნა **მაია ტურაპელიძე**



ანა ახმატოვა

„ნაცრისფერთვალება მეფე“ ერთ-ერთი ის ლექსია ანა ახმატოვას სახელი რომ უკვდავყო.

ლექსი „ნაცრისფერთვალება მეფე“ დაიწერა 1910 წელს. კამათი იმის შესახებ, თუ ვინ არის ლექსის ლირიკული გმირი, დღემდე გრძელდება. კრიტიკოსები, როგორც წესი, თანხმდებიან, რომ „ნაცრისფერთვალება მეფე“ სხვა არაფერია, თუ არა პოეტური ფიქცია.

ნაცრისფერთვალება მეფე

დიდება შენს სახელს, ტკივილო უგულოვ!
ნაცრისფერთვალება მეფე დაღუპულა.
მიმწუხრს შემოდგომის, ალხმა რომ შებურვა,
მშვიდად თქვა მეუღლემ, შინ დაბრუნებულმა:
„ჰო, ნადირობიდან მოჰყავდათ მგლოვიართ,
ბებერი მუხის ქვეშ მკვდარი უპოვიათ.
ეჸ, რა ახალგაზრდა!.. ელდა შეზარავდა,
თურმე დედოფალი მთლად გაჭალარავდა.“
მონახა ბუხართან ჩიბუხი თავისი,
ქმარი სამუშაოდ წავიდა ლამის გზით.
ახლა გავალვიძებ ჩემს გოგოს მძინარეს,
მის თვალებს ჩავხედავ, ნაცრისფრად მპრეცინავებს.
ჩუმად შრიალებენ ფანჯრებთან ვერხვები:
„შენს მეფეს ამქვეყნად ვერასდროს შეხვდები...“



მზია თვალაპეიშვილი

ლოცვა – მამაო ჩვენო

(ჩანაწერები დაუწერელი ესეისთვის)

52



გავიხსენოთ, ყველაზე ცნობილი ლოცვა, რომელიც ქრისტემ გვასწავლა და რომელიც ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს.


იესო ასე გვარიგებს:

„შენ კი, როცა ლოცულობ, შედი შენს ოთახში, ჩაიკეტე კარი და ილოცე დაფარულში მყოფი შენი მამისადმი“ (მათე 6:6).

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყოს სახელი შენი; მოვიდეს სუფევა შენი, და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა; პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს; და მოგვიტევე ჩვენ თანანადები ჩვენი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა; და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. რამეთუ შენი არს სუფევა და ძალი და დიდება საუკუნეთა მიმართ. ამინ“ (მათე 6:9-13).

„მამაო ჩვენო“ – პირველად ბიბლიაში (ძველი და ახალი ალთქ-მა) ღმერთი, შემოქმედი, უფალი მოხსენებულია არა მხოლოდ მამა ღმერთად, არა მხოლოდ იესოს მამად, არამედ მთელი კაცობრიობის მამად. იესომ მოგვცა უფლება მივმართოთ მას და ვუწოდოთ მამა, რადგან ის არის ჩვენი უზენაესი მშობელი, ჩვენი დამბადებელი.

„რომელი ხარ ცათა შინა“ – ღმერთი მთელ სამყაროშია. ჩვენ ვხედავთ ამ სამყაროს მხოლოდ ნაწილს და ვუწოდებთ მას ცას. იესო



ყოველთვის ადამიანებისთვის გასაგებ ენაზე საუბრობდა, იგავებით, საყოფაცხოვრებო მომენტებით, ჩვეული გარემოთი უხსნიდა მათ ჭეშმარიტებებს. ამ შემთხვევაშიც ჩვენთვის ხილული და გასაგები ცა დაგვისახელა, როგორც მთელი სამყაროს გამოხატულება.

„წმინდა იყოს სახელი შენი“ – იესო აყალიბებს მესამე მცნებაში გადმოცემულ ჭეშმარიტებას, რომ ღმერთის სახელი წმინდაა და მისი უქმად, ფუჭად წარმოთქმა არ შეიძლება.

„მოვიდეს სუფევა შენი და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“ – ძალიან საინტერესო სიტყვებია, რადგან ლუციფერი და დემონები ჩამოგდებულ იქნენ დედამიწაზე, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ღმერთის სუფევა/ყოფნა და ნება დედამიწაზე ისევე, როგორც მთელ სამყაროში.

„პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს“ – პური, როგორც საარსებო საშუალება და თანაც „მოგვეც ჩვენ დღეს“. ანუ იესოს ჭეშმარიტება, რომ ყოველ დღეს თავისი საზრუნავი აქვს.

„და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“ – ამ ლოცვაში ეს ერთადერთი პირობაა ჩადებული: „ვინაიდან თუ თქვენ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, არც თქვენი მამა მოგიტევებთ თქვენს შეცოდებებს.“ (მათე 14-15). ისევე როგორც ერთადერთი პირობაა ათ მცნებაში, კერძოდ კი „პატივი ეცი დედასა და მამასა შენსა, რათა გაგრძელდნენ დღენი შენი დედამიწაზე“ (გამოსვლა 20:12).

აქვე გავიხსენოთ, რომ პირველი ოთხი მცნება ღმერთს ეხება და ამ ოთხის მომდევნო, მეხუთე მცნება კი მშობლების პატივისცემას, იმდენად მნიშვნელოვანია მშობლების თანადგომა.

„და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელსა“ – ესე იგი ნუ შეგვიყვან ცდუნებაში, ცოდვაში, შეცდომაში.

„არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“ – გვიხსენი, გაგვარიდე ჩვენ მაცდურს.

„რამეთუ შენი არს სუფევა და ძალი და დიდება საუკუნეთა მიმართ“ – ესე იგი ღმერთი და მისი არსებობა, სუფევა მარადიულია, მთელი ძალაუფლება მის ხელშია და დიდებაც მხოლოდ მას ეკუთვნის.

„ამინ“ – ძველი ქართული ფორმებია: „ამენ“ (ლათინურიდან) და „იყავნ, იყავნ“. ამენ იგივეა, რაც აღსრულდეს, ჭეშმარიტად, ნამდვილად.



სოსო მაგუთნიკვილი

54



ნინაპართა ნაკვალევზე

ნინანდალს, როგორც ტურიზმისა და კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პილებს, არა მარტო საქართველოში, მის ფარგლებს გარეთაც გამორჩეული ადგილი უკავია. ჭავჭავაძეთა ყოფილ კარ-მიდამოს, ყოველწლიურად, ასი ათასზე მეტი უცხოელი თუ, ადგილობრივი ტურისტი სტუმრობს. დღითიდელ იზრდება მისა მნიშვნელობა, როგორც კულტურული ღონისძიებების, საერთაშორისო საქმიანი შეხვედრებისა თუ, უცხოეთის სამთავრობო დელეგაციების მიღების ადგილი.

ნინანდლის ცნობადობა, ამ სოფელში, ჭავჭავაძეთა საგვარეულოს დამკვიდრებას უკავშირდება, მაგრამ ნაკლებად არის ცნობილი იმ, ფაქტობრივი, ისტორიული მასალების შესახებ, რომლებიც ადრეული საუკუნეების ლაპირინთებშია ჩაკარგული და, თუ, არა ისტორიის მკვლევართა მეტი დაინტერესება, შესაძლოა ბევრი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი მომავალი თაობებისთვის უცნობი გახდეს.

საქართველოს ისტორიის შესახებ ივანე ჯავახ-იშვილსა და სხვა, ცნობილ მეცნიერთა მიერ წარმოებული კვლევები კარგი ორიენტირია ცალკეული სოფლისა თუ ქალაქის ისტორიის შესწავლით დაინტერესებული ახალი თაობის ისტორიკოსებისა თუ ფართო საზოგადოებისთვის. სწორედ, ამ საკითხის წარმოჩენის მცდელობად უნდა მივიჩნიოთ თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორების – გ. ლალაშვილის, დ. ჯავახიშვილისა და მ. პატაშვირის მიერ მდ. კისისხევის ხეობის უძველესი ნამოსახლარებისა და ხუროთმოძღვრული უცნობი ძეგლების გამოვლენა და შესწავლა. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, საქართველოს ისტორიის მკვლევარისა და პუბლიცისტის პროფესორ გელა ქოქიაშვილის მიერ, აღნიშნულ ხეობაში, მოწყობილი ექსპედიციის, სოლომონ და გია ლაფაურების მიერ მშობლიური სოფლის – კისისხევის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების შესწავლისა და

მეტიერ-ისტორიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, ანუ მომს რომ ს რეალური ვერსია, რომ ქართველთა განმანათლებელთა - ნშინდა ნინოს, ერთო თანამდებობა მომზადებულის, კართველის გავლით, კახეთისკენ მოძიებალს, მიზნარე კი-სისხლევის ხელის გზით უნდა ესარგებლა, რომლის ტერი-ტორია საყმაფი იყო დასხლებული. ამას მომზამს დატე-დე შემორჩენილი ნახოლენერი: „ჭირყიანი“, „ფიცვიანი“, „ოეროანი“, „ვეროუბანი“, „სახარისი“, „ლვისისმშობლის ფარლა“ და სხვა, საფრანგეთის შემორჩენილი ეკლე-სია-მონასტერების, სხვადასხვა ნაგებობების ნაშენი და სხვა არცენიარები.

Եռևո Ձերպատճեցուլո

სხვა დოკუმენტური მასალები.

წინანდლის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, რომელიც სადღეისოდ არსებულ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით მომზადდა, იმის მოკრძალებული მცდელობაა, რომ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის მდიდარი, ისტორიული ფესვები, საიდანაც მოვდივართ და ერთმანეთს შევახსენოთ იმ ვალდებულებების შესახებ, რაც თითოეულ ჩვენთაგანს აკისრია წინაპართა დანატოვარი ნაკვალევის მოვლა-პატრონობასა და მომავალი თაობებისათვის დასატოვებლად.

მდინარე კისისხევის ხეობა, რომლის თვალ-ნარმტაც ფერდობზე წინანდალია დავანებული, თავისი, უძველესი ნამოსახლარებითა და ხუროთმოძღვრული ძეგლებით, ქვეყნის მასშტაბით, ერთ-ერთი, მნიშვნელოვანი, ისტორიული და გეოგრაფიული ადგილია. ჩვენი წინაპრები აქ, ჯერ კიდევ, უხსოვარი დროიდან სახლობდნენ, რასაც ნათლად მოწმობს პრ. ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით 1972 წელს, მდინარე ალაზნისა და კისისხევის შესართავთან, ტოლნიანის დასახლების ყოფილ ტერიტორიაზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილი უძველესი საცხოვრისები, მათ შორის, ელინისტური და ანტიკური ხანის ძეგლები; სამაროვანი და ნამოსახლარები, ნაპოვნია ქვისა და ალიზის კედლის ნაშთები, სამეურნეო ორმობი, კირატი კისა და თიხის ჭურჭლო და სხვა.

როგორც ისტორიულმა კვლევებმა ცხადყო, იმდროინდელი მოსახლეობის დასახლებები ცივ-გომბორის ქედის ჩრდილოეთის თხემის მთაგორიან ტერიტორიაზე მდებარებდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო მტერთან თავდაცვის საუკეთესო საშუალებად. ამასთან, უხვად მოიპოვებოდა ბუნებრივი საკვები. მთის დაბლობები ხორბლის, ვენახის, ხილისა და სხვა კულტურების მოსაყვანად გამოიყენებოდა. ბარის ტერიტორიები, მეტწილად, ტყით იყო დაფარული (წინანდლის მიწის ამჟამინდელი საგარეულები



ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში „ხშირის“, „თელიანის“ და სხვა ტყეების ამოძირების ხარჯზე გაფართოვდა). ასეთ ვითარებაში, მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნებოდა დასახლებული პუნქტების ერთმანეთთან კავშირს და სავაჭრო ურთიერთობებს მეზობელ ქვეყნებთან, საიდანაც სხვადასხვა პროდუქტებზე და ნივთებზე გაცვლის გზით შესაძლებელი ხდებოდა აბრეშუმის, მაუდის და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაწარმის შექნა.

ჯერ, კიდევ, ელინისტური ხანიდან ცნობილია, რომ ე.წ. „ფასის-პირანის“ მაგისტრალს, რომელიც დიდი აპრეშუმის გზის ერთგვარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და პირკნისა (კასპიის) და პონტის (შავი) ზღვებს ერთმანეთთან აკავშირებდა, ჰქონდა რამდენიმე განშტოება, რომელთა შორის იყო „ჰერეთის შემოვლითი გზა“. იგი მინგარისა და ალაზნის შესართავთან გადაკვეთდა ალაზნს. ამ ადგილას ალაზნი ქმნის ფონს, რომელიც დღემდე გამოიყენება ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად, აქვე, ალაზნის მარცხენა მხარეს, მდებარეობს ე.წ. „ტურის“ (შტორის) ციხე, რომელიც ამ გადასასვლელს აკონტროლებს.

ალაზნის მარჯვენა ნაპირზე გადმოსული „ჰერეთის შემოვლითი გზა“ გაყოფილი იყო რამდენიმე განშტოებად, რომლებიც ცალ-ცალკე კვეთდნენ ცივ-გომბორის ქედს და ალაზნის ველის ამ ნაწილს დანარჩენ საქართველოსთან აკავშირებდა.

მათგან, ერთ-ერთი, მნიშვნელოვანი იყო მდინარე კისისხევის ხეობაზე გამავალი გზა. იგი აუყვებოდა მდინარე კისისხევის და მდინარე თეთრანის შესართავთან მდებარე ქალაქური ტიპის დასახლებამდე, რომელიც ისტორიულ წყაროებში „ნაქარავალის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ეს ტოპონიმი ადგილობრივ მოსახლეობაში ცოცხალი აღარაა და მას „ღვთისმშობლის ჭალად“ მოიხსენიებენ. აღნიშნულ ტერიტორიაზე აღმოჩენილია მიწის პირამდე დანგრეული სხვადასხვა ნაგებობათა კონფიგურაცია, მათ შორის, სამნავიანი ბაზილიკისა და მასშტაბური ნაგებობის ნაშთები, რომელიც „სასახლე“ უნდა ყოფილიყო. აღნიშნული დასახლება მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილს წარმოადგენდა და სავაჭრო გზაჯვარედინის ფუნქციას ასრულებდა. აქედან, გზა ორად იყოფოდა, მდინარე კისისხევის აყვალებით, ადგილ „ნაკარალის“ გავლით, ის მიღიოდა ნინოწმინდა-პატარძეულამდე და, შემდეგ, კანარეთამდე (დღევანდელი ხაშმი), მეორე განშტოება კი თეთრანის ხევის აყოლებით, მთა „დასტაფეს“ ფერდობზე დაშვების შემდეგ, ის მიუყვებოდა ცივ-გომბორის თხემს და მდინარე ჭერემის ხევის გავლით მიაღწევდა ქალაქ „ჭერემამდე“.

გამოკვლეულია, რომ სავაჭრო ქარავნის ერთი დღის სავალი 25-30 კმ. შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ღვთისმშობლის ჭალა (ძველად „ნაქარავალი“) სწორად, ასეთი მანძილითაა დაშორებული, როგორც „ტურის“ ციხეს, ასევე, ნაქალაქარ ჭერემს, ნინოწმინდა-პატარძეულს და კანწრეთს (ხაშმი).

მეცნიერ-ისტორიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, არსებობს რეალური ვერსია, რომ ქართველთა განმანათლებელს – წმინდა ნინოს, ერწო თიანეთიდან მობრუნებულს, კანარეთის გავლით, კახეთისკენ მომავალს, მდინარე კისისხევის ხეობის გზით უნდა ესარგებლა, რომლის ტერიტორია საქამაოდ იყო დასახლებული. ამას მოწმობს დღემდე შემორჩენილი ნასოფლარები: „ჯირკაინი“, „ფიჭვანი“, „თეთრანი“, „ვერთუბანი“, „სახარისი“, „ღვთისმშობლის ჭალა“ და სხვა, სადაც მრავლადაა შემორჩენილი ეკლესია-მონასტრების, სხვადასხვა ნაგებობების ნაშთები და სხვა არტეფაქტები.

წინანდლის სამხრეთით, – სამი კოლომეტრით დაშორებულ ნასახლარს, წინანდლელები დღესაც სახარისს უწოდებენ, რაც ისტორიული წყაროების მიხედვით, ამ სოფლის ძველი სახელწოდებაა. XV საუკუნის დასაწყისში, თემურ-ლენგის შემოსევების შემდგომ, მშვიდობიან ჰერიოდში მოსახლეობამ წინანდლის ამჟამინდელ ტერიტორიაზე იწყო ჩასახლება. როგორც ჩანს, ამ ადგილებში მათ წინაპრებს ადრეც უცხოვრიათ და მტერთა შემოსევების გამო, ჰქონდათ მიტოვებული. სიფლის სახელწოდებაც მათ წინანდლელ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებას უნდა უკავშირდებოდეს. სწორედ, ამ დროიდან, ისტორიულ წყაროებში, პირველად იხსენიება წინანდლი ალექსანდრე დი-





დის მიერ გაცემულ ერთ-ერთ წერილობით სიგელ-ში.

როგორც ცნობილია, V საუკუნეში, განსაკუთრებით ვახტანგ გორგასლის მეფობის უამს, ქართლ-კახეთის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა მნიშვნელოვანი აღმავლობით ხასიათდება. მოსახლეობა მომრავლდა. სწორედ, ამ პერიოდს უკავშირდება მდინარე კისისხევის ხეობაში დასახლებული პუნქტების, საფორტიფიციური ნაგებობების, ეკლესია-მონასტრებისა და, სხვა, სამეურნეო დანიშნულების ობიექტების მოწყობა. მათგან, ყველაზე მნიშვნელოვანი, მაინც, ვახტანგ გორგასლის ეპოქის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარია, რომელიც, ქვეყნის მასშტაბით, ერთ-ერთ, ყველაზე ძველ ქრისტიანულ ძეგლს წარმოადგენს. თავის დროზე იგი საკმაოდ მაღალ, დარბაზულ ეკლესიას წარმოადგენდა, რომლის ფართი 157 კვადრატული მეტრი იყო. სამწუხაროდ, დღეს იგი მეტად სავალალო მდგომარეობაშია და, მისი მოვლა-პატრიონისა დღევანდელი თაობის განსაკუთრებულ საზრუნვად უნდა იქცეს.

სოფლის სამხრეთით, ოთხი კილომეტრის დაშორებით, მდებარეობს VIII-IX საუკუნეების ერთ-ერთი, მნიშვნელოვანი, სამონასტრო კომპლექსი – „საფარისი“, რომელსაც ისტორიული წყაროები „საფარელას“ სახელითაც მოიხსენიებენ, ეს სახელი იმიტომაც შეარქევს, რომ მტერთა შემოსევების დროს, მოსახლეობა ბუნებით მომადლებულ სილამაზისა და მიუსაფარ ადგილზე აგებულ ამ ტაძარს აფარებდა თავს.

„საფარისის“ სამხრეთ-აღმოსავლეთით ერთნახევარი კილომეტრით დაშორებითაა „თეთრანის“ ნამოსახლარი და ამავე სახელწოდების, ადრეული შუა საუკუნეების ეკლესია. არსებობს მოსაზრება, რომ თეთრანის ხევისა და ამ ეკლესის სახელწოდება თეთრი გიორგის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამავე ტერიტორიაზე გამოედინება თეთრანის წყარო, რომელსაც განსაკუთრებული თვისებების გამო ჩვენი წინაპრები თვალების სამკურნალოდ იყენებდნენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „ღვთასმშობლის ჭალის“ სიახლოვეს, მდინარე კისისხევის მარცხნიანი მხარეს, კლდეში ნაკვეთი საცხოვრებელი გამოქვაბულების, კონდამიანის სამონასტრო კომპლექსისა და, აღრეული, შუა საუკუნეების სხვა მნიშვნელოვანი ძეგლები, რაც იმდროინდელი, ჩვენი წინაპრების მაღალ ხუროთმოძღვრულ და აღმშენებლობით კულტურაზე მეტყველებს.

ისტორიის ულმობელ ქარტებილებს ვერც კისისხევის ხეობა გადაურჩა. ერთ დროს აყვავებული და ხვავ-პარაქიანი მხარე თემურ ლენგის, შაჰ-აბასისა თუ, სხვა ურდოების შემოსევებმა გაანადგურეს. მინასთან იქნა გასწორებული ეკლესია-მონასტრები, საცხოვრისები, სამეურნეო და

საყოფაცხოვრებო ნაგებობები. გაჩეხეს ბალ-ვენახები, იავარყვეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. მოსახლეობის დიდი ნაწილი უთანასწორო ბრძოლებს შეეწირა, ხოლო, გადარჩენილნი თავს ცივ-გომბორის მთებს და გაუვალ ტყეებს აფარებდნენ. სწორედ, ამ პერიოდიდან შემორჩა სოფლის სხვადასხვა ტერიტორიებს „ნაზვრევების“, „ნაბამბრების“, „ბარსადგომების“, „ბახტაუბნის“, „ვერთუნის“ და სხვა სახელწოდებები.

მტერთა არაერთგზის შემოსევებმა მრავალგზის შეწყვიტა ქართული კულტურის ბუნებრივი განვითარება, რის შედეგადაც მივიღეთ ის, სამწუხარო ვითარება, რომელიც დღესაც ცხადად არის საჩინო ქართულ სახელმწიფოს ისტორიაში.

იმ დროს, როცა ევროპის ქვეყნები რენესანსის ეპოქისოფის დამახასიათებელი აღმშენებლობით იყვნენ დაკავებული და არქიტექტურისა და ხელოვნების შედევრებს ქმნიდნენ, ქართველთა სამეზობლო მუსლიმანური ქვეყნები საქართველოს მოსაპობითა და მისი სრული განადგურების მცდელობით იყვნენ დაკავებულნი. ხშირი იყო შემთხვევები, როცა მტერი ეკლესია-მონასტრების მშენებლობის პროცესშიც კი ესხმოდნენ თავს. ამას მოწმობს, თუნდაც, სპარსიანთ უბანში არსებული ეკლესის ეზოში აზელილი კირის გაქვავებული გროვა. წინაპრებიდან მოღწეული გადმოცემის თანახმად, მტერი, სწორედ, იმ დროს დაეცა სოფელს, როცა ეკლესის მშენებლობა მიმდინარეობდა. მოსახლეობამ მთას შეაფარა თავი, მამაკაცები მტერს შეებრძოლნენ, ხოლო, სამშენებლოდ მომზადებული კირი გაქვავდა და დღემდე ამ სახით შემორჩა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ გამუდმებული ომებისა და სამშობლოდან იძულებით გადასახლების შედეგად, კახეთის მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა. შედარებით მშვიდობიან პერიოდში – განსაკუთრებით XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, კახეთის მტრისგან დარბეული სოფლების, მათ შორის, წინანდლის აღორძინება თუშეთიდან და საქართველოს სხვადასხვა მთიანი ადგილებიდან ჩამოსახლებული მოსახლეობის ხარჯზე მოხდა. წინანდლის მცხოვრებთა შესახებ, ისტორიამ 1722 წლის აღნერის დავთრებით, შემდეგი ცნობები შემოვინახა:

„წინალდაბანს“ (დოკუმენტში წინანდალი ასეა მოხსენიებული) პაატა იასონის შვილის ყმა:

1. მამალას შვილი, მოხელე,
2. აღდგომელას შვილი პაპუა,
3. ვეფხიშვილი პეტრე,
4. მამუკა ტუსიას შვილი,
5. ელო აპრილაშვილი,
6. პატა ტყავაშვილი,
7. დათუნა თანდილაშვილი,
8. ჩითანელი მღვდელი,
9. მამუკა ტურკაშვილი,
10. მხარგვერდაშვილიმამუკა, სახლთუხუცესი,



11. სულხან მხარგვერდაშვილი,
12. ბეჟან ტაბარუკას შვილი,
13. უილიო პარსიაშვილი,
14. თამაზი პარსიაშვილი,
15. გაბრიელ გავაშელიძე,
16. ელიზბარ ბალაშვილი,
17. იასე კაბაძეველაშვილი,
18. აჩუას შვილი დემეტრე,
19. პატა ფოხლას შვილი,
20. ივანე ზურაბაშვილი,
21. ბიძინა ხატის ყმა,
22. ქუმსაშვილი მახარებელი, ხაბაზი,
23. სოზიაშვილი – აყრილი,
24. მენახირიშვილი – აყრილი,
25. კაბაძეველაშვილი დათუნა – ბოგანო,
26. თანდილაშვილი – ახლა გაყრილი,
27. თვარელი – ბოგანო,
28. მეზვრე – ბერია.

აქვე გარსევანის ყმა:

1. დათუკიშვილი ციცქო – მოხელე,
2. ბატიაშვილი ობოლა – ამონყვეტილი,
3. კოკაური გიორგი,
4. დოხლაპია გოგია,
5. ზუბიტა მელაძე,
6. კახი პატა აზნაურაშვილი,
7. გემაზაშვილი,
8. მესხის შვილი ლუარსაბ,
9. გავაშელიძე სენია,
10. მახარობლის შვილი შერმაზან,
11. გავაშელიძე დემეტრე,
12. ჩალაური დათუნა,

13. თევდორე კალატოზი,
14. გოგია ბუჩუკური – ბოგანო მეზვრე.

ზაალის ყმა:

1. მამუკა ბერიკაშვილი – მოხელე,
2. ბატიაშვილი დათუნა,
3. ბეჟუაშვილი შიო,
4. ჩალაური ოთია,
5. პაპუნა ჩალაური,
6. დემეტრე ხუცის შვილი,
7. გავაშელიძე მლთისია,
8. ზალ მესხის შვილი,
9. რამაზ დათუკიშვილი – აზადი,
10. რამაზ ქანიაშვილი – სახლთუხუცესი,
11. დათო მეგრელის შვილი,
12. ბერი სოზიაშვილი – მეზვრე,
13. გიორგი მაზიტაშვილი – ხაბაზი.

აქ დასახელებული ჩვენი წინაპრებიდან, დღეს, თუ, ვინ, ვისი შთამომავალია, ამისი განსჯა, თვითონ, ჩემი თანასოფლელებისათვის მიმინდვია.

წინანდალს არც კახელების სამეზობლოში მცხოვრები ლეკები აძლევდნენ მშვიდობიანი ცხოვრების საშუალებას. ეს მოვლენა ისტორიაში „ლეკეიანობის“ სახელითაა ცნობილი. ლეკებმა წინანდალი უკანასკნელად 1854 წელს მოითარეს. დასავლეთ საქართველოს საზღვრებთან მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ბრძოლაში თურქების დასახმარებლად შამილის 12 ათასიანი ცხენოსანი ჯარი კახეთში შემოიჭრა, დაიკავა სოფელი შილდა და, თურქების გამარჯვების შემთხვევაში, თბილისის დაკავებისთვის ემზადებოდნენ. თურქეთის დამარცხების ამბის შეტყობის შემდეგ, ის-





არგებლეს იმით, რომ რუსთა ჯარი, ჯერ, კიდევ, დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა და, რაიმე წინააღმდეგობას არ ელოდნენ, ლეკებმა კახეთის სოფლების დარბევას და ძარცვას მიჰყვეს ხელი. ლეკთა ჯარს ცალკე გამოიყო 3 ათას კაციანი რაზმი შამილის შვილის ყაზი-მახმადის მეთაურობით, რომლის მთავარ მიზანს წინანდაღში დავით ჭავჭავაძის სასახლის გაძარცვა და მისი ოჯახის წევრების ტყვედ აყვანა წარმოადგენდა. მათ მთლიანად გაძარცვეს და დაარპიეს სასახლე და სოფლის მოსახლეობა, ტყვედ წაიყვანეს 100-ზე მეტი წინანდლელი, მათ შორის – 24 დავით ჭავჭავაძის ოჯახის წევრი და მათთან სტუმრად მყოფი ნათესავი. თავდამსხმელებმა ცეცხლს მისცეს სასახლე, მთლიანად დაიწვა მდიდარი ბიბლიოთეკა და საარქივო დოკუმენტები, რის გამოისობით, ბევრი, მნიშვნელოვანი, ისტორიული წყარო და მოვლენა ჩვენთვის დღესაც უცნობია.

სოფლის მრავალგზის აოხრებამ, არამარტო მატერიალური ქონების განადგურება, არამედ, ეკლესია-მონასტრებში არსებული წერილობით წყაროების მოსპობაც გამოიწვია, ხოლო, რაც საუკუნეების ბედ-უკულმართობას გადაურჩა, ჯერ მეფის რუსეთის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ, ხოლო, შემდეგ, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მოულო ბოლო, რომელმაც სოციალიზმის შენება ეკლესია-მონასტრების ნგრევით და აქ, ჯერ, კიდევ, შემორჩენილი დოკუმენტების მოსპობით დაიწყეს. სოფელში არსებული ეკლესია-სამლოცველოები საჯინიბოებად, საწყობებად და სატუსაღლებად აქციეს.

რაც უნდა ბუნებისგან მომადლებული სილამაზით გამოირჩეოდეს, სოფლის უპირველეს ღირსებას, მაინც, აქ მცხოვრები ადამიანები განაპირობებენ. დღეს, რომ, წინანდაღი, არა მარტო ქვეწის, საერთაშორისო მასშტაბითაც ერთ-ერთი ცნობილი და გამორჩეულია, სწორედაც, რომ ჭავჭავაძეთა საგვარეულოს ამ სოფელში დამკვიდრებას უნდა უმაღლოდეთ, რომლებიც ისტორიაში შევიდნენ, არა მარტო მეფის კარისა და სამშობლოს ერთგული მამულიშვილები, არამედ, როგორც, კარგი მეურნეები და ქვეყანაში კულტურისა და ეკონომიკის აღლორძინების მოთავენი. ალ. ჭავჭავაძის მიერ ევროპული ცივილიზაციის დონეზე მოწყობილი კარ-მიდამო, დეკორატიული პარკი, ღვინის სანამო თუ, ბაღ-ვენახები კულტურული მეღვინეობა-მევენახეობის მნიშვნელოვან კერად იქცა, ხოლო, მის ოჯახში დაფუძნებული ლიტერატურული სალონი საქართველოში ევროპებიშის იდეის დამკვიდრების მნიშვნელოვან ფორფორსტის წარმოადგენდა.

ისტორიას დიდხანს შემორჩება, აგრეთვე, გულბათ ჭავჭავაძის სახელი, როგორც კარგი მეურნისა და ეროვნული ღირსების მქონე კოლორიტული პიროვნებისა. მისი ოჯახიდან 8 გენერ-

ალი იყო, რომლებმაც წინადი წვლილი შეიტანეს რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებში მოპოვებულ გამარჯვებებში, რომლის დროსაც საქართველომ საუკუნეების წინ დაკარგული აჭარისა და სამხრეთ-ჯავახეთის ტერიტორიები დაიბრუნა.

წინანდაღზე დიდი გავლენა იქონია ჭავჭავაძეთა ნაფუძარზე რუსეთის იმპერიის საუფლისწულო მამულის დაარსებამ, სწორედ ამ პერიოდიდან, დღემდე, შემორჩა სოფელს „ცარსკოე სელოს“ სახელი.

საუფლისწულო მამული იმ დროინდელი ტექნიკისა და მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების დონეზე იყო მოწყობილი და მსოფლიოს უმღლესი კატეგორიის საწარმოებს უტოლდებოდა. წინანდაღში, იმ დროს, უკვე იყენებდნენ სეტყვის საწინააღმდეგო ზარბაზნებს, პირდაპირი სატელეფონო კავშირი ჰქონდათ თბილისთან და პეტერბურგთან, ფუნქციონირებდა სამკერვალო ფაბრიკა, სადაც მუშა-მოსამსახურებისთვის იყერებოდა სპეც-ტანსაცმელი. ევროპიდან შემოჰქონდათ ვაზის ნერგები, ტექნიკა და სხვა. აქ დამზადებული ღვინოები იგზავნებოდა საერთაშორისო გამოფენებზე, დევუსტაციებზე და უმაღლეს შეფასებებს იმსახურებდნენ.

წინანდაღი „განებივრებული“ იყო და, დღესაც ასეა, „ამა ქვეწის ძლიერთა“ სტუმრობით, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ და ახდენენ სოფლის ბედ-იღბალზე.

1888 წელს წინანდაღს რამდენიმე დღით სტუმრობდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III, რომელსაც თან ახლდა მისი მემკვიდრე ნიკოლოზ II, მეუღლე და ოჯახის სხვა წევრები. იმპერატორი პირადად გაეცნო საუფლისწულო მამულის საქმიანობას. მის მეუღლეს – მარია ფიოდოროვნას ისე მოენონა სოფელი, რომ ადგილობრივი მოსახლეობისაგან სოფლის მთლიანი შესყიდვა გადაწყვიტა, რისთვისაც საიმპერატორ საზინიდან 2 მილიონი რუბლი გამოიყო, მაგრამ შემდგომში, რევოლუციური სიტუაციის გამო, ამ საქმის აღსრულება ვეღარ გაბედეს.

რას იფიქრებდნენ წინანდლელები, რომ 1906 წელს მათთან სტუმრად მყოფი იოსებ ჯულაშვილი (სტალინი) რუსეთის იმპერიის მბრძანებელი გახდებოდა. იგი არალეგალურად შეხვდა საუფლისწულო მამულის რევოლუციურად განწყობილ მუშებს. იმ ღამით დათიკო სოლორევის ბინაში დარჩა და, მის საპატივცემულოდ, გაშლილ სუფრასთან კარგადაც მოილზინა. როგორც, შემდგომში, საქართველოს კომპარტიის ყოფილი ხელმძღვანელი კანდიდ ჩარკვიანი თავის მემუარებში სტალინთან შეხვედრებს იგონებს, მას კარგად ახსოვდა წინანდაღი და, სწორედ, მისი უშუალო დავალებით, წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში 600 ჰექტარზე გაშენდა „კაბერნეს“ ჯიშის ვაზი და





აშენდა წითელი ღვინოების წარმოების თელიანის ღვინის ქარხანა. მისივე წინადადებით სამარკო ღვინო „წინანდალს“ მიენიჭა N1, ხოლო, წითელ სამარკო ღვინო „თელიანს“ N2, რაც კავშირის მასშტაბით საუკეთესოს მანიშნებელი იყო.

1926 წელს წინანდალს ეწვია მარშალი ს. ბუდიონი, რომელსაც თან, ფილიპე მახარაძე ახლდა. სტუმრებმა ჩვენებური ღვინო და სუფრა კი მოინონეს, მაგრამ უკეთესობილობი დარჩინენ სოფლის ცენტრში კარგად მოვლილი ეკლესიებით და ჭავჭავაძეთა საგვარეულო სასაფლაოს ხილვით. ჩვენდა სამწუხაროდ, მაშინდელმა ბოლშევიკებმა და კომკავშირელებმა „სწორედ“ გაიგეს მათი შენიშვნა და, სულ მალე, ვანდალურად გაანადგურეს იქაურობა. საფლავის ქვებით სოფლის კლუბი ააგეს, ხოლო, ჭავჭავაძეთა უნიკალური საფლავის ძეგლები გაყიდეს, რომლებიც დღესაც თელავისა და ერევნის სომხურ სასაფლაოებზე დგას.

წინანდლელებს დიდხანს ახსოვდათ ლ. ბერია-სი და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელების ხშირი სტუმრობაც. მათ პატივსაცემად გაშლილ სუფრას ჩიტის რძესაც არ აკლებდნენ. ქარხანა – საპჭოთა მეურნეობის დირექტორი ანგი ელბაქიძე და მთავარი სპეციალისტი ალექსანდრე თუშმალიშვილი, რომლებსაც ამაგი იმით „დაუფასეს“, რომ 1937 წელს, ორივე, დაიჭირეს და დახვრიტეს.

1962 წელს წინანდალს სტუმრობდა ნიკიტა ხრუშჩოვი. ვენახების დათვალიერების შემდეგ, რესპუბლიკის ხელმძღვანელებს „ბრძნული“ მითითება მისცა – კახეთის ნაყოფიერი მიწები ვენახებისათვის არ მოეცდინათ და ვაზის მაგივრად სიმინდი და სოიო მოეყვანათ. შემდეგ, აქაური ღვინოები დააჭამნიკა, გაშლილ სუფრაზე კარგადაც მოილხინა და კარგად შექეიფიანებული ჭავჭავა-

ძეების ყოფილ კარ-მიდამოს ე.ნ. „ჩორნი ვაროტით“ გაცალა და გაცრუებული დატოვა პარკის შესასვლელთან მის გასაცილებლად მისული წინანდლელები. ხრუშჩოვი სოფელს არც კი იქნებოდა გაცილებული, წინანდლელებმა ლექსი რომ გამოუთქვეს:

„წინანდალში სტუმრად იყო
ერთი კაცი – ნიკიტაო,
ჩვენ აქეთ ველოდებოდით,
გაგვეპარა იქთიაო.“

1984 წელს წინანდალს ეწვია საკავშირო ცეკას მდივანი, მიხეილ გორბაჩივი, რომელმაც მოინონა ღვინის ქარხნის წარმოების გაფართოების სამუშაოები, რისთვისაც ქარხანას ოთხი მილიონი მანეთის კრედიტი ჰქონდა აღებული. პარადოქსი ის იყო, რომ მისი, გენერალურ მდივნად არჩევის შემდეგ, მიღებული ე.ნ. „მშრალი კანონის“ შედეგად დაწყებული სამუშაოები შეჩერდა, ხოლო, ქარხანაში არსებული რამდენიმე მილიონი დლ. ღვინო ანაზღაურების გარეშე გადაიტვირთა რუსეთში – უფის სპირტის ქარხანაში, რასაც, სხვა, სუბიექტურ მიზეზებთან ერთად, მისი გაკოტრება და კაპიკების ფასად გასხვისება მოჰყვა.

პარადოქსი იყო ისიც, რომ სწორედ წინანდლის ღვინის ქარხანაში ჩატარდა ანტიალკოჰოლური სიმპოზიუმი. მისი მონანილების პატივსაცემად, ღვინის ქარხანაში გაიმართა ბანკეტი, სადაც, მხოლოდ, „ბორჯომი“ და ლიმონათი მიტანეს. ან ვინ გაბედავდა ღვინის მიტანას, როცა სუფრას მოსკოვიდან მოვლენილი ცეკას მაღალჩინოსნები და მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ლინის სუფრა გლოვისას დაემსახვესა. ამ ამბის შემყურე გურჯაანის რაიონის მდივანმა ბიჭიკო შინჯიაშვილმა და პოეტმა ჯანს-





ულ ჩარკვიანმა მასპინძლებს სთხოვეს ლიმონათისა და ბორჯომის ეტიკეტიანი ბოთლებით სუფრაზე ღვინო მოეტანათ. მალე, სუფრას გამოცოცხლება დაეტყო. არავინ იცის, მოსკოვში რა ამბავი ჩაიტანეს, მაგრამ, ამ დადგენილებამ, მალე, კრახი განიცადა. ადვილი შესაძლებელია, ამ საქმეში, მათ მიერ წინანდლიდან ჩატანილმა ამბებმაც იმოქმედა, რამაც, სხვა მიზეზებთან ერთად დაარწმუნა ხელისუფლება, რომ მსგავსი დადგენილების მიღება უაზრობა იყო.

1984 წელს, წინანდლის დეკორატიული პარკის მყუდრო აპარტამენტებში, ერთკვირიანი საქმიანი შეხვედრა ჰქონდათ შეიდ ამერიკელ და საბჭოთა ასტრონავტებსა და კოსმონავტებს, რომლებმაც შეიმუშავეს და შეათანხმეს კოსმოსის დემოლიტარიზაციის ტექნიკური საკითხები, რომელსაც, შემდგომ, ხელშეკრულების სახით, ხელი მოაწერეს აშშ-სა და საბჭოთა მეთაურებმა.

წინანდალს თავისი მნიშვნელობა არც საბჭოთა ხელისუფლების დროს დაუკარგავს და, იმ პერიოდში, ღვინის წარმოებისა და ტურიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენდა კავშირის მასშტაბით.

წინანდალმა ფაქტობრივად მეორე სიცოცხლე შეიძინა მას შემდეგ, რაც „სილ ქროუდ ჯგუფმა“ 49 წლიანი იჯარით აიღო ალ. ჭავჭავაძისეული კარ-მიდამო. მისი ინფორასტრუქტურის კეთილმოსაწყობად, ბოლო წლების განმავლობაში, 100 მლ. ლარზე მეტი საინვესტაციო და საბიუჯეტო სამუშაოები განხორციელდა. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს, დეკორატიულ პარკს, აშენდა საერთაშორისო დონის სასტუმროები: „რედისონი“ და „პარკ-ჰოტელი“, მოეწყო საკონცერტო და საკონფერენციო დარბაზები და სხვა. სისტემურად ეწყობა მაღალი დონის სამთავრობო შეხვედრები, საერთაშორისო კონფერენციები, მუსიკალური და ლიტერატურული ფესტივალები, კონკურსები, გამოფენები და სხვა.

საერთაშორისო ტურიზმის მნიშვნელოვან ობიექტად იქცა, აგრეთვე, ღვინის კომპანია „შუმი“. მის ტერიტორიაზე გაშენებულ საკოლექციო ვენახებში ადგილობრივი და მსაფლიოში არსებული 700-ზე მეტი ჯიშის ვაზია გაშენებული. მნახველთა ყურადღებას იპყრობს ტრადიციული ქვევრ-მარინი, ლია ცის ქვეშ მოწყობილი ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადეგუსტაციო დარბაზი და სხვა.

ამჟამად, წინანდალში, 20-ზე მეტი სახელმწიფო დაწესებულება და ღვინის კერძო საწარმო ფუნქციონირებს. მნიშვნელოვანად განვითარდა საოჯახო ტურიზმი. სტუმრიანობა არ აკლიათ კერძო სასტუმროებს, ქვევრ-მარნებს, კეთილმოწყობილ ეზო კარ-მიდამოებს და სხვა.

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა სოფლის

კეთილმოწყობის მიზნით. მოასფალტდა საუბნო გზები, მოწესრიგდა სასმელი წყლის ქსელი, მოეწყო გარე განათება, სოფლის ტერიტორია ყოველდღიურად სუფთავდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან, გაიხსნა საგაჭრო ობიექტები, მინისტადიონი და სხვა. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მიერ, რესტავრაცია ჩაუტარდა რამდენიმე ეკლესიას, სოფლის ცენტრში არსებულ წმ. გიორგის და მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიებში აღდგა ღვთისმსახურება და სხვა.

წინანდალი, ქვეყნის მასშტაბით, იშვიათი გამონაკლისი იყო, რომელსაც 1995-2005 წლებში მრავალტირაჟიანი, ყოველთვიური გაზეთი გააჩნდა. გაზეთ „წინანდალს“ არამარტო მიმდინარე ცხოვრების შუქ-ჩრდილები გამოქვენდა დღის სინათლეზე, არამედ, სოფლისა და ჩვენი წინაპრების ისტორიის ბევრი უცნობი დოკუმენტური მასალაც გააცნო ფართო საზოგადოებას.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული, ისტორიული მნიშვნელობის ხუროთმოძღვრული ძეგლები და ბუნებისგან მომადლებული სილამაზის ადგილები წარმოადგენს, ალ. ჭავჭავაძის ყოფილ საკარმიდამოში, არსებული ტურისტული ობიექტების მიმდებარე ტერიტორიას. სულ, რამოდენიმე კილომეტრის რადიუსში, შესაძლებელა წინანდალში მყოფმა ტურისტებმა გაისეირნონ მუხანის ტყე-პარკში, მოინახულონ საფარისის, თეორანის, წმინდა ნინოს სახელობის სამონასტრო კომპლექსი და ეკლესიები, ღვთისმშობლის ჭალის ნაქალაქარი და სხვა ისტორიული ადგილები, რისთვისაც საჭირო იქნება აღნიშნულ ტერიტორიაზე მოწესრიგდეს სამანქანო გზები და საფეხმავლო ბილიკები, მუხანის ტყეს მიენიჭოს ტყე-პარკის სტატუსი, ეკლესია-მონასტრებს ჩაუტარდეს სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები და სხვა.

იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-შენარჩუნება და მათი მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა, ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, მიზანშენონილი იქნება წინანდალის, როგორც საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტის შემდგომი განვითარების დამატებითი შესაძლებლობების შესწავლა, შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და კონკრეტული სამუშაოების განხორციელება, თელავის, სიღნაღის, ველისციხის, იყალთოს და სხვა ტურისტული ობიექტების მსგავსად, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურიზმის შემდგომ განვითარებას, მოსახლეობის დასაქმებას, ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობას, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას და სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას.



იუპილარი სამხატვრო სკოლა

თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლას დაარსებიდან 60 წელი შეუსრულდა.

სამხატვრო სკოლა 1962 წელს დაარსა ცნობილმა მხატვარმა სერგო ასლანიშვილმა.

1958 წელს ჩამოაყალიბა წრე-სტუდია, სადაც ბატონი სერგო ასნავლიდა ხატვას და ფერწერას, მან თავის გარშემო შემოიკრიბა ახალგაზრდა მხატვრები: გივი თორაძე, გიორგი ბერძნიშვილი, ჯემალ ლაშქარაშვილი, მხატვარი დავით ბალარჯაშვილი და ხელოვნებათმცოდნე პოეტი ეთერ ანაშვილი.

ბატონმა სერგომ მოიძია სასწავლო პროგრამები საჭირო საგნებში: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, ძერწვა და ხელოვნების ისტორია.

სამხატვრო სკოლამ, დაარსებიდან სამი ადგილი გამოიცვალა. პირველად, ყოფილი კულტურის სახლის შენობაში იყო, შემდეგ, ქალაქის ფოსტის შენობაში, ხოლო 1964 წლიდან, აქ, თელავის ცენტრალურ მოედანზეა. სწავლა მიმდინარეობს, – ოთხსალიანი სწავლებით.

პირველი კურსდამთავრებულებიდან, სამი ახალგაზრდა მოეწყო სამხატვრო აკადემიაში. პირველი გამოშვების შემდეგ, ყოველი გამოშვებიდან, სამი-ოთხი მოსწავლე ენცობოდა სამხატვრო აკადემიაში ან სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს ან სპეციალურ სასწავლებლებში, – ხელოვნების განხრით.

70-იან წლებში, სამხატვრო სკოლას, ყოფილი მოსწავლეები, – აკადემია დამთავრებულები შეემატენენ: ალექსანდრე კევლიშვილი, თემურ გაგნიძე, დარეჯან გაგნიძე, თემურ კევლიშვილი, ბადურ ბერიაშვილი, აკაკი კუკუნაშვილი, ლევან როსტომაშვილი, ნოდარ იოსებაშვილი, მიშა მამინაშვილი.

ახლა ასწავლიან: ნაირა რინკუაშვილი, ვახტანგ ლაცაბიძე, მაია ციხისთავი, მაია მამულაშვილი,

ნინო მეგუთნიშვილი, ცისანა გელაშვილი, ლია ხელაშვილი, მანანა მანველიშვილი, იოსებ შოშიაშვილი, გიორგი გორელაშვილი, არსენ ოქრუაშვილი, ეკატერინე შავთელი.

სამხატვრო სკოლა ყოველთვის იღებდა მონაწილეობას, როგორც რესპუბლიკურ, ასევე, საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებსა და ფესტივალებში, საიდანაც მიღებული აქვთ მრავალი დიპლომი, სიგელი და სხვა ჯილდოები.

1993 წლის აპრილში, სამხატვრო სკოლამ მოლდავეთის ქალაქებში: კიშინოვში და ტირასპოლში მოაწყო მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

შემდეგ, საპასუხო გამოფენა მოეწყო თელავის სამხატვრო სკოლაში, მოლდაველი ბავშვების ნამუშევრებით.

ამ წლების განმავლობაში, ყოველ წელს, – დღევანდლამდე, – მონაწილეობას იღებენ ყველა ლონისძიებაში, მუნიციპალიტეტის ფარგლებში და მის გარეთაც.

2014 წლიდან სამხატვრო სკოლაში შეისწავლიან ანიმაციას და რვა წლის განმავლობაში ოცამდე ფილმი შეენმეს.

2015 წელს ბულგარეთის ქალაქ ბალჩიკში მოეწყო ანიმაციის ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიღეს ანიმაციური ჯგუფის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა.

ყოველ წელს მონაწილეობენ ბათუმის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე „თოფუზი“.

ქალაქ თბილისში ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალში „პეპელა“, მიღებული აქვთ დიპლომები.





2014 წლიდან, დღემდე, სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ საპატრიარქოს მიერ მოწყობილ კონკურსებში „ნახატები ბიბლიურ თემაზე“ და იმარჯვებენ. – ალნიშნა სამხატვრო სკოლის დი-

რექტორმა ბატონმა ვახტანგ ლაცაბიძემ.

ამჟამად სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებულები სწავლობენ და მუშაობენ, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

თელავის სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებულები არიან ცნობილი მხატვრები: შალვა მატუაშვილი, გივი კოლელიშვილი, უშანგი ხუმარაშვილი, გოჩა გოზალიშვილი და სხვები.

სამხატვრო სკოლაში დიდი ადგილი უკავია მოსწავლეთა სულიერ აღზრდას, ხელოვნების საფუძვლების შესწავლას.

სასახელოა, რომ, ამჟამად, 20-მდე მოსწავლე სწავლობს სამხატვრო აკადემიაში: ვანო ბინაძე, გიორგი კიკაძე, თამარ ლამაზოშვილი, ირაკლი გემაზაშვილი სხვები.

გასული წლის 25 ნოემბერს ზაირა არსენშვილის სახელობის კულტურის ცენტრში, ჩატარდა სამხატვრო სკოლის 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. სადაც გამოფენილი იყო ყველა თაობის პედაგოგების და მოსწავლეთა შემოქმედება: ნახატების, გობელენების, სხვადასხვა ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ საიუბილეო თარიღი მიუღლოცა და საჩუქრები გადასცა სამხატვრო სკოლას.

საიუბილეო თარიღი მიუღლოცა, აგრეთვე მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარემ ფარნა რაინამ, რომელმაც ისაუბრა სამხატვრო სკოლის დიდ ღვაწლზე, ნორჩი მხატვრების აღზრდის საქმეში.

მიშვნელუვან ღონისძიებას ესწრებოდნენ ცნობილი მხატვრები, რომლებიც თავის დროზე იყვნენ – სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებულები.

ასევე, გულთბილად მიუღლოცა – სამხატვრო სკოლას 60 წლის იუბილე: მაიდათუნაშვილმა, თამარ ლამაზოვილმა, ნუგზარ ძამუკაშვილმა, შალვა მატუაშვილმა და სხვა.

სამხატვრო სკოლის საინტერესო ისტორიაზე ისაუბრა სამხატვრო სკოლის დირექტორმა, ბატონმა ვახტანგ ლაცაბიძემ.

ღონისძიება მიჰყავდა თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს, ქალბატონ ფიქრია ყუშიტაშვილს.

P.S.

შენობა, რომელშიც თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა ფუნქციონირებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია; საკლასო ოთახები არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს და საჭიროებს შენობის სრულ რეაბილიტაციას.

უცუ ქამუკაშვილი



ნიგნის საჯაროდ პითხვის მსოფლიო დღე



63



ეს, მართლაც, ღირსშესანიშნავი დღეა, – წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო, ანუ, მსოფლიო დღე.

თელავის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში (დირექტორი მაყვალა წიკლაური) 2 თებერვალს აღინიშნა სულიერი საგანძურის დღე.

ამჟამად, ეს იყო ერთობლივი ღონისძიება – მთავარი ბიბლიოთეკისა და მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ – შურნალ „ოლეს“ ავტორთა.

ავტორებმა წაიკითხეს თავიანთი წანარმოებები: პოეტური, თუ, პროზაული.

ფარნა რაინამ წაიკითხა ლექსი, – დღევანდელი დღის ზოგად-საკაცობრიო თემაზე. – „არ გვინდა ომი! არასოდეს, არ გვინდა ომი!“ (რუსეთ – უკრაინის ომზე). რაზეც მსმენელთა დიდი მოწონება და ოვაციები გამოიწვია.

ნუნუ ძამუკაშვილმა წაიკითხა საბავშვო ლექსები.

გამომსვლელთა შორის იყვნენ პოეტები: თინათინ თელაველი, თამარ კოლელიშვილი, ანა მანოშვილი.

მსმენელთა წინაშე პროზაული წანარმოებებით წარსდგნენ: ხათუნა გოზალიშვილი, ქეთევან ჭანკუტაძე.



ოლე, №1, 2023





ლანა მანველის რომანიდან – ნაწყვეტი წაიკითხა ბიბლიოთეკარმა მანანა სუმბაძემ. პოეტმა ქეთევან ათუაშვილმა ონლაინ ჩართვით წაიკითხა თავისი ლექსები.

მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორმა, – მაყვალა წიკლაურმა დამსწრეთ მიულოცა, – ეს ლამაზი დღე და წაიკითხა ზინა სოლომნიშვილისა და ფიქრია ყუშიტაშვილის ლექსები.

დასასრულს გამომსვლელებმა ისაუბრეს ამ დღის მნიშვნელობაზე, წიგნის მეგობრებზე და წაიკითხეს საყვარელი ნაწარმოებები.

ღონისძიებას ესწრებოდა თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის წარმომადგენელი, – ნანა მარიამიძე.

ახალგაზრდა ავტორმა, – ქეთევან ჭანკოტაძემ ვიოლინოზე შეასრულა საინტერესო მუსიკალური ნაწარმოებები.

ღონისძიება მიჰყავდა მთავარი ბიბლიოთეკის ღონისძიებების ორგანიზატორს – ნატა ნაცვლიშვილს.

ცუცუ ქამუკაშვილი

ყურადღება!.. ყურადღება!.. ყურადღება!..

ჩვენ მოვდივართ!..

ქართული მწერლობის წინსვლის, განვითარებისა და ახალგაზრდა, ნიჭიერი თაობის გამოვლენა-დაოსტატებისათვის, – მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“ 2023 წელს აწყობს ახალგაზრდა შემოქმედთა, – პოეტთა და პროზაიკოსთა (35 წლამდე) კონკურსს დევიზით: „ჩვენ მოვდივართ!..“

ახალგაზრდა ავტორებმა მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულ კახეთში“ საკონკურსო წარმოებები უნდა წარმოადგინონ ფოსტით ან პირადად 2023 წლის 5 აპრილიდან, 5 მაისამდე. (მისამართი: 2200 თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №6, III სართული, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“).

ნაწარმოებები განიხილება საკონკურსო ჟიურის მიერ 26 მაისამდე.

გამარჯვებულთა ვინაობა და მათი წარმოებები გამოქვეყნდება ივნისში, უურნალ „ოლეში“.

12 ივლისს მოეწყობა გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოება.

მცენალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“





თელავი, 27 იანვარი, პარტ „თავსაჭირო“.
მარიამ კოზეანიშვილის პოეზიის საღამო.

